

სიტუაციის მიხედვით დაეხმარება და ამის იმედი  
განათლებულ მოსახლეობას უნდა ჰქონდეს.

## ბიორგი ლატავიძე

ბიორგი ლატავიძე - მწიგნობარ-მწერალი, რომელიც  
განთავსებულია მწიგნობარ-მწერლის რეპერტუარში.  
როგორც პროფესიული მწიგნობარი, ფუნქციონირებს  
მარტო გავლენით სინდიკატის წევრ მასწავლებლებს.  
უა, მასწავლებლებს, როგორც განსაკუთრებული პოეტის  
და მწიგნობარ-მწერლის ადამიანობის მიხედვით.  
ზედმინდობის მიხედვით აღიარებს სწავლებისა და განვითარების

## განვითარების თეორიები

განვითარების თეორიები, ასევე მნიშვნელოვან დამატებას  
წევს სწავლების პროცესს.

## მასწავლებლისათვის

რად თქვენთვის შეიქმნა და სინდიკატის ყველა წევრი მიიღებს  
საჩუქრად. გიმედოვნებთ, ეს სახელმძღვანელო კმედით დახმარე  
ბას. გაუწეოთ ყოველწლიური განვითარების პროცესს.  
თქვენი, როგორც თანამედროვე მასწავლებლის განვითარების  
საქმეში. სამომავლოდ დახმარე სახელმძღვანელო  
პერმანენტულად მოგანდით საჭირო მასალებს.

იხილეთ ეს მნიშვნელოვანი დახმარება  
-ინ რეპერტუარში და დაინახოთ ინიციატივა  
როგორც ამ მხარეს დახმარება დახმარება  
სიყვარულში იხილოთ იხილოთ იხილოთ

© გიორგი ლატავიძე, 2008

დაეხმარება გიორგი ლატავიძის "იხილეთ", 2008

ISBN 978-9954-1-404-05-3

წიგნი შეიქმნა და გამოიცა განათლების ინსტიტუტის  
საგამომცემლო ცენტრში

სსიპ "საინფორმაციო ცენტრი"

წიგნი განკუთვნილია მასწავლებლებისთვის და განვითარების  
ფსიქოლოგიით დაინტერესებული ფართო მკითხველისთვის.

რედაქტორი: **კახა დავითური**

სამეცნიერო რედაქტორი:  
ფილოსოფიის დოქტორი **ტატო შავშიშვილი**

რეცენზენტი: პროფ. **ნათელა იმედაძე**

ყდის დიზაინი და დაკაბადონება: **გიორგი ბაგრატიონი**

ოფისის მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 109

*ყველა უფლება დაცულია. ამ გამოცემის არც ერთი  
ნაწილი არანაირი ფორმითა და საშუალებით არ შეი-  
ძლება გამოყენებულ ან გადაცემულ იქნას საავტორო  
უფლების მფლობელის წერილობითი ნებართვის  
გარეშე.*

© გიორგი ლაცაბიძე, 2008

დაიბეჭდა გამომცემლობაში „ნეკერი“, 2008

ISBN 978-9941-404-02-3

8005

## განათლების პროფესიული სინდიკატის წევრებს

ძვირფასო კოლეგებო,

განათლების სისტემის რეფორმირების ამ ეტაპზე, ჩვენი, როგორც პროფესიული გაერთიანების, ფუნქციაა, ქმედითი დახმარება გავუწიოთ სინდიკატის წევრ მასწავლებლებს. ბუნებრივია, მასწავლებლისთვის, როგორც განსაკუთრებული პროფესიისა და მოწოდების მქონე ადამიანისთვის, უმნიშვნელოვანესია, ზედმინებით კარგად ფლობდეს სწავლებისა და განვითარების ფსიქოლოგიის თანამედროვე, აქტუალურ თეორიებს. ამ თეორიების ცოდნა მასწავლებელს გამოადგება, როგორც თანამედროვე გაკვეთილის ჩატარებისას, ასევე მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს სერტიფიცირების წარმატებით გავლაში.

გ. ლაცაბიძის წიგნი „განვითარების თეორიები“ სპეციალურად თქვენთვის შეიქმნა და სინდიკატის ყველა წევრი მიიღებს საჩუქრად. ვიმედოვნებთ, ეს სახელმძღვანელო ქმედით დახმარებას გაუწევს თითოეულ თქვენგანს და თავის წვლის შეიტანს თქვენს, როგორც თანამედროვე მასწავლებლის განვითარების საქმეში. სამომავლოდაც, განათლების პროფესიული სინდიკატი პერმანენტულად მოგანვდით საჭირო მასალებს.

ღრმა პატივისცემით  
**ტატო შავშიშვილი**

განათლების პროფესიული  
სინდიკატის დამფუძნებელი



## წინასიტყვაობა

განვითარების ფსიქოლოგია, როგორც ფსიქოლოგიის მეცნიერების ერთ-ერთი მიმართულება, XIX საუკუნის ბოლოს აღმოცენდა და შეისწავლის პიროვნების ასაკობრივ თავისებურებებს და განვითარების დინამიკას მთელი ცხოვრების განმავლობაში.

უკანასკნელ წლებში, ჩვენს ქვეყანაში, განათლების რეფორმის მიმდინარეობამ ძირულად შეცვალა სწავლებისა და აღზრდის მიდგომები, აუცილებელი გახდა თანამედროვე ასაკობრივი ფსიქოლოგიის მეცნიერული მიღწევების გათვალისწინება. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შედგენილ დოკუმენტებში (ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები, ეროვნული სასწავლო გეგმა და სხვ.) საფუძვლიანად და თანმიმდევრულად არის გათვალისწინებული მოსწავლის ასაკობრივი თავისებურებები.

ბოლო პერიოდში, საქართველოში ბევრი ითქვა და დინერა მასწავლებლისათვის განვითარების ფსიქოლოგიის ცოდნის აუცილებლობის მნიშვნელობაზე. ასაკობრივ ფსიქოლოგიაზე მუშაობდა დიმიტრი უზნაძეც. წინამდებარე წიგნი არ წარმოადგენს სამეცნიერო ნაშრომს. მისი დანიშნულებაა პედაგოგებს და ფართო საზოგადოებას მიაწოდოს ის ძირითადი ინფორმაცია, რაც აუცილებელია ასაკობრივი ფსიქოლოგიის გაგებისათვის. ამასთან წიგნი მნიშვნელოვნად დაეხმარება მასწავლებლებს მომავალი სერტიფიცირებისათვის.

## რეცენზია

გიორგი ლაცაბიძის დამხმარე სახელმძღვანელო წარმოადგენს ფსიქიკური განვითარების თანამედროვე თეორიების (პიაჟე, ვიგოტსკი, ბრუნერი, უზნაძე, კოლბერგი და სხვ.) პროფესიულ დონეზე შესრულებულ მიმოხილვას. მიგვაჩნია, რომ წიგნში მოტანილ მასალაში ავტორი ახერხებს საკმაოდ რთული თეორიების მისაწვდომი ფორმით გადმოცემას ისე, რომ არ იკარგება ამ თეორიების მეცნიერული ღირებულებები.

თეორიების გაცნობის შემდეგ მასწავლებელი შესძლებს სასწავლო პროცესში განვითარების თეორიების გამოყენებას მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. მიზანშეწონილად მიმაჩნია აღნიშნული დამხმარე სახელმძღვანელოს გამოქვეყნება.

ი. ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი  
ნათელა იმედაძე

81 ადამიანის ცხოვრების ციკლი შეიქმნება დაიწყებულია დღე  
82 გრძელდება 26 წელიწადს მოიცავს წინააღმდეგობის უწყვეტ  
სტადიას, ემბრიონალურ სტადიას და ნეოკორტიკალური სტადიას  
83 წინააღმდეგობის უწყვეტობა მთელი სტადია - გრძელდება მთელი სტადია  
84 ეს არის ზოგადი წარმოქმნის პერიოდის დასრულება  
85 ემბრიონალური სტადია - გრძელდება მესამე უწყვეტობის პერიოდში  
86 თვის პერიოდში, ამ სტადიაში ბავშვი სხვადასხვა სტადიის  
18 ანატომიური და ფიზიოლოგიური დიფერენცირების ეტაპებს  
88 დროს ჩნდება ძვლის პერიოდული დიფერენცირების ეტაპები  
89 თითოეული უწყვეტობის პერიოდში, ერთდროულად წარმოიქმნება კონკრეტული  
90 დროები და სასქესო ორგანოები.  
91 ნეოკორტიკალური სტადია - იწყება მესამე თვის დროს და გრძელდება 12 წლის  
92 წლამდე და დასრულდება 12 წლის ასაკში.

სარჩევი

1. განვითარების ზოგადი კანონზომიერება	9
2. ბავშვის განვითარების ძირითადი საფეხურები და თავისებურებები	12
3. ადამიანის განვითარების ძირითადი თეორიები და პერიოდიზაცია	15
<b>ბიოგენეტიკური მიდგომა</b>	15
• რეკაპიტულაციის თეორია	15
• ეკოლოგიური სისტემის თეორია	16
• ბიოლოგიური (ეტიოლოგია) თეორია	18
<b>დასწავლის თეორიები (ბიპევიორისტული მიდგომები)</b>	19
• ი. პავლოვი	19
• ჯ. უოტსონი	21
• ე. თორნდაიკი	23
• ბ. სკინერი	26
• ა. ბანდურა	28
<b>კოგნიტური თეორიები</b>	31
• ე. პიაჟე	32
• ჯ. ბრუნერი	40
• ლ. ვიგოტსკი	43
• დ. ელკონინი	48
• შ. გარდნერი	52
<b>ფსიქონალიტიკური თეორია</b>	57
• ზ. ფროიდი	57
• ე. ერიქსონი	58
<b>განწყობის თეორია</b>	64
• დ. უზნაძე	64
<b>ჰუმანისტური ფსიქოლოგია</b>	68
• ა. მასლოუ	69
• კ. როჯერსი	73
• რ. კეგანი	81
<b>მორალური განვითარების კონცეფცია</b>	83
• ლ. კოლბერგი	83
<b>ლექსიკონი</b>	89
<b>გამოყენებული ლიტერატურა</b>	102

1. განვითარების ზოგადი კანონზომიერება

არსებობს ასაკობრივი განვითარების სხვადასხვა კლასიფიკაცია. შევეხებით რამდენიმე მათგანს.

ყველა ადამიანი ინდივიდუალურია. მას განვითარების რთული პროცესი აქვს გასავლელი. ცხოვრების სხვადასხვა საფეხურზე, ასაკობრივი განვითარების შესაბამისად, თითოეული ინდივიდი განიცდის მეტად ღრმა ცვლილებებსა და გარდაქმნებს.

კვერცხუჯრედის განაყოფიერებიდან 5-7 დღის შემდეგ, ფიქსირდება ემბრიონის ქვევის სხვადასხვა ფორმები, რის შემდეგაც გამოიკვეთება სამი ძირითადი ფაქტორი - გენეტიკური მემკვიდრეობითობა (გენოტიპი), კულტურული სახე და სასიცოცხლო აქტივობა.

ადამიანის ცხოვრების ციკლი შეიძლება დაიყოს ოთხ დიდ პერიოდად:

1. პრენატალური პერიოდი
2. ბავშვობა
3. ყრმობა
4. მონიფულობა.

1. პრენატალური პერიოდი

გრძელდება 266 დღეს. მოიცავს ნინაგანაყოფიერებამდე სტადიას, ემბრიონალურ სტადიას და ნაყოფის სტადიას.

ა) ნინაგანაყოფიერებამდე სტადია - გრძელდება ორი კვირა. ეს არის ზიგოტას წარმოქმნის პერიოდი.

ბ) ემბრიონალური სტადია - გრძელდება მესამე კვირიდან მეორე თვის ბოლომდე. ამ სტადიაში ხდება სხვადასხვა ორგანოს ანატომიური და ფიზიოლოგიური დიფერენცირება. კერძოდ, ამ დროს ჩნდება ძვლის პირველი უჯრედები, ყალიბდება ქუთუთოები, ყურის ნიჟარა, ვითარდება ნერვული ბოჭკოები, კიდურები და სასქესო ორგანოები.

გ) ნაყოფის სტადია - იწყება მესამე თვიდან და გრძელდება ბავშვის დაბადებამდე. ამ პერიოდში ვითარდება სასიცოცხლო

ფუნქციები და სისტემები, რომელიც ეხმარება ორგანიზმს გადარჩეს დაბადების შემთხვევაში. მხოლოდ მეშვიდე თვიდან არის ნაყოფი სიცოცხლისუნარიანი. შვიდი თვის ნაყოფს გადარჩენის მეტი შესაძლებლობა აქვს. შვიდი თვის ნაყოფი უკვე ახელს და ხუჭავს თვალებს, რეაგირებს სინათლის ცვლილებებზე. მას დღისა და ღამის ციკლის გარჩევაც შეუძლია, ესმის ხმები, თუმცა ბგერების უმეტესობა მისთვის დახშულია. სწორედ ამ თვეში ინტენსიურად ვითარდება თავის ტვინი და ნერვული სისტემა.

**2. ბავშვობა.** ეს პერიოდი იყოფა სამ სტადიად.

**I სტადია.** იწყება ბავშვის გაჩენიდან და გრძელდება სამ წლამდე. ეს არის განვითარების და მეტყველების ფუნქციონალური პერიოდი.

**II სტადია.** მოიცავს 3-დან 6 წლამდე პერიოდს და მისთვის დამახასიათებელია პიროვნული თვისებების და კოგნიტური პროცესების განვითარება.

**III სტადია.** მოიცავს პერიოდს 6 წლიდან 12 წლამდე. რაც თავისთავად გულისხმობს სასკოლო ასაკს და ბავშვის სოციალურ ჯგუფში ჩართვას.

**3. ყრმობა.** იყოფა ორ პერიოდად.

**ა) პუბერტატული პერიოდი** გრძელდება 12-16 წლამდე, როცა მოზარდებში უკვე ყალიბდება ახალი წარმოდგენა საკუთარ თავზე.

**ბ) იუვენული პერიოდი** იწყება 16 წლიდან და გრძელდება 18-20 წლამდე. ამ დროს ხდება მოზარდების შეგუება ოჯახთან, სკოლასთან და თანატოლებთან.

**4. მონიფულობა.** იყოფა სამ სტადიად.

**მონიფულობის I სტადია** მოიცავს 20-დან 40 წლამდე პერიოდს. ამ დროს ხდება ადამიანის ინტენსიური პირადი ცხოვრების ჩამოყალიბება და პროფესიული განვითარება.

**მონიფულობის II სტადია** გრძელდება 40-60 წლამდე, ხასიათდება

სტაბილურობით და პროდუქტიულობით, განსაკუთრებით პროფესიულ და სოციალურ ურთიერთობებში.

**მონიფულობის III სტადია** იწყება 60-70 წლებიდან და ხასიათდება ადამიანის აქტიური ცხოვრებიდან გასვლით.

განვითარების და ასაკობრივ ფსიქოლოგიაში გამოყოფენ შემდეგ სფეროებს:

**ფსიქო-ფიზიკური** – შეისწავლის ადამიანის სენსორულ და პერცეპტიულ სისტემებს;

**ფსიქოსოციალური** – შეისწავლის ადამიანის მოღვაწეობას;

**კოგნიტური** – შეისწავლის ადამიანის შემეცნების და უნარჩვევების განვითარებას.

განვითარების ფორმებია:

**ფილოგენეზი** - კაცობრიობის განვითარების სრული ფსიქიკური ჩამოყალიბების პროცესი;

**ონტოგენეზი** - ინდივიდუალური განვითარების პროცესი.

ადამიანის ფსიქიკური განვითარების ძირითადი ფაქტორებია:

- **მემკვიდრეობითობა** – ორგანიზმის თვისება გაიმეოროს მთელი რიგი შთამომავლობითი მსგავსების ცვლილების ტიპები და სრული ინდივიდუალური განვითარება;
- **გარემო** – ადამიანის საზოგადოებრივი, მატერიალური და სულიერი მდგომარეობის არსებობა;
- **აქტივობა** – ორგანიზმის მოქმედების მდგომარეობა.

## 2. პაპშვიის განვითარების ძირითადი საფეხურები და თავისებურებები

**ჩვილობის პერიოდი (2 თვე - 1 წელი).** ეს პერიოდი ხასიათდება: ფიზიკური, მოტორული, სენსორული, პერცეპტიული, კოგნიტური განვითარებით: საგნებთან თამაში, ინტეგრაციის პროცესი, თავის ტვინის, მეხსიერების, მეტყველების განვითარება; პირველი სიტყვები და წინადადება, ტიპური ფსიქოსოციალური განვითარება, ჩვილის ტიპური ემოციური რეაქცია: ინტერაქციული კავშირების დამყარება, უცხო ადამიანების შიში, დედასთან მოშორებით გამონეწეული განგაში, რეაქცია ახლობელ ადამიანებზე; „მე“-ს გაცნობიერების განვითარება; მშობლების როლი ჩვილის განვითარებაში; კრიზისი 1 წლის ასაკში.

**ადრეული ბავშვობა (1 - 3 წელი).** ანატომიურ-ფიზიოლოგიური და ფიზიკური განვითარება: სხეულის ზრდა, თავის ტვინის და მოძრაობების უნარის განვითარება. ამ პერიოდისათვის ტიპურია კოგნიტური და ვერბალური განვითარება, ეგოცენტრიზმი ბავშვის აზროვნებაში; ავტონომიური მეტყველების ფენომენი; თამაშის როლი კოგნიტურ განვითარებაში; ფსიქოსოციალური განვითარება ადრეულ ბავშვობაში; კონფლიქტის განვითარება. „მე“-ს ჩამოყალიბება. გენდერული სქემის ქცევები. კრიზისი პიკს აღწევს 3 წლის ასაკში.

**წინასასკოლო ბავშვობა (3 - 7 წელი).** ამ პერიოდის მთავარი მახასიათებლებია: ფიზიკური და მოტორული განვითარება: ფიზიკური ზრდა და მორფო-ფუნქციური ცვლილება, შინაგანი ცვლილებები, მოძრაობების უნარის განვითარება, ფიზიკური განვითარების პირობების შექმნა. კოგნიტური განვითარება, ფსიქოლოგიური მომზადება ბავშვის სკოლაში შესასვლელად. ამ ასაკში ფსიქოსოციალური განვითარება გულისხმობს: „მე“-ს კონცეფციას, სოციალური ფუნქციის შეცნობას, ურთიერთობას უფროს ადამიანებთან და თანატოლებთან, მორალურ მსჯელობას. სოციალური კომპეტენცია: ფუნქციური თამაშები და მეგობრობა. კრიზისი 7 წლის ასაკში.

**სასკოლო ასაკი (7 - 10 წელი).** ამ დროს ხდება მოზარდის ფიზიკური და მოტორული განვითარება; ფიზიკური ზრდა და მორფო-ფუნქციური ცვლილება, სენსო-მოტორული უნარის განვითარება, სოციალური სტატუსის შეცვლა და „მე“-ს კონცეფციის განვითარება - ახალი მოთხოვნები და მოლოდინი, სკოლაში წარმატება, ურთიერთობა მშობლებთან და ბავშვებთან, დამოკიდებულება უფროს ადამიანებთან და თანატოლებთან, მორალური მსჯელობა. აღნიშნულ ასაკში სწავლა ბავშვის ცხოვრებაში ხდება პრიორიტეტული.

**მოზარდის ასაკი (11 - 14 წელი).** დროს ამ მონაკვეთში ხდება: ფიზიკური და მოტორული განვითარება, ფიზიკური ზრდა და მორფო-ფუნქციური ცვლილება, მოძრაობების უნარის განვითარება, „პუბერტატი“ და პუბერტატური ასაკის კრიზისი 13 წლის ასაკში, სქესობრივი იდენტურობა, მოზარდის ასაკის კოგნიტური ცვლილებები, ფსიქოსოციალური განვითარება - ტიპური მოზარდის ქცევების რეაქცია, თანატოლები, მეგობრები და სოციალური გარემო, გარკვეული ღირებულებები, იდეალები და ალტერნატივები. ამ ასაკის ბავშვისათვის პრიორიტეტია პირადი ურთიერთობა. მძაფრი ცვლილებები სწავლისადმი. იზრდება უფროსი ადამიანების როლი მოზარდის პიროვნულ ჩამოყალიბებაში.

**სიყმაწვილის ასაკი (15 - 17 წელი).** ამ პერიოდში ხდება: ფიზიკური და მოტორული განვითარება, ფიზიკური ზრდა და მორფო-ფუნქციური ცვლილება, შინაგანი ცვლილებები, სექსუალური მომწიფება. კოგნიტური ცვლილებები ყრმობაში, ფსიქოსოციალური განვითარება - ბარიერის გადალახვა მშობლებთან და უფროს კლასებებთან ურთიერთობისას. ხდება პროფესიის განსაზღვრა. პრაქტიკაში ფართოდ გამოიყენება XX საუკუნის ბოლოს შემუშავებული გ. კრაიგის განვითარების კლასიფიკაცია (ცხრილი №1).

ცხრილი №1

გ. კრავის ასაკობრივი პერიოდიზაცია

ჩვილობის ასაკი	დაბადებიდან - 2 წლამდე
ადრეული ბავშვობა	2 წლიდან 6 წლამდე
საშუალო ბავშვობა	6-დან 12 წლამდე
მოზარდობის ასაკი (სიყმაწვილე)	12-დან 19 წლამდე
ადრეული მონიფულობა	20-დან 40 წლამდე
საშუალო მონიფულობა	40-დან 60 წლამდე
გვიანი მონიფულობა	60 წლიდან და შემდეგ

3. ადამიანის განვითარების ძირითადი თეორიები და პერიოდიზაცია

ადამიანის განვითარების პერიოდიზაცია ჯერ კიდევ პითაგორას, არისტოტელეს, ჰიპოკრატეს ნაშრომებში გვხვდება. აღსანიშნავია, რომ ფსიქოლოგიური განვითარების სისტემური ევოლუციური სწავლებისათვის მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ჩარლზ დარვინმა.

მეცნიერებაში, ძირითადად, გამოიყოფა ევოლუციის ორი განსხვავებული დეფინიცია:

1. ევოლუცია – ეს არის უკვე არსებული მონაცემების გამოვლენა (ლ. ბერგი, ნ. ბერშტაინი);
2. ევოლუცია – ეს არის სრულიად ახლის შექმნის პროცესი. ცოცხალ ორგანიზმში არსებობენ ფიზიკური ტენდენციები, რომლებიც ართულებენ თავიანთ ფუნქციებს და სტრუქტურებს (ა. ბერგსონი, კ. ტრინფერი).

არსებობს მრავალი სხვა მოსაზრება და ჰიპოთეზა ადამიანის განვითარების პერიოდიზაციის შესახებ. გარკვეულწილად ამ დეფინიციებმაც განიცადეს მოდერნიზაცია და მრავალმა მათგანმა სიცოცხლისუნარიანობა შეინარჩუნა. შემდეგ ქვეთავებში განვიხილავთ იმ ძირითად თეორიებსა და მიმართულებებს, რომლებმაც აქტუალობა შეინარჩუნა.

ბიოგენეტიკური მიდგომა

რეკაპიტულაციის თეორია

რეკაპიტულაციის თეორია ამტკიცებს, რომ ადამიანის ორგანიზმი და ცხოველთა სამყარო ინდივიდუალური განვითარების ეტაპებზე იმეორებს მთელ რიგ ფორმებს, რომელიც გაიარა მისმა წინაპარმა 100 მილიონი წლის წინ. რეკაპიტულაციის თეორიის

ერთ-ერთი წარმომადგენელი, ამერიკელი ფსიქოლოგი სტენლი ჰოლი (1846-1924) თვლიდა, რომ თუ ჩანასახი გაიფლის გზას ერთუჯრედიანიდან ადამიანამდე, მაშინ ბავშვი გაიფლის გზას პირველყოფილი ველურობიდან თანამედროვე კულტურამდე.

**განვითარების პერიოდიზაცია** (ჰეტჩინსონის თეორიის მიხედვით) რეკაპიტულაციის თეორიის თვალსაჩინო წარმომადგენელმა, ჰოლის მოსწავლემ ჰეტჩინსონმა გამოყო ხუთი პერიოდი დაბადებიდან მოზრდილობამდე:

1. **ველურობის პერიოდი.** (გრძელდება 0-5 წლამდე, მაქსიმუმი აღწევს 3 წლის ასაკში).
2. **ნადირობის და ნადავლის ჩაგდების პერიოდი.** (4-დან 12 წლამდე, მაქსიმუმი აღწევს 7 წლის ასაკში).
3. **მწყემსობის პერიოდი.** (9-დან 14 წლამდე, მაქსიმუმი აღწევს 10 წლის ასაკში).
4. **სამინათლოქმედო პერიოდი.** (12-დან 16 წლამდე, მაქსიმუმი აღწევს 14 წლის ასაკში).
5. **სავაჭრო-სამრეწველო პერიოდი.** (14 წლიდან მოზრდილობამდე, მაქსიმუმი აღწევს 18-20 წლის ასაკში).

### ეკოლოგიური სისტემის თეორია

ამერიკელმა ფსიქოლოგმა ური ბრონფენბრენერმა (Urie Bronfenbrenner 1917-2005) მრავალი წლის კვლევის შედეგად 1979 წელს ფუნდამენტურ ნაშრომში „The Ecology of Human Development: Experiments by Nature and Design“, ჩამოაყალიბა ადამიანის განვითარების ეკოლოგიური სისტემის მოდელი.


ეკოლოგიური სისტემის მისეული თეორიის თანახმად, ადამიანის განვითარება დინამიური პროცესია, რომელიც ორი მიმართულებით მიმდინარეობს. ესენია:

I - ადამიანი განვითარების პროცესში აქტიურად გარდაქმნის სასიცოცხლო გარემოს;

II - ადამიანი პარალელურად თვითონაც განიცდის გარემოს ზემოქმედებას.

თავისთავად გარემო მოიცავს რამდენიმე სისტემას (მიკროსისტემა, მეზოსისტემა, ეკოსისტემა, მაკროსისტემა და ქრონოსისტემა, რომელიც მოგვიანებით ავტორმა დაამატა). თითოეული გულისხმობს გარკვეული ნორმების და წესების არსებობას.

- **მიკროსისტემა:** უშუალო გარემო – ინდივიდი და მისი უახლოესი გარემო (ოჯახი, ბაღი, სკოლა). მეგობართა ჯგუფი, სამეზობლო და ბავშვის ზრუნვის გარემო;
- **მეზოსისტემა:** სისტემა, რომელიც მოიცავს კავშირს უშუალო გარემოთა შორის – ბავშვის სახლსა და სკოლას შორის (ოჯახი, სკოლა და თანატოლები);
- **ეკოსისტემა:** გარე გარემოცვა, გარემო, რომელიც არაპირდაპირ გავლენას ახდენს ბავშვის განვითარებაზე (მეზობლები, ნათესავეები, მშობლების სამუშაო ადგილი და სხვ.);
- **მაკროსისტემა:** დიდი კულტურული გარემო (აღმოსავლეთ და დასავლეთ კულტურა, ეროვნული ეკონომიკა, პოლიტიკური კულტურა, სუბკულტურა). კულტურა, რომელიც ინდივიდის გარშემოა – კულტურული ტრადიციები, კანონები, ღირებულებები, იდეოლოგია, ზნე-ჩვეულება.
- **ქრონოსისტემა:** გარემოსთან დაკავშირებულ მოვლენათა გადმოტანა ცხოვრების განვითარების პროცესში.



ეტიოლოგიური (ბიოლოგიური) თეორია

ბიოლოგიური თეორიის ავტორია გამოჩენილი ეტიოლოგი კონრად ლორენცი (1903-1988). მან ფსიქოლოგიაში დაამკვიდრა ცნება იმპრინტინგი (ინგლ. *imprinting* – აღბეჭდვა, გაგება). ესაა ცხოველებში დაბადებამდე აღბეჭდილი ინფორმაცია, რომელიც ჩნდება დაბადებიდან რამდენიმე საათში. ახალდაბადებულ ცხოველებს შეუძლიათ დაიმასსოვრონ საგნების მოძრაობა, რომელიც მათთან ახლოსაა და გადაიტანონ ის თავიანთ ინსტინქტურ (ლათ. *instinctus* - განზრახვა) რეაქციაში, რომელიც, პირველ რიგში, ორი-

ენტირებულია მათ მშობლებზე. ინსტინქტურ რეაქციაში შედის: მოძრაობა, ფსიქოფიზიოლოგიური რეაქცია, გამომხატველობითი მოძრაობა (სახის, ღიმილის, თვალის), პანტომიმიკა (სხეულის მოძრაობა, ყესტები, მიხვრა-მოხვრა). კონრად ლორენცი და მისი მიმდევრები ამტკიცებდნენ, რომ ადამიანი იბადება განსაზღვრული, ფიქსირებული საჩვენებელი ქმედებით, ქცევის გენეტიკურად დეტერმინირებული ფორმებით – ინსტიქტებით.

დასწავლის თეორიები

ბიპევიორისტული მიდგომები

ივანე პავლოვი (Иван Петрович Павлов) (1849-1936) – ნობელის პრემიის ლაურეატი ფიზიოლოგიაში და მედიცინაში (1904 წ.). 1907 წლიდან რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი იყო და 1925 წლიდან ვიდრე გარდაცვალებამდე ხელმძღვანელობდა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტს. 1897 წელს გამოქვეყნებულმა ნაშრომმა „*Лекции о работе главных пищеварительных желез*“ ავტორს საქვეყნო აღიარება მოუტანა.

პავლოვის კვლევის მიზანს ექსპერიმენტული მეთოდების საშუალებით ადამიანის ფსიქიკის შესწავლა წარმოადგენდა. მან დაამკვიდრა კვლევის პრაქტიკისათვის ახალი, „ქრონოლოგიის მეთოდი“. აღნიშნულ მეთოდს იყენებდა სრულიად ჯანმრთელ ცხოველებზე, რამაც მეცნიერს საშუალება მისცა ყველა მიმართულებით ეკვლია ფიზიოლოგიური პროცესები და შეესწავლა ნორმალური ორგანიზმის საქმლის მომწველებელი აპარატის მოქმედება.

პავლოვმა 1903 წელს აღმოაჩინა რეფლექსიის ახალი სახე და შემოიტანა ახალი ტერმინი – პირობითი რეფლექსია.

პირობითი რეფლექსია – არის ადამიანთა და ცხოველთა ინდივიდუალურად შექმნილი რთული შეგუებითი რეაქციები, რომლებიც გამოუმუშავდება პირობითი (სიგნალურ) გამღიზიანებელსა და მასთან შეუღლებულ უპირობო რეფლექსური აქტის აღმძვრელ

ივანე პავლოვი

გამლიზიანებულს შორის დროებითი კავშირების დამყარების გზით.

პირობითი რეფლექსია ხორციელდება დიდი ტვინის ჰემოსფეროების ქერქით და ქერქქვეშა წარმონაქმნებით. პირობითი რეფლექსის გამომუშავებისათვის პირობითი გამლიზიანებლად შეიძლება გადაიქცეს ნებისმიერი ცვლილება ორგანიზმსა და გარე სამყაროში, რომლის აღქმა რეცეპტორებზე გამლიზიანებლის ზემოქმედებით ხდება. პირობითი რეფლექსი ფორმირების შეცვლის შემთხვევაში იცვლის სახეს ან სრულად ქრება. მისი ჩაქრობის პროცესი განპირობებულია შინაგანი შეკავებით, რომელიც იძლევა ფიზიოლოგიური და ბიოლოგიური ნიშან-თვისებების მიხედვით გამლიზიანებლების დიფერენცირების საშუალებას. შინაგანი შეკავების მეშვეობით ორგანიზმი თავისუფლდება იმ პირობითი რეფლექსისაგან, რომელიც ბიოლოგიურად სასარგებლო აღარ არის. სწორედ პირობითი რეფლექსების მრავალფეროვნება განაპირობებს ცხოველთა რთულ ქცევას და უზრუნველყოფს ორგანიზმის შეგუებას გარე სამყაროსთან. პავლოვის აზრით, პირობითი რეფლექსები ნერვული კავშირების საშუალებით ყალიბდება, რომლებიც წარმოიქმნიებიან გარეგანი ზემოქმედების ან შინაგანი მდგომარეობისა და ორგანიზმის უპირობო რეფლექსური რეაქციების საშუალებით.

ინდივიდის პირობითი რეფლექსიის პროცესს პავლოვმა უმაღლესი ნერვული მოქმედება უწოდა და იყენებდა შესაბამის ტერმინს „психическая деятельность“.

პავლოვმა ასევე აღმოაჩინა დიდი ტვინის ქერქში სხვადასხვა ტიპის და სახის შეკავება, აღზნებისა და შეკავების ირადიაცია და კონცენტრაცია. გამოყოფა აღმოაჩინა ნერვული სისტემის ოთხი ტიპი, რომლის მიხედვითაც დაადგინა ურთიერთკავშირი აღზნებასა და შეკავების პროცესებს შორის. ამით პავლოვმა უარყო ჰიპოკრატეს სწავლება ტემპერამენტების შესახებ.

პავლოვმა უდიდესი როლი ითამაშა ფსიქოლოგიის ისტორიის შემდგომ განვითარებაში.

**ჯონ უოტსონი (John Watson) (1878-1958)** – ამერიკელი ფსიქოლოგი. თანამედროვე ფსიქოლოგიაში დასწავლის თეორიის დიდი ნაწილი სათავეს სწორედ უოტსონის შრომებიდან იღებს. მან დააარსა ფსიქოლოგიური სკოლა, რომელიც ცნობილია, როგორც ბიჰევიორიზმი (ინგლის. behavior - ქცევა). 1908 წლიდან ჯ. უოტსონის უნივერსიტეტის პროფესორი. თავისი თეორია პირველად 1913 წელს ჩამოაყალიბა სტატიაში - „Psychology as the Behaviorist Views It“ („ფსიქოლოგია, როგორც მას ხედავს ბიჰევიორისტი“).

უოტსონი ამტკიცებდა, რომ ადამიანების ქცევის შესასწავლად ინტროსპექცია არ იყო მისაღები მეთოდი, რადგან ის ადამიანების განცდების, ხატებისა და შეგრძნებების შესახებ, არ გვაძლევდა ინფორმაციას, რომ ის ზედმეტად სუბიექტურ მეთოდს წარმოადგენდა. მკვლევარი მიიჩნევდა, რომ ფსიქოლოგია ობიექტური მეცნიერება გახდებოდა მხოლოდ მაშინ, თუ მისი შესწავლის საგანი გახდებოდა დაკვირვებადი ქცევა. რადგან ცნობიერების მდგომარეობანი არ არის ობიექტურად განსაზღვრადი და ამ მიზეზით ის ვერასოდეს გახდება მონაცემი მეცნიერებისათვის. მას ფსიქოლოგიის ძირითად მიზნად ქცევის კონტროლი და პროგნოზი მიაჩნდა.

იმდენად, რამდენადაც ბიჰევიორისტი ადამიანის ობიექტური დაკვირვების შედეგად ვერ პოულობს რაიმე ისეთს, რომელსაც ცნობიერებას უწოდებს, მათი აზრით – გრძნობა, წარმოსახვა, შეგრძნებები არ წარმოადგენს ფსიქოლოგიის საგანს. ქცევაზე დაკვირვება კი შესაძლებელია სტიმულისა(S) და რეაქციის(R) ფორმით. როდესაც მოქმედება ამ ტერმინებითაა (S - R) ფორმულირებული, ბიჰევიორისტს უკვე ეძლევა ქცევის წინასწარმეტყველების შესაძლებლობა.

ბიჰევიორიზმის ძირითადი ამოცანა მდგომარეობს ადამიანის ქცევაზე დაკვირვების ისეთი სიზუსტით დაგროვებაში, რომ ყოველ მოცემულ სტიმულზე (ან უმჯობესია ითქვას სიტუაციაში) ბიჰევიორისტს შეეძლოს მოსალოდნელი რეაქციის წინასწარ განსაზღვრა და პირიქით – მოცემული რეაქციის შემთხვევაში, როგორი იქნება მისი გამომწვევი სტიმული. უოტსონი მიიჩნევდა, რომ სტიმულსა და რეაქციის შორის თავდაპირველად ყალიბ-

დება შემთხვევითი კავშირი, რომელიც შედეგის ეფექტურობის შემთხვევაში თანდათან მყარდება. ამდენად, თუ ცნობილია კავშირი ანუ, ვიცით კონკრეტულ სტიმულს რა რეაქცია მოსდევს, რეაქციის არსებობის შემთხვევაში გვექნება შესაძლებლობა განვსაზღვროთ მისი გამომწვევი სტიმული და პირიქით.

უდავო და პირობითი სტიმულების ერთდროული მოქმედება იმაში მდგომარეობს, რომ სტიმულმა თავდაპირველად შესაძლოა არ გამოიწვიოს ის რეაქცია, რომელსაც მოგვიანებით (სტიმულის მრავალჯერადი განმეორებისას) შესაძლოა ჰქონდეს ადგილი. ამ პროცესს კი ბიპევიორისტები განპირობებულობას უწოდებენ. უოტსონი ყოველგვარ დასწავლას განპირობებულობის შედეგად მიიჩნევდა.

**განპირობებული რეაქცია (Conditioned response)** – აღმოცენდება აქამდე ნეიტრალური სტიმულის საფუძველზე. ეს ხდება იმის შედეგად, რომ ნეიტრალური სტიმული შეხვედრებულია განპირობებულ სტიმულთან.

**განუპირობებული სტიმული (Unconditioned stimulus)** – ინვესტ განუპირობებელ რეაქციას, სპონტანურ პასუხს.

თუ ამ თეორიას ბავშვის აღზრდის ტერმინებში გადმოვიტანთ, ის შემდეგნაირად შეიძლება იქნას გაგებულად. გარემოსა და ბავშვის შინაგანი მოცემულობის კონტროლით ნებისმიერი ბავშვის განვითარება შეიძლება ნაგებობით მკაცრად განსაზღვრული, წინასწარ დაგეგმილი მიმართულებით. ამასთან, ბიპევიორისტები შედეგობაში არ იღებენ შედარებით მცირერიცხოვან თანდაყოლილ რეაქციებს, რომლებიც ყველა ბავშვთან თითქმის ერთნაირად ნარმოდგენილი. უოტსონს სწამს ქცევის სწავლებიდან გამომდინარე განათლების ყოვლისშემძლეობის. „მომეცით მე ათი ჯანმრთელი და ძლიერი ბავშვი და მე მათგან შევქმნი სპეციალისტებს: ექიმს, კომერსანტს, იურისტს და, თუ გნებავთ მათხოვარს, ანდაც ქურდს, მიუხედავად მათი ტალანტისა, მონაცემებისა და წინაპრების ნარმოშავლობისა“ (Watson J. B., Behaviorism. N.Y. 1925. p. 104). უოტსონი მექანიკური ფაქტორის მნიშვნელოვნად არ მიიჩნევდა.

ბიპევიორისტი მასწავლებელი, რომელიც ზედმინევიანთ აკონტროლებს და აფასებს საგაკვეთილო პროცესს არის ცოდნის გად-

ამცემი, ხოლო მოსწავლე – ცოდნის პასიური მიმღები. სწავლა უშუალოდ დამოკიდებულია სწავლებაზე.

უოტსონი შეეხო აზროვნებისა და მეტყველების პროცესებსაც. ის მიიჩნევდა, რომ აზროვნება არის ქცევა. ზუსტად ისეთივე აქტივობა, როგორცაა, მაგალითად, გოლფის ან ჩოგბურთის თამაში. აზროვნება ნარმოადგენს უბრალოდ მეტყველებას, რომელიც ხორციელდება ფარული კუნთების მოძრაობით. რომ, როდესაც ადამიანი ფიქრობს, ფარულად მუშაობს ადამიანის სხეულის მთელი ორგანიზაცია, მიუხედავად იმისა, თუ რა იქნება აზროვნების საბოლოო შედეგი: ნერილი, მეტყველება თუ შედეგის უსიტყვო ფორმულირება.

დასწავლა და ჩვევა არის ბიპევიორიზმის ძირითადი მიმართულება. ჩვევა, უოტსონის მიხედვით, ყალიბდება ცდისა და შეცდომის გზით და ის უწყვეტად მიმდინარე პროცესია.

მიუხედავად შეზღუდულობისა, უოტსონის კონცეფციამ საფუძველი ჩაუყარა ჩვევებისა და დასწავლის საკითხების მეცნიერულად ფორმირებას.

**ედუარდ თორნდიკი (Eduard Thorndike) (1874-1949)** – ამერიკელი ფსიქოლოგი. 1904 წლიდან კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორი. ბიპევიორიზმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნარმოადგენელი.

თორნდიკმა თავისი ხანგრძლივი კარიერა კოლუმბიის უნივერსიტეტში დაიწყო, სადაც ის „პრობლემურ ყუთში“ აკვირდებოდა ცხოველთა ქცევებს. ცხოველი, მაგალითად კატა, მოთავსებული იყო ყუთში, საიდანაც არსებობდა თავის დაღწევის ერთადერთი გზა (მოეზიდა თოკი, რომელიც გახსნიდა ყუთის კარს). კატა თავდაპირველად ახორციელებდა სხვადასხვა ქცევას (ყნოსავდა გალიას, ბრჭყალებით კანრავდა კარებს, ეკიდებოდა კედლებს) მანამ, ვიდრე ბრჭყალებით შემთხვევით არ მოეჭიდა თოკს, რომელსაც თან მოჰყვა სასურველი შედეგი – კარების გაღება. ანალოგიურ სიტუაციაში იმავე ცხოველის მეორედ მოხვედრის შემთხვევაში კვლავ იქნება უშედეგო ქცევების სიმრავლე, მანამ სანამ ისევ შემთხვევით არ მოეჭიდება ცხოველი თოკს, რომელსაც შედეგად კარების გაღება მოჰყვება. ასეთი ეპიზოდების სერიების შემდეგ,

უშედეგო ქცევების რაოდენობა თანდათან უფრო შემცირდება და ცხოველს ყოველი მომდევნო შემთხვევისას სულ უფრო ნაკლები დრო დასჭირდება შედეგის მისაღწევად.

თორნდაიკი თვლიდა, რომ მისმა კვლევებმა მოახდინა დასწავლის იმ მნიშვნელოვანი ოპერაციების დემონსტრირება, რომლებიც სტიმულსა(S) და რეაქციას(R) შორის არსებული კავშირის თანდათანობითი გამყარებით აიხსნებოდა. უოტსონი მიიჩნევდა, რომ სტიმულსა და რეაქციას შორის თავდაპირველად ყალიბდება შემთხვევითი კავშირი, რომელიც შედეგის ეფექტურობის შემთხვევაში თანდათან მყარდება. თორნდაიკის თეორიაში არ მოიძებნება ადგილი გონებრივი ან ინტელექტუალური ანალიზისათვის ანუ, ქცევის დასწავლა ხდება ბრმად მიღწეული ნარმატების შედეგად. ერთი მოვლენის მეორეზე გადაჯაჭვას ადრე თუ გვიან მივყავართ სწორ პასუხამდე. სწორ რეაქციას მივყავართ „სურვილის დაკმაყოფილებამდე“, რის გამოც, სტიმულსა და რეაქციას შორის კავშირი თანდათან მყარდება და საბოლოოდ განმტკიცება (კავშირი) იმ დონემდე, რომ მოცემული რეაქცია გამოსაცდელ სიტუაციაში აღმოცენდება პირველი, ან ერთ-ერთი პირველი. თორნდაიკი იმდენად დარწმუნებული იყო დასწავლის ძირითადი წესის ან პრინციპის აღმოჩენაში, რომ თავის ამ მოსაზრებას „ეფექტის კანონის“ ფორმულირება მისცა.

**ეფექტის კანონი** – სტიმულ-რეაქციის ასოციაცია ან კავშირი ძლიერდება, როდესაც რეაქციას მოჰყვება სურვილის დაკმაყოფილება. თორნდაიკი მცდარი რეაქციების (ქცევების) თანდათანობით შემცირებას არასასურველი შედეგებით ხსნიდა. ამიტომ ორი ნაწილისაგან შემდგარი „ეფექტის კანონი“ საბოლოო ჯამში შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: ინდივიდი გამოიყენებს ან შეინახავს ნებისმიერ იმ რეაქციას, რომელსაც შედეგად სურვილის დაკმაყოფილება მოჰყვება და უკუაგდება ყველა იმ რეაქციას, რომელსაც არასასურველი შედეგი ახლავს თან.

• **დასწავლის სხვა კანონები**

თორნდაიკი ეფექტის კანონს მიიჩნევდა დასწავლის ძირითად პრინციპად, თუმცა არასაკმარისად, ყველა იმ სიტუაციის შესასწავ-

ლად, რომელშიც ადგილი აქვს, ან არ გვხვდება დასწავლის პროცესი. ამიტომ მან შემოგვთავაზა კიდევ ორი კანონი, რომელიც განიხილება როგორც ეფექტის კანონის აუცილებელი დანამატი. ესენია:

• **ვარჯიშისა და მზადყოფნის კანონი**

**მზადყოფნის კანონი** ნარმოადგენს იმ მოთხოვნის არსებობის დადასტურებას, რომელიც ჩნდება დასწავლის პროცესის დროს. ეფექტის კანონი, ბრმად მიღწეული შედეგის გამო, უმეტეს შემთხვევაში, არ იძლევა მხოლოდ ერთი ცდით სრულყოფილად დასწავლის საშუალებას. კავშირების დასამყარებლად საჭიროა მრავალრიცხოვანი შეცდელობა და თითოეული ნარმატებული ცდა კავშირის განმტკიცებას იწვევს.

კვლევის პირვანდელი ეტაპისათვის თორნდაიკს მიაჩნდა, რომ ვარჯიშის, მზადყოფნისა და ეფექტის კანონები დასწავლის მთელ პროცესს მოიცავდა. მოგვიანებით, მან ეფექტის კანონს უარყოფითი ნაწილი ჩამოაცილა, რადგან დადასტურდა, რომ დასწავა არ ამცირებდა არასწორი რეაქციების რაოდენობას: ამიტომ თორნდაიკმა შემოიტანა შესატყვისობის კანონი.

**შესატყვისობის კანონის** არსი მდგომარეობდა შემდეგში – განსაზღვრული სახის საგნები განაპირობებენ უფრო სწრაფ დასწავლას სხვებთან შედარებით; რომ ზოგიერთი საგნები უფრო ბუნებრივად ეთავსებიან ერთმანეთს ვიდრე სხვები.

კიდევ ერთი კანონი, რომელიც თორნდაიკმა შემოგვთავაზა, იყო **ასოციაციური დაქვრის კანონი**. აღნიშნული კანონი ნარმოადგენდა პასუხს უოტსონის გამოძახილზე. უოტსონს მიაჩნდა, რომ ყოველგვარი დასწავლა განპირობებულია შედეგით. ასოციაციური დაქვრის კანონის დანიშნულებაა განპირობებულია ეფექტის კანონში ჩართოს. ამ კანონის შესაბამისად, ორიგინალურ კავშირთან (S-R) ასოცირებულმა სტიმულებმა, შეიძლება ორიგინალური სტიმულის არარსებობის შემთხვევაშიც იგივე რეაქცია გამოიწვიოს.

თორნდაიკის 1903 წლის ნაშრომმა – „პედაგოგიური ფსიქოლოგია“ – დიდი გავლენა მოახდინა აშშ-ს საგანმანათლებლო სისტემაზე, მათ შორის, პროგრამული სწავლების კონცეფციაზე. 1912 წელს ის არჩეული იქნა ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაციის

პრეზიდენტად. მას ეკუთვნის 500-მდე სამეცნიერო ნაშრომი.  
უოტსონი აღნიშნავდა, რომ თორნდაიკის ნაშრომებმა მასზე უდიდესი გავლენა მოახდინა. პავლოვი წერდა: „რამდენიმე წლის შემდეგ ჩემს ახალ მეთოდებზე მუშაობისას გავიგე, რომ მსგავს ცდებს ამერიკაში ატარებდნენ, თანაც არა ფიზიოლოგები, არამედ ფსიქოლოგები. მას შემდეგ მე ყურადღებით ვცნობოდი ამერიკულ პუბლიკაციებს და უნდა ვაღიარო, რომ ჩემი პირველი გადადგმული ნაბიჯები ე. წ. თორნდაიკს ეკუთვნის“.

**ფრედერიკ სკინერი (Frederic Skinner) (1904-1990)** – ამერიკელი ფსიქოლოგი. 1948 წლიდან ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი. ნეობიჰევიორიზმის თვალსაჩინო წარმომადგენელი.

1938 წელს გამოცემულ მის მთავარ ნაშრომში, „ორგანიზმების ქცევა“, (*The Behavior of Organisms*) შემუშავებულია „ოპერანტული განპირობებულობის“ (Operant Conditioning) პრინციპები. კერძოდ, სკინერის ექსპერიმენტის თანახმად, ვირთხა, რომლის ნონა დაკლებულია 80-90%-ით ნაკლებია ნორმალური ვირთხისაგან, მოთავსებულია ყუთში („სკინერის ყუთი“). ყუთს აქვს ნახვრეტი (საიდანაც ვირთხას მიეწოდება საჭმელი) და გადასალახავი ბერკეტი. ვირთხამ რამდენჯერმე უნდა დააჭიროს ბერკეტი, რომ მიიღოს საჭმლის პორცია. ამ ბერკეტის გადალახვას სკინერმა ოპერანტული (სიტყვა „ოპერაციიდან“ გამომდინარე) რეაქცია უწოდა. არ აქვს მნიშვნელობა, თუ რითი მიიღებს ვირთხა შედეგს (ბერკეტზე თათის, კუდის, თუ ცხვირის დაჭერით), ამ შემთხვევაში საჭმელს. ოპერანტული რეფლექსია განსხვავდება პავლოვის პირობითი რეფლექსიისაგან. ოპერანტული რეაქცია არის შედეგისკენ მიმართული ქცევა. სკინერის თანახმად, ოპერანტული განპირობებულობა შეიძლება გამოყენებული იყოს არა მარტო სხვა ადამიანთა ქცევის, არამედ საკუთარი ქცევის კონტროლისათვის.

თვითკონტროლის მიღწევა ხდება იმ პირობების შესაქმნელად, რომელიც სასურველ ქცევას განაპირობებს. ანუ, თვითკონტროლის მიღწევა შეიძლება სასურველი ქცევის მხარდასაჭერი

პირობების შესაქმნელად. სკინერმა ძირეულად შეცვალა მანამდე არსებული მოსაზრებები ადამიანის ქცევასთან დაკავშირებით. მისი კონცეფციის თანახმად, გარე სტიმული იწვევს იმ სახის რეაქციას მას შემდეგ, რაც ამ სტიმულზე ორგანიზმის მიერ გარკვეულ რეაქციასთან გამყარება მოხდება. ანუ – **ქცევა რეგულირდება შემთხვევითი განმტკიცებებით და ის არის გარემო პირობების შედეგი**. ცხოველის და ადამიანის ქცევის იდეის იდენტურობის მექანიზმიდან გამომდინარე, სკინერმა თავისი კონცეფცია მეტყველებაზე განავრცო.

სკინერი არის პროგრამული სწავლების იდეის ავტორი, რომლის მიზანი იყო სწავლის პროცესის ეფექტურად წარმართვა. უნდა გავითვალისწინოთ, რომ პროგრამული სწავლების ელემენტები ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში (სოკრატე, პლატონი) გვხვდება.

პროგრამული სწავლების დროს, მასწავლებლის მიზანია ეფექტურად და ეტაპობრივად შეასწავლოს მოსწავლეს სასწავლო მასალა. პროგრამული სწავლების ძირითადი პრინციპებია:

- **მცირე საფეხურებით სწავლება** – სასწავლო მასალა იყოფა მცირე ნაწილებად, რათა მოსწავლემ მისი სწავლა ადვილად შესძლოს;
- **სწავლების ტემპის ინდივიდუალიზაცია** – მოსწავლეები, თავიანთი რესურსებიდან და შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ოპტიმალურ ტემპში სწავლობენ;
- **სწორი პასუხის დაფიქსირება** – კითხვაზე პასუხის გაცემის შემდეგ მოსწავლეს აქვს საშუალება შეამოწმოს თავისი პასუხის სისწორე და მხოლოდ სწორი პასუხის გაცემის შემთხვევაში შეუძლია შემდეგ საფეხურზე გადასვლა;
- **სირთულეების თანდათან ზრდა** – პირველი საფეხურის შემდეგ რთულდება სასწავლო მასალის დავალებების შესრულება;
- **განმტკიცებელი ცოდნის დიფერენცირება** – ცოდნის გამოვლენა-გამტკიცება, ილუსტრირებული მასალის გამოყენება, მსგავსი მაგალითების მოყვანა;
- **სწავლების ერთსახეობა** – სწავლების პროცესის ერთიანი ხაზი.

პროგრამული სწავლება იყო სწავლების ფორმალიზაციის პროცესის დახვეწის პირველი ცდა - ურთიერთობა მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის. დასავლეთში დღეს უკვე თვლიან, რომ ეს მიდგომა ეფექტური სწავლისათვის საკმარისი აღარ არის. პროგრამული სწავლების გამოყენებამ ცხადყო, რომ სწავლების პროცესი არ არის სრულიად ავტომატიზირებული და რომ მასწავლებლის მოსწავლესთან ურთიერთობა სწავლის პროცესში პრიორიტეტულად რჩება.

დღეს კომპიუტერული ტექნოლოგიების განვითარებამ და დისტანციური სწავლების მეთოდმა გაზარდა პროგრამული სწავლების თეორიის როლი საგანმანათლებლო პრაქტიკაში, რამაც მასწავლებლის და მოსწავლის ურთიერთობა ძირულად შეცვალა.

### სოციალური დასწავლის თეორია

**ალბერტ ბანდურა (Albert Bandura) (1925-1988)** – პოლონური წარმოშობის ამერიკელი ფსიქოლოგი. სოციალური დასწავლის თეორიის ავტორი. ფსიქოლოგიური განათლება მიიღო აიოვას უნივერსიტეტში (აშშ). 1952 წლიდან ფილოსოფიის დოქტორი. 1953 წლიდან მუშაობდა სტენფორდის უნივერსიტეტში. 1973 წლიდან ფსიქოლოგიის პროფესორი.

ბანდურამდე მიიჩნევდნენ, რომ ადამიანის ქცევა დამოკიდებულია მთელ რიგ შინაგან ფაქტორებზე. როგორცაა, მაგალითად: მოთხოვნილება, განზრახვა. სტენფორდის უნივერსიტეტში ბანდურამ საკვლევ მასალად აიღო სიტუაციური ქცევების სპეციფიკური ფორმები. მეთოდოლოგიის „სტიმული-რეაქცია“ (S-R)-ზე მუშაობის დროს, მეცნიერი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ აღნიშნული მოდელი ადამიანის ქცევისათვის სრულებით არ არის მისაღები და წარმოადგინა საკუთარი მოდელი, რომელიც უფრო ნათლად განმარტავს ქცევის დაკვირვებით დასწავლას. ამასთან, დაკვირვება განიხილებოდა დასწავლის ხელისშემწყობ და არა ერთადერთ ფაქტორად. 1969 წელს გამოცემულმა ნიგნმა „ქცევის მოდიფიკაციის პრინციპები“ („Principles of Behavior Modification“) ბანდურას საყოველთაო აღიარება მოუტანა.

სოციალური დასწავლის თეორიის თანახმად, ადამიანის დეტერმინირებული სწავლების ფორმად სხვა ადამიანების ქცევის ნიმუშებზე დაკვირვება გამოცხადებული, რის შემდეგაც შესწავლილი ქცევა მისი შედეგიდან გამომდინარე მოტივაციად გადაიქცევა (სქემა №1). ასეთი შედეგი არა მარტო სხვა ადამიანზე ქცევის დაკვირვებით მიიღება, არამედ შესაძლებელია თვითგამყარება მოხდეს, რომელიც თავის მხრივ, შინაგანი მოთხოვნილებების შესაბამისადაა განპირობებული (ცხრილი №2).

ცხრილი №2 დაკვირვებითი დასწავლის კომპონენტები

ყურადღების პროცესები	დამახსოვრების პროცესები	მოტორულ-რეპროდუქციული პროცესები	მოტივაციური პროცესები
ადამიანი აკვირდება ქცევის მოდელს და ახდენს ამ ქცევების აღქმას	ადამიანი იმახსოვრებს ადრინდელი დაკვირვებით აღქმულ ქცევის მოდელებს (ხანგრძლივი მესხიერება)	ადამიანი ახდენს ქცევის მოდელის კოდირებას, რომელიც შემდგომში ახალი ქცევის საპასუხოდ იყენებს	თუ პოტენციურად არ არსებობს პოზიტიური განმტკიცება (გარეგანი, ირიბი ან თვითგანმტკიცება), მაშინ ადამიანი მიმართავს (ანხორციელებს) მოდელირებულ ქცევას


სწრაფ დასწავლას განაპირობებს კონკრეტული საგნის ხელმისაწვდომობა და მისი ეფექტურობა მინოდება. ბანდურამ ძირითადად ის პროცესები გამოყო, რომელიც მიმდინარეობს დაკვირვებითი სწავლების დროს:

- ყურადღება;
- დაყოვნება;
- მოტორული კვლავნარმოება;
- განზრახვა.

თავის თეორიაში ბანდურა ეხება აგრესიასაც. მან აგრესიის ახლებური ინტერპრეტაცია შემოგვთავაზა. თავდაპირველად ბანდურა აგრესიაში მოიაზრებდა იმპულსურ, მჭიდრო პათოლოგიურ რეაქციას ფრუსტრაციაზე, მაგრამ კვლევებმა განსხვავებული შედეგები აჩვენა. მან აღმოაჩინა, რომ აგრესიული ქცევები ბავშვებს უნივთარდებთ მამინ, როცა ასეთივე აგრესიულ გარემოში იმყოფებიან ან იზრდებიან. მაგალითად, აგრესიული მოზარდების ერთი ან ორივე მშობელი აგრესიული არიან. ანუ, ბანდურა თვლის, რომ აგრესია არის დასწავლადი ქცევა.

პატარა ბავშვებზე დაკვირვების შედეგად (რომლებსაც აჩვენებდა ფილმებს, სადაც ჭარბად იყო ვერბალური აგრესია), ბანდურამ აღმოაჩინა, რომ ბავშვებს აქვთ მიდრეკილება მიბაძონ სხვებს, გაიმეორონ ნაწახი. აქედან გამომდინარე, რისხვა, როგორც საერთო აღლევების გამოვლინება, რომელიც აგრესიაში გადაიზრდება და მხოლოდ მაშინ იჩენს თავს, როცა გარკვეულ სიტუაციაში სოციალური ფორმით იღებენ რისხვის გამოვლინების რეაქციას სანიმუშო (მისაბაძი) მოდელის სახით. დაკვირვებითი დასწავლა ეფექტურად მიმდინარეობს მაშინ, როცა ხდება ქცევის სიმბოლური და შემდეგ კოდირებული სიტყვების მოდელირება. ადამიანები უფრო კარგად მოახდენენ დაკვირვებით სწავლებას თუ ეს მათ სასურველ შედეგებამდე და ასეთივე სასურველ შედეგებამდე მიიყვანს. რაც მეტი ფუნქციონალური ღირებულება ექნება მისაბაძ ქცევას და რაც მეტი იქნება ამ ქცევის შედეგით აღფრთოვანების ხარისხი, მით უფრო ეფექტური იქნება დაკვირვებითი დასწავლა.

სქემა №1 დეტერმინიზებული ურთიერთქმედების მოდელი



### კოგნიტური თეორია

კოგნიტური (ლათ. cognitio – შეცნობა, შემეცნება) ნიშნავს შემეცნებას. კოგნიტური ფსიქოლოგია არის ერთ-ერთი წამყვანი მიმდინარეობა თანამედროვე ფსიქოლოგიაში. იგი დაუპირისპირდა აშშ-ში გაბატონებულ ბიჰევიორიზმს, რომელიც ფსიქოლოგიის შესწავლის საგნად ადამიანის ცნობიერებას კი არა ქცევას მიიჩნევდა. კოგნიტური ფსიქოლოგია, როგორც ცალკე მიმდინარეობა აღმოცენდა ამერიკაში XX საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს და 60-იანი წლების დასაწყისში. კოგნიტურ ფსიქოლოგიაზე ერთ-ერთი პირველი ნაშრომი ულრიკ ნეისერს ეკუთვნის (U. Neisser, „Cognitive Psychology“ 1967). კოგნიტური ფსიქოლოგია შეისწავლის პროცესებს, რომელიც ადამიანის მეტალობაში ინფორმაციის დამუშავებისას ანუ სწავლის პროცესის დროს მიმდინარეობს. მთავარი მის მოძღვრებაში არის სუბიექტის მესხიერების და შემეცნების პროცესების შესწავლა.

კოგნიტური ფსიქოლოგია მოიცავს ყველა მიმართულებას. ესენია: ა) ინდივიდის ინტელექტის განვითარების ეტაპები შემეცნების პროცესში (ჟ. პიაჟე, ჯ. ბრუნერი, ჯ. ფოდორი); ბ) ვერ-

ბალური და ალქმის კომპონენტები შემეცნებასა და მესხიერებაში (გ. ბაუერი, ა. პაივიო, რ. შებარდი); გ) ემოციის როლი შემეცნების დროს (ს. შეხტერი); დ) ინდივიდუალური განსხვავებები (მ. აიზენკი) და ე) პიროვნების როლი (ჯ. კელი, მ. მაკონი).

**ჟან პიაჟე (Jean Piaget) (1896-1980)**

**ინტელექტის განვითარების ოთხი საფეხური**

ჟან პიაჟე კოგნიტური თეორიის ერთ-ერთი ავტორია. შვეიცარიელი ფსიქოლოგი. 1915 წელს დაამთავრა ნეშატელის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტი. სხვადასხვა დროს ნეშატელის, ჟენევის და ჟან-ჟაკ რუსოს ინსტიტუტების დირექტორი იყო. 1942 წლიდან შვეიცარიის ფსიქოლოგიის საზოგადოების პირველი პრეზიდენტი. 1955 წლიდან ჟენევის გენეტიკური ეპისტემოლოგიის დირექტორი. ითვლება ჟენევის გენეტიკური ფსიქოლოგიის ფუძემდებლად.

პიაჟე ცდილობდა შეეცნო ბავშვის განვითარების ის ძირითადი ფაქტორები, რომლებიც დამოკიდებულია ცხოვრების პროცესების მიმდინარეობაზე და ბიოლოგიურ მოვლენებზე. მისი კვლევის მთავარი ამოცანა იყო ბავშვის ინტელექტის წარმოშობის და განვითარების პრობლემები. ზოგადად ინტელექტი პიაჟესათვის არის ოპერაციათა სისტემა, სამყაროს შემეცნების გარკვეული ლოგიკური სტრუქტურების ფლობა. ბავშვის აზროვნების განვითარება ოპერაციულ სტრუქტურათა განვითარებაა. ლოგიკის განვითარება განაპირობებს მოვლენათა შემეცნებას. აზროვნების განვითარება ემორჩილება სულ უფრო სრულყოფილ ლოგიკურ სტრუქტურებზე გადასვლის შინაგან კანონზომიერებებს. ინტელექტი ატარებს ბიოლოგიური წარმოშობის ნიშას და სწორედ კავშირი განსაზღვრავს მის არსებით თავისებურებებს. ორგანიზმი იღებს გარკვეულ მონაცემებს, რომლებიც ინტელექტის განვითარებას უზრუნველყოფენ.

მრავალი წლის ცდებისა და კვლევების შედეგად პიაჟემ თავის ძირითად ნაშრომებში (Introduction a l'epistemologie genetique,

t. 1—2. — P., 1950; La genese de l'idee de hasard chez l'enfant. — P., 1951; Essai sur les transformations des operations logiques. — P., 1952; Logique et equilibre. — P., 1957. Le jugement moral chez l'enfant. — P., 1957) ინტელექტის განვითარების ოთხი საფეხური გამოყო:

სტადია	ასაკი	დამახასიათებელი ქცევები
სენსორო-ტორული	დაბადებიდან 1,5-2 წლამდე	ჩვილები შეიცნობენ სამყაროს სხვადასხვა მოქმედების საშუალებით: ნოვა, ლეჭვა, კბენა და სხვ.
წინაოპერაციული	2-დან 6 წლამდე	ბავშვში ფორმირდება გაცემა და იყენებს ისეთ სიმბოლოს, როგორცაა ენა. ადგილი აქვს ეგოცენტრულ აზროვნებას.
კონკრეტული ოპერაციული	6-დან 11 წლამდე	ლოგიკურად აზროვნებენ. ახდენენ ობიექტების კლასიფიკაციას სხვადასხვა ნიშნებით.
ფორმალური ოპერაციული	11-დან და მოზრდილობამდე გრძელდება	მოზარდებს შეუძლიათ გააკეთონ ანალიზი და მომავლისთვის დასახვენი გეგმებს.

პიაჟე ხშირად ატარებდა დაკვირვებას ბავშვებზე. მეტი თვალსაჩინოებისთვის განვიხილოთ პიაჟესივე მაგალითი განვითარების ეტაპებზე. მკვლევარი ბავშვებს სხვადასხვა ზომის ჯოხებს აძლევდა. კვლევა დაყოფილ იქნა ოთხ სტადიად, პიაჟეს ინტელექტის განვითარების შესაბამისად. განვითარების ეტაპები აღნიშნული იყო A, B, C, D ასოებით.

კვლევის I (A) ეტაპზე, ბავშვები ჯოხებზე დაკვირვების დროს მათ შორის სხვაობას ვერ ამჩნევენ და ამბობდნენ, რომ ჯოხები ტოლია;

II (B) ეტაპზე, ბავშვები ჯოხებს 2 სხვადასხვა ჯგუფად ყოფდნენ: დიდებად და პატარებად;

III (C) ეტაპზე ბავშვები ჯოხებს შემდეგ სამ ჯგუფად ყოფდნენ: დიდი, საშუალო და პატარა;

IV (D) ეტაპზე ბავშვები არჩევდნენ ყველაზე გრძელ ჯოხს და შემდგომ მის გვერდით ათავსებდნენ სხვა დანარჩენს, სიგრძის მიხედვით.

განვიხილოთ უფრო დეტალურად თითოეული სტადიის თავისებურებანი:

### 1. სენსომოტორული სტადია (დაბადებიდან 1,5-2 წლამდე).

ამ დროს ჩვილის ინტელექტი გრძნობის ორგანოებისა და სხეულის მოძრაობის შედეგად მიღებულ ინფორმაციებს გადაამუშავებს.

პიაჟეს აზრით, ბავშვი დაბადებიდან 15 თვემდე საგანს განსხვავებულად აღიქვამს. როგორც კი ვეღარ ხედავს საგანს, საგანი წყვეტს მისთვის არსებობას, თუ თავიდან დაინახა ე. ი. ხელახლა გაჩნდა აღქმის საგანი. მკვლევარმა 15 თვის ასაკამდე ბავშვებში სამ ეტაპიანი ცდა ჩაატარა:

- 6-7 თვის ბავშვი: ბავშვს აჩვენებდნენ სათამაშოს, შემდეგ კი მას მალავდნენ, ბავშვი ვეღარ ხედავდა სათამაშოს და ყოველგვარ ინტერესს კარგავდა მის მიმართ;
- 8-12 თვის ბავშვი: რაიმე საგანს იღებდნენ და აჩვენებდნენ ბავშვს, შემდეგ საგანს A ადგილს უცვლიან და ბავშვს სთხოვენ მოძებნოს ის. ბავშვი პოულობს საგანს. ამის შემდეგ საგანს კვლავ უცვლიან B ადგილს, მაგრამ ბავშვი მიდის ისევ ძველ ადგილას. მისთვის ეს საგანი ადგილისადმი მიკუთვნილებული გახდა. ამას პიაჟემ შეცდომა უწოდა.
- 13-15 თვის ბავშვი: ბავშვს აჩვენებს საგანი, რომელიც რაღაც სა-

თავსოშია, შემდეგ კი ამ საგანს ქვეშ დებენ. ბავშვს ეკარგება ინტერესი საგნის მიმართ. საგნების მიმართ ასეთი დამოკიდებულება 15 თვემდე გრძელდება. ასაკის მატებასთან ერთად ბავშვმა იცის, რომ მისი ხედვის მიუხედავად საგანი არსებობს. ბავშვს ეგოცენტრიზმი უფითარდება. იგი საკუთარი ფიქრების გადატანას სხვაზე ახდენს და თვლის, რომ სხვებიც მასავით ფიქრობენ. ბავშვს ვერ წარმოუდგენია, რომ სხვას შეიძლება განსხვავებული აზრი გააჩნდეს. ეგოცენტრიზმი 5-6 წლამდე გრძელდება.

კოგნიტურ ფუნქციებს ავითარებს გარემოსთან ურთიერთობის გამოცდილების დაგროვება. მნიშვნელოვანია, რომ ამ ასაკში ბავშვებს მიეცეთ სხვადასხვა ზომის, ფორმის და ფერის საგნები, რომლებითაც ის მანიპულირებას შესძლებს (შეეხოს, მოწოვოს, აჩხაკუნოს, გადაადგოს, უყნოსოს და ა. შ.). ამ გზით ბავშვი ეცნობა საგანთა თვისებებს და გარემოს.

ეგოცენტრული მეტყველების სტადიაზე ბავშვი ლაპარაკობს მხოლოდ საკუთარ თავზე და არ ცდილობს თანამოსაუბრისათვის აზრის გაზიარებას; არ აქვს სურვილი იმოქმედოს თანამოსაუბრეზე ან მას რაიმე აცნობოს. არ აინტერესებს უსმენენ თუ არა, ის საუბრობს საკუთარი სიამოვნებისათვის.

### 2. წინაოპერაციული სტადია (2 წლიდან – 6 წლამდე).

ბავშვის აქციენტი გადადის აზროვნებაზე, კოგნიტურ პროცესებზე. ამ სტადიაზე მეტყველება აზროვნების საშუალებაა. ადგილი აქვს ეგოცენტრულ აზროვნებას. ამავე დროს ბავშვმა უნდა დაძლიოს საკუთარი ეგოცენტრიზმი. ის საკუთარი აქტივობების საშუალებით შეიმეცნებს. მნიშვნელოვანია ის მოქმედებები, რომლებსაც ბავშვი ხშირად ასრულებს.

- მიბაძვა-ნაბაძვა. ბავშვი ბაძავს ამა თუ იმ ობიექტს ან აქტივობას. მაგ., დადის როგორც ესა თუ ის ცხოველი, რომელიც წინა დღეს ზოობარკში ნახა;
- ხატვა. ამ ასაკის ბავშვების ნახატები ძალიან სიმბოლური ხასია-

ათისაა და მათი შემოქმედებითი აზროვნების დონეს განსაზღვრავს;

- სიმბოლური თამაში. ბავშვებს სიაზროვნებთ როდესაც „ვითომ“ რაღაცას აკეთებენ. ვითომ სძინავს, ვითომ დიასახლისია და სხვ.
- შეტყველება. ბავშვს ხანგრძლივად საუბრის საშუალება უნდა ჰქონდეს მშობლებთან, ოჯახის სხვა წევრებთან, მასწავლებლებთან და თანატოლებთან. საუბრის თემად შეიძლება გამოყენებული იყოს საბავშვო ჟურნალ-გაზეთების ან წიგნების სურათები, რაც თავის მხრივ ბავშვის ინტელექტუალურ განვითარებასაც შეუწყობს ხელს.

### 3. კონკრეტული ოპერაციების სტადია (6 - 11 წელი).

ბავშვი აზროვნების პროცესში იწყებს ლოგიკის გამოყენებას. შეუძლია საგნებისა და მოვლენების კლასიფიკაცია. მისი აზროვნება ზრდასრული ადამიანის აზროვნებას ემსგავსება. ამ ასაკის ბავშვები რაოდენობის, მანძილის, ნივთიერების მასის, ფართობის, წონისა და მოცულობის მუდმივობას წედეიან. ამგვარი ოპერაციების განხორციელება მათ მხოლოდ კონკრეტულ საგნებთან მიმართებაში შეუძლიათ, საკუთარ გონებასა და წარმოდგენაში კი - არა. კონკრეტული საგნებით ლოგიკური ოპერაციის განხორციელება ბავშვისთვის უფრო ადვილია, ვიდრე მათ გარეშე. სასურველია ამ ასაკის ბავშვებმა ივარჯიშონ:

- შეადარონ, დააჯგუფონ, დააპირისპირონ (სათამაშოები, კენჭები, ბურთები და სხვ.);
- დააჯგუფონ და მოახდინონ კლასიფიკაცია (ჭურჭელი, მცენარეები, შინაური და გარეული ცხოველები და სხვ.); საკუთარ რვეულში ჩამოწერონ რას აკეთებენ მთელი კვირის მანძილზე და შემდეგ გამოყონ კატეგორიები - სახლში, სკოლაში და სხვ.;
- დაწერონ და იმსჯელონ საკუთარი გამოცდილების შესახებ. ბავშვები კონკრეტული ამბიდან გადავიყვანოთ ზოგად დასკვნაზე. ნუ მოვთხოვთ ცნებების უცებ და სრულად გაგებას.

### 4. ფორმალური ოპერაციების სტადია (12 წლიდან).

მოზარდებს აქვთ ფორმალური ამოცანების ლოგიკურად გადანიჭვის უნარი, წარმოსახონ ფაქტების საპირისპირო ვითარება, რეალისტურად იფიქრონ მომავალზე, ჩანდნენ მეტაფორის არსს. ამ სტადიაზე ჩნდებიან მუდმივობის ძირითადი ცნებები (მასის, წონის, მოცულობის და ა. შ.). ლოგიკური ოპერაციების შესრულებისათვის მხოლოდ რეალური საგნების არსებობა აღარ არის საჭირო. ახლა მათ აზროვნებას აღარ სჭირდება კავშირი ფიზიკურ ობიექტებთან და მოვლენებთან; რამდენადაც მოზარდები იწყებენ აზროვნებას კონკრეტული საგნების დახმარების გარეშე, მნიშვნელოვანია მათ ჰქონდეთ საშუალება საპირისპირო პოზიციების და შეხედულებების შესახებ მსჯელობის, შესაძლო ვარიანტების განხილვის და სხვ.

დღეს ფსიქოლოგთა გარკვეული ნაწილი მიიჩნევს, რომ ფორმალური-ოპერაციული სტადია არ არის ინტელექტის განვითარების ყველაზე მაღალი სტადია.

სუბიექტს, ზოგადად, ახასიათებს ორი ძირითადი ფუნქცია: ორგანიზაცია და ადაპტაცია. ადაპტაცია - გარემო პირობებთან შეგუება. ეს არის სიცოცხლის შენარჩუნების აუცილებელი პირობა. ადაპტაციის პროცესი სხვადასხვა ასაკობრივ საფეხურზე მნიშვნელოვანი ცვლილებებით მიმდინარეობს. ქცევის ყოველი აქტი ორგანიზებულია, ანუ წარმოდგენილია თავისი განსაზღვრული სტრუქტურებით. ამ სტრუქტურების დინამიური ასპექტი კი არის ადაპტაცია, რომელიც, თავის მხრივ, შედგება ორი ურთიერთგანსხვავებული პროცესისაგან - აკომოდაცია და ასიმილაცია.

აკომოდაცია შინაარსით ახლოსაა ტერმინ „ადაპტაციასთან“. ეს არის ასიმილაციის საწინააღმდეგო პროცესი. აკომოდაციის პროცესში ბავშვის მიერ ახალი ინფორმაციის ათვისებული მოქმედების სქემები ობიექტის გამოსაყენებლად საკმარისი არ არის. ბავშვს დასამულ კითხვაზე მზა სქემა არ გააჩნია. ის იძულებულია გადაადგილოს ძველი სქემები, რომ მიიღოს და შეიმეცნოს ახალი ინფორმაცია. აკომოდაცია ნიშნავს სიტუაციასთან აქტივობის შედეგად ქცევის შეგუების სქემებს, რის შედეგადაც არსებული სქემა იცვლება.

ბავშვის მოქმედებას პიაჟე მიბაძვას უწოდებს და გამოყოფს ორი სახის აკომოდაციას: მიბაძვით და ინტელექტისთვის დამახასიათებელს, რომელიც ბავშვობის მთელ პერიოდში კოგნიტიურ განვითარებას წარმართავს. ობიექტები, რომელთა მიმართ მიბაძვით აკომოდაციას აქვს ადგილი, ძირითადად ყესტებით და მიმიკებით არის გამოხატული. სქემების სრულყოფა და ახალი სქემების შემუშავება სწორედ აკომოდაციის გზით ხდება.

თუ ადამიანის მიერ მიღებული ცოდნა, პერცეპტული ხატი, ან სუბიექტური გამოცდილება შეესაბამება მისი ინტელექტის სტრუქტურას, მაშინ ეს ცოდნა, ხატები და განცდები „გაიგება“, ან პიაჟეს ენით, ასიმილირდება. ხოლო, თუ ინფორმაცია არ შეესაბამება ინტელექტის სტრუქტურას, ის მას უკუაგდება.

აკომოდაციის პროცესის საპირისპიროდ ასიმილაციის დროს ბავშვი ახერხებს იგივე სქემების ობიექტებში გამოყენებას და მის საკუთარ ქცევაში ჩართვას. ანუ, ბავშვი დასმულ ამოცანას მიღებულ ცოდნა-გამოცდილებას მორგებს. ასიმილაციის დროს ქცევის მოცემულ სქემაში რაიმე ცვლილება, ახალი გამოცდილების მიღების სახით არ ხდება. ის ინტელექტის განვითარების დონის მაჩვენებელი და ახალი გამოცდილების მიღების საშუალებაა. ასიმილაციის დროს ხდება არსებული სქემის შემცენებითი სრულყოფილება. ასიმილაცია ძირითადად ბავშვის თამაშის დროს ვლინდება.

აკომოდაცია და ასიმილაცია ერთმანეთთან ურთიერთდაკავშირებული პროცესებია. ყოველ კონკრეტულ ინტელექტუალურ აქტში შეიძლება ადგილი ჰქონდეს ან აკომოდაციის, ან ასიმილაციის უპირატესობას.

პიაჟე იყენებს განზოგადების ტერმინს, რაც გულისხმობს გარკვეული ბალანსის არსებობას, ანუ ნონასწორობის დამყარება გარემოსა და აზროვნების სტრუქტურებს შორის.

## პიაჟე და განათლება

ჟან პიაჟეს შემუშავებული სამი საგანმანათლებლო პრინციპი დღესაც საყოველთაო გავლენას ახდენს მასწავლებლების მომზადებასა და საკლასო მუშაობაზე: *nothing is learned until it is forgotten*

- **აღმოჩენებით სწავლება** – პიაჟესული სასწავლო პროგრამის დროს ბავშვებს ხელს უწყობენ რათა მათ გარემოსთან სპონტანური ურთიერთობით აღმოჩენები მოახდინონ. მზა ცოდნის ზეპირი გადაცემის ნაცვლად მასწავლებლები ფართოდ მრავალფეროვან საქმიანობას ეწევიან, რათა ხელი შეუწყონ ათვისებას – ხელოვნება, მოზაიკა, სამაგიდო თამაშები, წიგნები, საზომი ხელსაწყოები, მუსიკალური საკრავები და სხვ.;

- **ბავშვების სწავლებისადმი მზადყოფნის მიმართ გულისხმიერება** – პიაჟესული სასწავლო პროგრამით არ ცდილობენ განვითარების დაჩქარებას. პიაჟეს ყოველთვის სჯეროდა, რომ შესაბამისი სასწავლო გამოცდილებები ბავშვის მოცემული მომენტისათვის დამახასიათებელ აზროვნებას ემყარება. მასწავლებლები უყურებენ და უსმენენ თავიანთ მოსწავლეებს, უნერგავენ გამოცდილებებს, რომლებიც მათ ხელს შეუწყობს აამოქმედონ ახლად აღმოჩენილი სქემები და რომლებიც სავარაუდოდ ენიშნაღმდეგება მათ მიერ სამყაროს მცდარ ხედვას. თუმცა მასწავლებლები თავს არ ახვევენ მოსწავლეებს ახალ უნარ-ჩვევებს, ვიდრე ისინი ინტერესს ან მზადყოფნას არ გამოავლენენ, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, ნამდვილი აღქმის გარეშე უფროსების მიერ მომზადებული ფორმულების ზედაპირული ათვისება მოხდება;

- **ათვისება და ინდივიდუალური განსხვავებები** – პიაჟეს თეორია გულისხმობს, რომ ყველა ბავშვი განვითარებას ერთი და იმავე თანმიმდევრობით, მაგრამ განსხვავებული სიჩქარით გაივლის. ამიტომ მასწავლებლებმა თავიანთი მუშაობა უნდა დაგეგმონ ინდივიდებისა და პატარა ჯგუფებისათვის და არა ერთიანად მთელი კლასისათვის. ამასთან ერთად მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ ყოველი მოსწავლის გან-

ნათლებში წარმატებას მხოლოდ მის წინა განვითარებულ-  
ბასთან შედარებით აფასებენ. მათ ნაკლებად აინტერესებთ,  
თუ როგორ აფასებენ ბავშვები ნორმატულ სტანდარტებს, ან  
თანატოლების საშუალო მოსწრებას (Laura E. Berk -- Child De-  
velopment. (International edition), sixth edition. 2002; p. 251).

**ჯერომ ბრუნერი (Jerome Bruner, დაიბადა 1915 წ.)** ამერიკელი  
ფსიქოლოგი და პედაგოგი. ფსიქოლოგიური განათლება მიიღო  
ჰარვარდის უნივერსიტეტში. ის 1945-1972 წლებში მუშაობდა  
ჰარვარდის უნივერსიტეტში, ხოლო 1972-80 წლებში კი ოქს-  
ფორდის უნივერსიტეტის პროფესორი იყო. 1991 წლიდან დღემდე  
მუშაობს ნიუ-იორკის უნივერსიტეტის სამართლის სკოლაში. მისი  
შესწავლისა და კვლევის ობიექტი ბავშვის ფსიქოლოგია იყო. მისი  
ნაშრომებმა კოგნიტურ ფსიქოლოგიაში: *The Process of Educa-  
tion*; 1960, *Studies in Cognitive Growth*; 1966, *Actual Minds, Possible  
Worlds*; 1986 და სხვა მრავალმა, უდადესი როლი შეასრულეს კოგ-  
ნიტური ფსიქოლოგიის კვლევასა და განვითარებაში. მან თავის  
კვლევებში დიდი ადგილი დაუთმო განათლების პროცესს, რო-  
მელიც სასწავლო გეგმაშია წარმოდგენილი და შემეცნებითი გან-  
ვითარების თეორიებზეა დაფუძნებული.

ბრუნერმა პირველად წამოაყენა კვლევით პრობლემად რო-  
გორი სახით ხდება მოთხოვნილების და ღირებულებითი ორიენ-  
ტაციის აღქმის პროცესზე გამოვლენა და მივიდა დასკვნამდე,  
რომ აღქმა სელექციური პროცესია. მის სელექციურობას კი გან-  
სხვავებული მოტივების, მიზნების ან დამცავი მექანიზმების არ-  
სებობა განაპირობებს. მაგალითად, რაც უფრო მნიშვნელოვანად  
ან ღირებულად მივიჩნევთ საგნებს, მით უფრო მაღალი ჩანს  
მათი ფიზიკური სიდიადე, ისევე როგორც ფრუსტრაციის დროს  
ნეიტრალური სიტყვები აღიქმება როგორც საგანგაშო და საშიში.

კვლევების შედეგად ბრუნერი ასაბუთებდა, რომ უნდა გამოი-  
ყოს აღქმის „ავტოქტონური“ ფაქტორები, რომლებიც განპირო-  
ბებულია ბიოლოგიური მნიშვნელობის ნიშან-თვისებებით და  
დამოკიდებულია პიროვნული წარსულის გამოცდილებაზე. ამის  
საფუძველზე ბრუნერმა წამოაყენა ჰიპოთეზა. პერცეპტული  
პროცესების ძველი გამოცდილების დამოკიდებულების აღსან-

იშნად მან ტერმინი „სოციალური აღქმა“ დაამკვიდრა. სამყაროს  
გარშემო აღქმის ღირებულებათა პროცესს ის განიხილავდა რო-  
გორც რეპრეზენტაციის სამ ძირითად ფორმას:

1. ქცევის ფორმა;
2. ხატოვანი ფორმა;
3. ვერბალური ფორმა.

მკვლევარმა დაასაბუთა პერცეპციული ჰიპოთეზის თეორია,  
სადაც ყველა შემეცნებითი პროცესი განიმარტება როგორც კატ-  
ეგორიების ზედნადები, რომელიც, როგორც წესი, ობიექტების ან  
მოვლენების შედეგად ერთიანდება. კატეგორიზაციის პროცესი  
შედგება მთელი რიგი გადანყვებილებისაგან, რომელიც გამომ-  
დინარეობს იქიდან, თუ რა არის ობიექტი „კრიტიკული“. სიტყვა  
„კრიტიკული“ ამ შემთხვევაში გულისხმობს – ადამიანის არსებო-  
ბისათვის ყველაზე მნიშვნელოვან ატრიბუტებს, რომლებიც კატ-  
ეგორიების მიხედვითაა წარმოდგენილი.

კოს-კულტურული კვლევების შედეგად ბრუნერმა მიუთითა  
კულტურის მიხედვით ინტელექტის განსხვავებულობაზე, რომ  
კულტურები განსხვავებულ „გამაძლიერებლებს“ იძლევიან.

ჯერომ ბრუნერმა განმარტა ჟან პიაჟეს ფენომენები და  
კონკრეტული ოპერაციიდან ფორმალურ ოპერაციაზე გადასვლის  
პროცესს განიხილავდა როგორც ბავშვის იმ მოთხოვნების შეთ-  
ვისებას, რომელიც მას საზოგადოებამ შესთავაზა. საზოგადოების  
მიერ შეთავაზებული მოთხოვნილება კი უნდა შეესაბამებოდეს  
ბავშვის განვითარების იმ დროინდელ სტადიას.

ბრუნერი ამტკიცებდა („Study of Thinking“. 1956), რომ ყველა  
ბავშვი სწავლების ადეკვატური მიდგომის შედეგად შესძლებს და  
დაეუფლება ყველანაირ საგანს. ყველა ბავშვს აქვს ცნობისმოყვა-  
რეობა და სურვილი სწავლებით დაძლიოს სასწავლო დავალებები,  
მაგრამ საკმაოდ რთულ დავალებებთან შეჯახებისას, ბავშვს ძა-  
ლიან მალე ეუფლება წარუმატებლობის განცდა და ჩნდება მონყ-  
ენილობის გრძნობა.

რას გულისხმობს სწავლა?

**სწავლა** - ეს არის აქტიური პროცესი, როდესაც ინდივიდები  
შეიცნობენ და აშენებენ ახალ იდეებს თავიანთ ძველ ცოდნაზე.

მოსწავლე არჩევს და განაახლებს ინფორმაციას, აშენებს ჰიპოთეზებს და იღებს გადაწყვეტილებებს, გამოთქვამს მოსაზრებებს ამა თუ იმ საკითხზე. შემეცნებითი სტრუქტურა (სქემა - გონებრივი მოდელი) უზრუნველყოფს მნიშვნელობის გაგებას, მოვლენების ორგანიზაციას და საშუალებას აძლევს ადამიანს მოიძიოს დამატებითი ინფორმაცია. ინსტრუქცია დაინტერესებულია, რომ მასწავლებელმა განსაზღვროს მოსწავლეების შემეცნების პრინციპები. მასწავლებელმა და მოსწავლემ აქტიურ დიალოგში უნდა მიიღოს მონაწილეობა (სოკრატული მეთოდი). მასწავლებლის მთავარი მიზანი და ამოცანაა გარკვეულ ფორმატში შესასწავლი ინფორმაციის ისე მიწოდება და თარგმნა, რომ ასათვისებელი მასალა შეესაბამებოდეს მიმდინარე ვითარებასთან მოსწავლის კონკრეტულ შემეცნებას. სასწავლო გეგმა უნდა იყოს ორგანიზებული სპირალური სახით, ისე, რომ მოსწავლე განუწყვეტლივ ეყრდნობოდეს უკვე შესწავლილს.

ბრუნერმა უდიდესი გავლენა მოახდინა აშშ-ს საგანმანათლებლო სისტემაზე. ის ითვლება კონსტრუქტივიზმის თეორიის ერთ-ერთ ავტორად. მისი მტკიცებით, კონსტრუქტივიზმი მოიცავს ოთხ ძირითად ასპექტს:

1. სწავლისადმი განწყობა;
2. გზა, რომლითაც მოხდება ცოდნის ერთობლიობის სტრუქტურირება ისე, რომ მოსწავლე ყველაზე უკეთ იყოს მზად მის დასაძლევად;
3. მასალის მიწოდების ეფექტური თანმიმდევრობა;
4. ცოდნის სტრუქტურირებისათვის ადეკვატური მეთოდების შერჩევა, რომელიც ბავშვს მიღებული ცოდნით მანიპულირების შესაძლებლობას მისცემს.

კვლევების შედეგად ბრუნერმა საბოლოოდ განსაზღვრა კონსტრუქტივიზმის სწავლების შემდეგი სამი პრინციპი:

1. სწავლება დატვირთული უნდა იყოს იმ მოვლენებითა და კონტექსტებით, რომელიც მოსწავლეს სწავლის სურვილსა და შესაძლებლობას გაუჩენს (**მზადყოფნა**);

2. სწავლება ისე უნდა იყოს სტრუქტურირებული, რომ მოსწავლისთვის ადვილად ასათვისებელი იყოს (**სპირალური ორგანიზება**);

3. სწავლება ისე უნდა იყოს შემუშავებული, რომ ის შეივსოს სასწავლო პროცესში წარმოშობილი გარკვეული „ნაპრალებით“ (**დამატებითი ინფორმაციის მოძიება**).

### კულტურულ - ისტორიული განვითარების თეორია

**ლევ ვიგოტსკი (Выготский Лев Семенович) (1896-1934).** რუსი ფსიქოლოგი. მას არ მიუღია პროფესიული ფსიქოლოგიური განათლება. 1917 წელს დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, პარალელურად კი ა. ლ. შანიავსკის სახელობის სახალხო უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოსოფიური ფაკულტეტი.

პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა მშობლიურ ქალაქ გომელში; სამეცნიერო მოღვაწეობა დაიწყო ხელოვნების ფსიქოლოგიის სწავლებით. მისი პირველი ნაშრომი იყო ლიტერატურულ-ფსიქოლოგიური ანალიზი - „ჰამლეტის სახე შექსპირის პიესაში“. 1924 წლიდან მუშაობდა მოსკოვის სახელმწიფო ინსტიტუტში, ექსპერიმენტალურ ფსიქოლოგიაში; ხოლო შემდეგ მის მიერ დაარსებულ ექსპერიმენტალურ დეფექტოლოგიის ინსტიტუტში. სხვადასხვა დროს ლექციებს კითხულობდა მოსკოვში, ლენინგრადსა და ხარკოვში. 1928 წლიდან მოსკოვის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის პროფესორი იყო.

1925 წელს გამოაქვეყნა პირველი მონოგრაფიული ნაშრომი „ხელოვნების ფსიქოლოგია“. 1927 წელს გამოაქვეყნა ნაშრომი „Исторический смысл психологического кризиса“, სადაც გააანალიზა ფსიქოლოგიის თეორია და მეთოდოლოგია. აქვე ჩამოაყალიბა კონცეფცია, რომელიც ცნობილია „უმაღლესი ფსიქიკური ფუნქციის კულტურულ-ისტორიული განვითარების კონცეფციის“ („Культурно-историческая концепция развития высших психических функций“) სახელწოდებით. მასში გააშუქა საზოგადოებრივ-ისტორიული ბუნების, როგორც უმაღლესი ფსიქიკური ფუნქციის

(ვიგოტსკის ტერმინი – Высшие психические функции – ВПФ) შემეცნება. მისი სიტყვებით: „...Всякая функция в культурном развитии ребенка появляется на сцене дважды, в двух планах, сперва социальном, как категория интерпсихическая, затем внутри ребенка, как категория интрапсихическая“.

მუშაობდა დეფექტოლოგიის პრობლემაზე და დააარსა ფსიქოლოგიის ლაბორატორია ანომალური ბავშვებისათვის (1925-1926). შექმნა ახალი მიმართულება დეფექტოლოგიაში და დაამტკიცა დეფექტის შესაძლო კომპენსაცია უმაღლესი ფსიქიკური ფუნქციების განვითარების ხარჯზე. შეიმუშავა ანომალური ბავშვის განვითარების ახალი თეორია. ბოლო პერიოდში მუშაობდა აზროვნების და მეტყველების შეფარდებაზე, ონტოგენეზის განვითარების მნიშვნელობაზე, ეგოცენტრულ მეტყველებაზე („Мышление и речь“, 1934). შეისწავლა პიაჟეს ბავშვის აზროვნების განვითარების სტადიები და პიაჟესთან პოლემიკაში დაამტკიცა, რომ მეტყველება წარმოშობის მხრივ არის როგორც სოციალური, ასევე ფუნქციური მოვლენა.


ვიგოტსკის ანტიერესებდა არა მარტო ინტელექტისა და ფსიქიკის სოციალურ კონტექსტში, არამედ ისტორიული ცოდნის საზოგადოების დონეზე განვითარება და გაგება. მას სურდა პასუხი გაეცა კითხვისათვის – როგორ ახდენს ადამიანი სამყაროს კოლექტიურ გააზრებას? ავტორი ცდილობდა სოციოლოგიის, ანთროპოლოგიის და ისტორიის ასპექტების გაერთიანებას, რათა გაეღრმავებინა ინდივიდუალური განვითარების გაგება. მკვლევარი მივიდა დასკვნამდე, რომ სამყარო ჩვენთვის აზრს ატარებს მისი მნიშვნელობის შეთვისების ნყალობით. ადამიანები ყველანი ერთად ქმნიან კოლექტიურად გამოსაყენებელ მნიშვნელობას, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა. ეს ბუნებრივად გვეჩვენება ისეთ საკითხებზე, როგორიცაა, მაგალითად, სპორტული თამაშები ან კულინარიული საიდუმლოებანი, მაგრამ აღნიშნული მოსაზრება უფრო რთულ შემთხვევებშიც სანდოა. ისტორიის, მათემატიკის, ლიტერატურის და სოციალური ტრადიციების სისტემურმა შესწავლამ აჩვენა, რომ ჩვენ განვითარებთ ჩვენს გაგებას სამყაროზე უფრო კომპლექტური ადამიანებიდან აზრის გაზიარებისა და სწავლების გზით. ჩვენ

არა მხოლოდ გვაძლევს ამ პროცესში მონაწილეობის უფლებას, ჩვენით ხელმძღვანელობენ კიდევაც, რაც სამყაროს უკეთ გაგების და მეტი ოსტატობის მიღწევის საშუალებას იძლევა.

ვიგოტსკიმ ბავშვის ფსიქოლოგიაზე მუშაობის დროს ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ შემეცნებითი განვითარება მხოლოდ მაშინ ხდება, როდესაც ბავშვი შეთვისებს ახალ უნარებს. იგი ახდენს ახალი უნარების შეთვისებას არა მხოლოდ მისი ცხოვრებისეული გამოცდილების, არამედ ზოგადად ცხოვრებაში არსებული ცოდნის შედეგად. მას ანტიერესებდა როგორ ხდებოდა ბავშვი ისეთი, როგორიც ის იყო. ამის განსახილველად ავტორმა გამოყო კოგნიტური განვითარების ორი ზონა:

**I ზონა** არის – ბავშვის განვითარების აქტუალური ზონა, რომელიც განსაზღვრავს დამოუკიდებლად ამოცანის გადაწყვეტისათვის ბავშვის შესაძლებლობებს. **II ზონა** – არის მისი პოტენციური განვითარების ზონა, რომელიც განსაზღვრავს იმ ამოცანის ხასიათს, რომელსაც ბავშვი ამოხსნიდა ხელმძღვანელის ან თავისზე უფრო უნარიანი თანატოლის დახმარების შედეგად. ამ ორ ზონას შორის განსხვავებას ვიგოტსკიმ განვითარების უახლოესი ზონა უწოდა (სქემა №3).

სქემა №3 – ფსიქიკური (გონებრივი) განვითარების ზონები



„განვითარების უახლოესი ზონა“ - „Зона ближайшего развития“ რთული დავალებების განსაკუთრებული დიაპაზონი, რომ-

ლის შესრულება ბავშვს არ შეუძლია იმ მომენტში, მაგრამ შეუძლია შეასრულოს უფროსის დახმარებით – გარკვეული მინიმუმებით და დახმარებით. უფროსთან ერთობლივი მუშაობით მიღებული გამოცდილების შედეგად ბავშვს შეუძლია დამოუკიდებლად გადაჭრას ანალოგიური ამოცანა. სხვაგვარად, „განვითარების უახლოესი ზონა“ ეს არის განსხვავება აქტუალური განვითარების ზონასა (განსაზღვრული სირთულის საფეხურის ამოცანა, რომელსაც ბავშვი დამოუკიდებლად ასრულებს) და პოტენციური განვითარების ზონას (როდესაც ბავშვს შეუძლია დავალების შესრულება უფროსის დახმარებით) შორის. ვიგოტსკის სიტყვებით: „Зона ближайшего развития определяет функции, не созревшие еще, но находящиеся в процессе созревания; функции, которые можно назвать не плодами развития, а почками развития, цветами развития... Уровень актуального развития характеризует успехи развития, итоги развития на вчерашний день, а зона ближайшего развития характеризует умственное развитие на завтрашний день” (Выготский Л. С. Собрание сочинений, т. 4, Детская психология. М., 1984; ст. 124).

მასწავლებელი სწავლების პროცესში ორიენტაციას უნდა აკეთებდეს არა მოსწავლის განვითარების აქტუალურ ზონაზე, არამედ განვითარების უახლოეს ზონაზე. ამას მასწავლებელი მიაღწევს მხოლოდ სასწავლო პროცესის სწორად დაგეგმვის შემთხვევაში.

ვიგოტსკიმ ფსიქოლოგიაში ფორმულირება გაუკეთა ასაკის პრობლემას და შექმნა ასაკობრივი კრიზისული პერიოდიზაციის კონცეფცია, სადაც გამოყო „სტაბილური“ და „კრიზისული“ ასაკი, რომელიც დამახასიათებელია ფსიქიკური განვითარების თითოეული ეტაპისათვის.

ბავშვის ფსიქიკური განვითარება არათანაბრად მიმდინარეობს. არის წლები, როდესაც განვითარება შედარებით ნელა, ცვლილებების დაგროვების გზით ხდება. ვიგოტსკი ამას ბავშვის განვითარების წყნარ, ანუ სტაბილურ პერიოდს უწოდებს. თითოეული პერიოდი რამდენიმე წელს მოიცავს. აქ არ ხდება რაიმე ფუნდამენტური, მკვეთრი ძვრები და ცვლილებები, რომელიც ბავშვის პიროვნების შეცვლას გამოიწვევდა. სტაბილურ

ასაკში გროვდება გარკვეული „მიკროსკოპული ცვლილებები“ და როცა განვითარება გარკვეულ ზღვარს მიაღწევს, ხდება დიდი რაოდენობის ცვლილებების დაგროვება და ახალი სახის ასაკობრივი ახალწარმონაქმნის წარმოშობა. ჩნდება კრიზისი.

ვიგოტსკის თქმით, კრიზისის დროს ბავშვი მთლიანად იცვლება. კრიზისულ ასაკში ბავშვები ძნელად აღსაზრდელნი არიან. კრიზისის გარე ფაქტორები კი არა, განვითარების პროცესის შინაგანი ლოგიკა იწვევს. კრიზისის დროს არ ჩნდება შემოქმედებითი ფორმის სხვადასხვა ინტერესები.

ყოველი სტაბილური პერიოდი სადაც უნდა დამთავრდეს, რადგან განვითარებაში მნიშვნელოვანი ახალი წარმონაქმნი უნდა გაჩნდეს. ეს ხდება სწორედ კრიზისულ პერიოდში. ვიგოტსკის პერიოდიზაციის თითოეული ასაკი იწყება კრიზისით. კრიზისულ პერიოდში საფუძველი ეყრება ახალ სტაბილურ პერიოდს, რომელიც წინანდელს ცვლის. სწორედ კრიზისული პერიოდი ქმნის საფუძველს შემდგომი სტაბილური პერიოდის წარმოშობისა და განვითარების მიმდინარეობისათვის. ბავშვის განვითარებისათვის წამყვანი მნიშვნელობა სოციალური გარემოს ზემოქმედებას აქვს.

ასაკობრივი განვითარების კრიზისული პერიოდიზაცია:

- ახალდაბადებულის კრიზისი;  
ახალდაბადებულის ასაკი (2 თვე = 1 წელი);
- კრიზისი – 1 წელი;  
ადრეული ბავშვობა (1 – 3 წელი);
- კრიზისი – 3 წელი;  
სკოლამდელი ასაკი (3 – 7 წელი);
- კრიზისი – 7 წელი;  
სასკოლო ასაკი (8 – 12 წელი);
- კრიზისი – 13 წელი;  
პუბერტატული ასაკი (14-18 წელი);
- კრიზისი – 17 წელი.

ყველა კრიტიკული პერიოდისათვის (16, 36, 76, 136, 176) დამახასიათებელია შემდეგი განსაკუთრებული თვისებები:

1. კრიზისი ჩნდება შეუმჩნეველად. ძალიან ძნელია განისაზღვროს მისი დადგომის მომენტი და დასასრული. მკვეთრი გაუარესება კრიზისის შუა პერიოდში ხდება. ამ დროს კრიზისი აღწევს კულმინაციას;
2. კრიტიკულ პერიოდში ბავშვები ძნელად აღსაზრდელნი არიან. შეინიშნება ჭირვეულობა, შრომისმოყვარეობის და აკადემიური მოსწრების დაცემა. იზრდება კონფლიქტების რაოდენობა გარემომყოფებთან. ბავშვი ამ დროს განიცდის აუტანელ განცდებს;
3. ნეგატიური ხასიათის განვითარება. კრიზისის დროს აღინიშნება უფრო გამანადგურებელი, ვიდრე შემოქმედებითი საშუალო. ბავშვი არათუ იძენს ახალს, არამედ კარგავს უკვე შეძენილს. თუმცა, განვითარებისას ახლის გაჩენა აუცილებლად აღნიშნავს ძველის გაქრობას. კრიტიკულ პერიოდებში პარალელურად მიმდინარეობს განვითარების კონსტრუქციული პროცესები. ვიგოტსკიმ ამ შეძენილ პროცესებს ახალნარმონაქმნი უწოდა.

1924-1934 წწ-ში ვიგოტსკი მუდმივად ავადმყოფობდა ტუბერკულოზით. დიდი ხნის განმავლობაში იყო საავადმყოფოში. ტუბერკულოზის ხანგრძლივი ავადმყოფობა მეცნიერს სამეცნიერო მუშაობაში აფერხებდა. მიუხედავად ამისა, მან მომავალ თაობას დაუტოვა ათეულზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი. 1934 წლის 11 ივნისს ვიგოტსკი 38 წლის ასაკში ტუბერკულოზით გარდაიცვალა. მის თეორიებს დღესაც ითვისებენ მრავალი ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებები. მან არსებითი გავლენა მოახდინა ფსიქოლოგიური აზროვნების შემდგომ განვითარებაზე. მისმა მოსწავლეებმა (დ. ბ. ელკონინი, ა. ნ. ლეონტიევი, ა. რ. ლურია, ა. ვ. ზაპოროჟეცი და სხვ.) ღირსეულად გააგრძელეს მათი პედაგოგის დაწყებული საქმე.

**დანიელ ელკონინი (Эльконин Даниил Борисович) (1904-1984).** ლ. ვიგოტსკის კულტურულ-ისტორიული თეორია განავითარა მისმა მოსწავლემ, ცნობილმა რუსმა ფსიქოლოგმა დანიელ ელკონინმა. მან კულტურულ-ისტორიული თეორიის პოზიციიდან ფსიქოლოგიური ანალიზი ჩაატარა და გამოავლინა მისი როლი ბავშვის განვითარების პროცესში (Детская психология, 1960; Психология игры, 1978). ელკონინმა ბავშვის ფსიქოლოგიური განვითარების პერიოდიზაცია ონტოგენეზში განსხვავებული კუთხით წარმოადგინა. მის თეორიაზე დიდი გავლენა მოახდინეს პიაჟემ და ვიგოტსკიმ. მისი კონცეფცია დაფუძნებულია ბავშვის ნამყვანი საქმიანობის ვაგებაზე. ბავშვი, გარემოს გაცნობის პროცესში, ახდენს გარკვეული მოთხოვნილებების, მოტივების, ამოცანების (ბავშვი - უფროსი) რეალიზებას და ასევე ეუფლება საგნების სამყაროდაც კულტურული ქცევის უნარებს (ბავშვი - საგანი). მისი მტკიცებით: „Деятельность ребенка внутри систем «ребенок - общественный предмет» и «ребенок — общественный взрослый» представляет единый процесс, в котором формируется его личность“ (Эльконин Д.Б. - К проблеме периодизации психического развития в детском возрасте// Вопросы психологии, 1971; №4 ст. 19)

ელკონინმა წარმოადგინა შემდეგი სახის კანონზომიერება - თავდაპირველად ბავშვი ძირითადად ორიენტირებულია აზროვნების პროცესებზე, მოგვიანებით კი გამოიმუშავებს და გაითავისებს საზოგადოების დამოკიდებულებას საგნებთან და მოვლენებთან მიმართებაში. ამ ორი ხაზის შეთვისება არ შეიძლება ერთმანეთისაგან იზოლირებულად განიხილებოდეს. პირიქით, ისინი ერთმანეთის შემავსებლად უნდა მოვიზროთ. თუმცა, ცალკეული ასაკობრივი პერიოდისათვის ერთ-ერთი ტენდენციის გაბატონებულ მდგომარეობაში არსებობა არის დამახასიათებელი. I - ტენდენცია ემსახურება მოტივაციურ-მოთხოვნილებათა სფეროების განვითარებას, II - ოპერაციულ-ტექნიკური შესაძლებლობების განვითარებას.

ელკონინმა ბავშვის განვითარების პერიოდიზაციაში ექვსი პერიოდი გამოყო. თითოეული პერიოდისათვის ამ ტიპის ნამყვანი საქმიანობა დამახასიათებელია (ცხრილი №3). უნდა აღინიშნოს,

რომ ყოველ მომდევნო საფეხურზე გადასვლა ხასიათდება მოზრდილებსა და ბავშვებს შორის ურთიერთობის მნიშვნელოვანი სირთულეებით, რადგანაც ბავშვს უჩნდება განსხვავებული მოთხოვნილებები და ის განსხვავებულ უნარებს ავლენს. ასაკობრივ განვითარებაში ასეთ გარდამავალ პერიოდებს კრიზისი ეწოდება. ყველა პერიოდის მთავარი მაჩვენებელია: სოციალური სიტუაციის განვითარება, წამყვანი ტიპის საქმიანობა და ძირითადი ფსიქიკური ახალწარმოქმნები.

ცხრილი №3

№	პერიოდი	ასაკი	წამყვანი საქმიანობა
1	ჩვილობა	დაბადებიდან - 1 წლამდე	უშუალო ემოციური ურთიერთობა. პიროვნული ურთიერთობა უფროსებთან, რომლის დროსაც ბავშვი სწავლობს საგნების მოქმედებას. დომინირებს მოტივაციურ-მოთხოვნილებათა სფერო.
2	ადრეული ბავშვობა	1 - 3	საგნობრივ-მანიპულაციური, რომლის დროსაც ბავშვი თანამშრომლობს უფროსებთან და ითვისებს საქმიანობის ახალ ფორმებს. დომინირებს ოპერაციულ-ტექნიკური შესაძლებლობების სფერო.
3	სკოლამდელი ბავშვობა	3 - 6	სიუჟეტურ-როლური თამაში, რომლის დროსაც ბავშვი ორიენტირებს საერთო ადამიანური საქმიანობისაკენ. მაგ., საოჯახო და პროფესიონალური. დომინირებს მოტივაციურ-მოთხოვნილებათა სფერო.

4	ადრეული სასკოლო ასაკი	7 - 10	სწავლა. ბავშვები ითვისებენ სასწავლო მოქმედების წესებს და სწავლის საშუალებებს. შეთვისების პროცესში ვითარდება შემეცნებითი საქმიანობა, მაგრამ დომინირებს ოპერაციულ-ტექნიკური შესაძლებლობების სფერო.
5	მოზარდის ასაკი	10 - 15	ურთიერთობა თანატოლებთან. ჩნდება პირად პიროვნული ურთიერთობები, რომლებიც უფროს ადამიანებს გააჩნიათ. მოზარდები მას ან მიიღებენ, ან უქუაგდებენ. ამ ურთიერთობაში ფორმულირდება მოზარდის აზრობრივი ორიენტაცია მომავლისთვის. ადამიანებთან ურთიერთობისას ჩნდება ამოცანები და მოტივები მომავალი საქმიანობისათვის. დომინირებს მოტივაციურ-მოთხოვნილებათა სფერო.
6	ადრეული სტუდენტული	15-17	სასწავლო-პროფესიული. ამ პერიოდში ჩნდება პროფესიული უნარ-ჩვევების შეთვისება. დომინირებს ოპერაციულ-ტექნიკური შესაძლებლობების სფერო.

## მრავალმხრივი ინტელექტის თეორია

ჰოვარდ გარდნერი (Howard Gardner, დაიბადა 1943 წელს) – ამერიკელი ფსიქოლოგი. თავდაპირველად ის იურიდიული განათლების მიღებას გეგმავდა. თუმცა ჰარვარდში სწავლისას მასზე ძალიან დიდი გავლენა მოახდინა ერიკ ერიქსონმა და მას ფსიქოლოგიის შესწავლისაკენ უბიძგა. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ჯერომ ბრუნერთან კოგნიტურ და პედაგოგიკურ ფსიქოლოგიაში მუშაობდა. გარდნერის თეორიულ საყრდენს წარმოადგენდა პიაჟეს კვლევები.

XX საუკუნის 70-იან წლებში გარდნერმა დაიწყო ადამიანის შემეცნების თეორიაზე მუშაობა, რომელიც თავისთავად სხვა თეორიებთან წინააღმდეგობაში მოდიოდა. 80-იან წლებში ის გახდა ერთ-ერთი წამყვანი მონაწილე პროექტისა, რომლის მიზანს ადამიანის პოტენციალის შესწავლა წარმოადგენდა (the Project on Human Potential). აქ მას საშუალება მიეცა, ადამიანის ინტელექტის სხვადასხვა ფორმები უფრო ღრმად შეესწავლა.

გარდნერის განმარტებით: „ინტელექტი არის პრობლემების გადაწყვეტისა და პროდუქტის წარმოების ნიჭი“.

1983 წელს თავის წიგნში „Frames of Mind: The Theory of Multiple Intelligences“ („გონების ჩარჩო: მრავალმხრივი ინტელექტის თეორია“) მან საბოლოოდ ჩამოაყალიბა „მრავალმხრივი ინტელექტის თეორია“, რომელშიც გამოყო ინტელექტის შვიდი ტიპი. მერვე – საბუნებისმეტყველო ინტელექტი – მეცნიერმა 1996 წელს დაამატა. კონცეფცია გამყარებულია უამრავი ფაქტოლოგიური მასალით, რომელზეც ავტორი წლობით მუშაობდა. მაგალითად, ცნობილ ნევროლოგთან ნორმან გეშვინდთან (Geschwind) შეხვედრის შემდეგ, მან დაიწყო აქტიური კვლევის ჩატარება ბოსტონის ვეტერანთა საავადმყოფოში (the Boston Veterans Administration Hospital). „მრავალმხრივი ინტელექტის თეორიაზე“ მუშაობისას გარდნერმა ღრმად შეისწავლა და გაითვალისწინა: ფსიქოლოგია, ანთროპოლოგია, კულტუროლოგიური კვლევები და ბიოლოგიური მეცნიერებები.

გარდნერის თქმით, „მრავალმხრივი ინტელექტის თეორია“

დაფუძნებულია შემდეგ ორ ძირითად მტკიცებულებაზე: I – ნებისმიერი ადამიანი ფლობს ყველა სახის ინტელექტს; II – თუ ყველა ადამიანი ფლობს სხვადასხვა გარეგნობას, განუმეორებელ ტემპერამენტს და პიროვნულობას, მაშინ ისინი სხვადასხვა ინტელექტუალურ პროფილებს ფლობენ.

გარდნერის მიერ შემოთავაზებული ინტელექტის სახეებია:

- 1. ინტერპერსონალური ინტელექტი.** აზროვნებენ სხვების იდეების გადმოღებით. სხვების გაგების და მოტივირების უნარი. ასეთი ტიპის აზროვნების მქონე ადამიანებს სხვებთან ადვილად კონტაქტი ახასიათებთ, უყვართ ჯგუფური აქტივობები, შეუძლიათ კონფლიქტური სიტუაციების მოგვარება და მედიატორის როლის შესრულება.
- 2. ინტრაპერსონალური ინტელექტი.** აზროვნებენ საკუთარ თავში ჩაღრმავებით. საკუთარი თავის, საკუთარი ცხოვრების შეცნობის და სწავლის პროცესის წარმართვის უნარი. ძირითადად, ეს უნარი იმ ადამიანებს ახასიათებთ, რომლებსაც უყვართ განმარტობა, ეწვიან დატვირთულ შინაგან ცხოვრებას, აცნობიერებენ თავიანთ ძლიერ და სუსტ მხარეებს და სწორად აფასებენ თავიანთ შესაძლებლობებს.
- 3. ვერბალურ-ლინგვისტური ინტელექტი.** აზროვნებენ სიტყვებით. დამახასიათებელია მათთვის, ვისაც უფრო ეხერხება მეტყველება, კითხვა, წერა, სხვადასხვა ამბის მოყოლა, საუბარი და სხვ.
- 4. მუსიკალურ-რიტმული ინტელექტი.** აზროვნებენ რიტმით და მელოდიით. ასეთი ტიპის აზროვნების ადამიანები გამოირჩევიან მუსიკალური და რიტმული სტრუქტურების, ხმების და ენობრივი აქცენტების მიმართ მგრძნობელობით. მუსიკის მოსმენისას ისინი ადვილად ექცვიან ემოციური ზეგავლენის ქვეშ.
- 5. ლოგიკურ-მათემატიკური ინტელექტი.** აზროვნებენ დასაბუთებულად. მათში განვითარებულია ლოგიკური, აბსტრაქტული პრობლემების, მათემატიკური და მეცნიერული პროცესების

გაგების უნარი. ცდილობენ ყველაფრის ახსნა-განმარტება მოძებნონ და ლოგიკურად ამოიცნონ მიზეზ-შედეგობრივი კავშირები.

**6. ვიზუალურ-სივრცითი ინტელექტი.** აზროვნებენ ნახატებით და სურათებით. ასეთი ტიპის ადამიანის აზროვნებას აქვს მკაფიოდ განვითარებული ვიზუალური სამყაროს ზუსტი აღქმის, გამოცდილების გამოყენების, სივრცეში თავისუფლად მოქმედების, ფერთა შესამების განსაკუთრებული შესაძლებლობა. გამოირჩევიან ორიენტაციისა და წარმოსახვის კარგი უნარით.

**7. სხეულბრვი-კინესთეტიკური ინტელექტი.** აზროვნებენ სომატური შეგრძნებებით. ამ ტიპის აზროვნების მქონე ადამიანებს ახასიათებთ სხეულის მართვის, მისი მოძრაობების გაკონტროლებისა და შეცვლის უნარი. მათ უყვართ ხელის სამუშაოები, ცდების ჩატარება და სხვ.

**8. საბუნებისმეტყველო (ნატურალისტური) ინტელექტი.** აზროვნებენ გარე სამყაროს შემეცნებით. აქვთ ბუნებისა და გარე სამყაროს წვდომის უნარი. მათ იზიდავთ მცენარეთა და ცხოველთა სამყარო; აინტერესებთ ადამიანის სხეულის ფუნქციონირება და აცნობიერებენ სოციალურ, ფსიქოლოგიურ და ადამიანურ ფაქტორებს (ცხრილი №4).

ზოგიერთი ფსიქოლოგის სკეპტიკური დამოკიდებულების მიუხედავად, „მრავალმხრივი ინტელექტის თეორიას“ მრავალ საგანმანათლებლო დაწესებულებაში და, მათ შორის, სკოლებშიც პედაგოგები ნარმატებით იყენებენ.

გარდნერმა დაასრულა მუშაობა მეცხრე ინტელექტზე. ეს არის **ეგზისტენციალური ინტელექტი**, რომელსაც მიეკუთვნება ადამიანის აზროვნების მიდრეკილება და მისწრაფება ისეთი ფუნდამენტური საკითხებისადმი, როგორებიცაა ყოფიერება, მარადისობა, სიცოცხლე და სიკვდილი.

ადამიანი ფლობს ყველა, ცხრავე ინტელექტს, თუმცა ისინი სხვადასხვა დონეზე განვითარებული. თითოეული ინტელექტის გააქტიურება და განვითარება ხდება მხოლოდ ეფექტური და მიზანმიმართული სწავლების შედეგად.

ცხრილი №4

№	ინტელექტი	რა უყვართ?	რა სჭირდებათ?	რა პროფესიას ირჩევენ?
1	ინტერპერ-სონალური	ლიდერობა, ორგანიზება, შუამავლობა, მანიპულირება და ა. შ.	მეგობრები, ჯგუფური თამაშები, საზოგადოებრივი შეხვედრები, თავყრილობები, კლუბები, და ა.შ.	პოლიტიკოსი, მასწავლებელი, ბიზნესმენი, მრჩეველი
2	ინტრა-პერსონალური	ოცნება, მიზნებისა და გეგმების დასახვა, სიმშვიდე, და ა.შ.	საიდუმლო ადგილები, საკუთარი ტემპით მუშაობა, არჩევანის გაკეთება, განმარტობა და ა. შ.	სულიერი მოძღვარი, ფილოსოფოსი
3	ლინგვისტური	კითხვა, წერა, სიტყვებით თამაში, ამბების მოყოლა და ა.შ.	საწერი საშუალებები, ნიგნები, ფურცლები, დილოგები, დისკუსია, დებატები და ა.შ.	პოეტი, მწერალი, ორატორი
4	მუსიკალურ-რიტმული	მოსმენა, სიმღერა, სტვენა, ლილინი, ხელისა და ფეხის აყოლება და ა. შ.	კონცერტებზე დასწრება, მუსიკალური თამაშები, მუსიკალური ინსტრუმენტები, სიმღერით აყოლა და ა. შ.	მუსიკოსი, ინსტრუმენტის ამწყობი, დირიჟორი, ხმის ტექნიკოსი

5	ლოგოკურ-მათემატიკური	კითხვების დასმა, ექსპერიმენტირება, ლოგოკური ამოცანების ამოხსნა, გამოთვლა და ა. შ.	კვლევა-ძიების ჩასატარებლად მასალა და თემა მოსაფიქრებლად, ექსკურსიები საბუნებისმეტყველო მუზეუმში და ა. შ.	მათემატიკოსი, ინჟინერი, მეცნიერი, იურისტი
6	ვიზუალურ-სივრცითი	ხატვა, დაგეგმვა, ვიზუალურად გამოხატვა და ა. შ.	ხელოვნება, ფილმები, წარმოსახვითი თამაშები, ილუსტრირებული წიგნები, ხელოვნების მუზეუმში ყოფნა და ა. შ.	მხატვარი, მოქანდაკე, რეჟისორი
7	სხეულებრივ-კინეტიკური	სირბილი, ხტომა, ცეკვა, მოძრაობა, შეხება და ა. შ.	დრამატული ხელოვნება, მოძრაობა, როლის გათამაშება, სპორტული და ფიზიკური თამაშები, შეხებითი შეგრძნებები, პრაქტიკული მეცადინეობები და ა. შ.	მოცეკვავე, ქორეოგრაფი, მექანიკოსი, ხელოსანი, მოქანდაკე
8	საბუნებისმეტყველო	მოგზაურობა, ბუნებაში გასვლა, ცხოველები, ყვავილები და ა. შ.	ექსკურსიები ბუნებაში, ზოოპარკში და ა. შ.	ბიოლოგი, ოკეანოლოგი, სოციოლოგი, ასტრონომი

## ფსიქონალიტიკური თეორია

**ზიგმუნდ ფროიდი (Sigmund Freud) (1856-1939წ.)** ავსტრიელი ექიმი და ფსიქოლოგი. XX საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი ფსიქოლოგი. ფსიქონალიზის ფუძემდებელი. 1902 წლიდან გარდაცვალებამდე ვენის უნივერსიტეტის ნევროპათოლოგიის პროფესორი. მისმა ნაშრომმა - „ფსიქონალიზის შესავალი“ (Vorlesungen zur Einführung in die Psychoanalyse) მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ფსიქოლოგიის შემდგომი განვითარებისათვის. მისი გვარის მიხედვით შექმნილმა ახალმა მიმართულებამ - **ფროიდიზმმა** - უდიდესი გავლენა მოახდინა არამარტო ფსიქოლოგიაზე, არამედ ხელოვნებასა და მედიცინაზე.

XX საუკუნის 20-იან წლებში ფროიდმა დაასრულა თავისი კონცეფციაზე მუშაობა, სადაც პიროვნული სტრუქტურა წარმოდგენილი იყო შემდეგი სამი ინსტანციით: **მე (ego), ის (Id) და ზე-მე (super-ego).**

ეგო (ლათ. ეგო - მე) - ფროიდის მიერ შემოთავაზებული პიროვნების სამწევრიანი ანალიტიკური სტრუქტურის შუა ინსტანცია. მას უჭირავს იდსა (ის) (id) და ზე-მე (super ego) შორის შუალედური მდგომარეობა. ამასთან, იდი პასუხისმგებელია ინსტინქტებზე, ის წარმოადგენს ინსტინქტებისა და გაუცნობიერებელი სურვილების სათავეს. ხოლო ზე-მე წარმოადგენს ცენზურას, რომელიც არ ატარებს მე-ში სოციალურად მიუღებელ მოტივებს. ფროიდის მიხედვით, სწორედ ამ სახით რეგულირდება პიროვნების გარე სამყაროსთან ურთიერთობა.

ზიგმუნდ ფროიდი თვლიდა, რომ ადამიანი იმართება სექსუალური და აგრესიული ინსტინქტებით. ახალშობილს აქვს თანდაყოლილი ენერჯის მარაგი, რომელსაც მან „ლიბიდო“ უწოდა. ფროიდი ბავშვის ფსიქოსექსუალურ განვითარებაში გამოყოფს სექსუალური ინსტინქტების განვითარების ხუთ სტადიას:

- I - ორალური სტადია (0-1,5 წლამდე).
- II - ანალური სტადია - 1-3 წლამდე.
- III - ფალოსური სტადია - 3-6 წლამდე.



3	მოტორულ-გენიტალიური (სკოლისამდელი)	4-5 წლამდე	ინიციატივობა - დანაშაულის განცდა	მიზანი
4	ლატენტური (დანეკი-ბითი სკოლის ასაკი)	6-11 წლამდე	შრომისმოყვარეობა - არასრულფასოვნების განცდა	კომპეტენტურობა
5	მოზარდობა	12-18 წლამდე	ეგო-იდენტურობა - როლების აღრევა	რწმენა
6	ახალგაზრდობა	19-35 წლამდე	სიახლოვე - იზოლაცია	სიყვარული
7	შუა ხნის ასაკი	35-65 წლამდე	გენერატიულობა - სტაგნაცია	ზრუნვა
8	ბანდაზმელობა	65 - სიკვდილამდე	ეგო-ს მთლიანობა სასონარკვეთა	სიბრძნე

განვილიხით ფსიქო-ემოციური კრიზისის ძირითადი ეტაპები:

**1. ორალურ-სენსორული (ნდობა - უნდობლობა) - 0-1 წლამდე. (გარემოს ზეგავლენა - დედა).**

იმის მიხედვით თუ როგორ ექცევიან ჩვილს, ბავშვები შემდგომში ახდენენ განსაზღვრას, იმსახურებს თუ არა სამყარო ნდობას. თუ მათი მოთხოვნები კმაყოფილდება, ეპყრობიან მზრუნველობით და ყურადღებით, ექცევიან თანმიმდევრულად, ბავშვები იქმნიან საერთო შთაბეჭდილებას სამყაროზე, როგორც უსაფრთხო და ნდობის ღირსი. მეორე მხრივ, თუ მას სამყარო ეწინააღმდეგება, აყენებს ტკივილს, ინვესს სტრესს და ემუქრება მის უსაფრთხოებას, მაშინ ის არ იმსახურებს ნდობას;

**2. ანალური (ავტონომიურობა-სირცხვილი და ეჭვი) - 1-3 წლამდე. (გარემოს ზეგავლენა - დედა და მამა).**

სიარულის დაწყებით ბავშვები თავიანთი სხეულის შესაძლებლობებში და მისი მართვის საშუალებებში იწყებენ გარკვევას. ისინი სწავლობენ ჭამას, ჩაცმას, ტუალეტით სარგებლობას და ეჩვევიან გადაადგილებას. როდესაც ბავშვს რაიმე გამოსდის, ის თვითკონტროლს და საკუთარი თავის რწმენას იღებს; მაგრამ თუ ის ყოველთვის წარუმატებლობას იტანს და თანაც ამისათვის სჯიან ან უუნაროს, ჭუჭყიანს, ცუდს უწოდებენ, ის ეჩვევა სირცხვილის განცდას და უჩნდება საკუთარი შესაძლებლობების მიმართ ეჭვი;

**3. მოტორულ-გენიტალიური (ინიციატივა-დანაშაულის განცდა) - 4-5 წლამდე. (გარემოს ზეგავლენა - ოჯახი (მშობლები, ძმები, დები).**

ბავშვები 4-5 წლის ასაკში ახდენენ კვლევისა და ინტერესის გადატანას თავიანთი სხეულის გარეთ. ისინი იგებენ, როგორ არის სამყარო მონუმბილი და როგორ შეიძლება მასზე ზემოქმედება. სამყარო მათთვის შედგება როგორც რეალური, ასევე წარმოსახული ადამიანებითა და საგნებით. თუ მათი „კვლევითი“ საქმიანობა სამყაროს მიმართ საერთო ჯამში ეფექტურია, ისინი

სწავლობენ ადამიანების და საგნებისაგან კონკრეტული საშუალებებით მიმართვას და ფლობენ ინიციატივის ძლიერ განცდას; მაგრამ თუ მათ მკაცრად აკრიტიკებენ და სჯიან, ისინი ბევრი ქცევის გამო, საკუთარი თავის დამნაშავედ ჩათვლას ეჩვენებიან;

**4. ლატენტური (შრომისმოყვარეობა – არასრულფასოვნების განცდა) – 6-11 წლამდე. (გარემოს ზეგავლენა – მეზობლები, ნაცნობები, სკოლა).**

6-დან 11 წლამდე ბავშვები ინიციატივით ბევრ ჩვევას და ცოდნას სკოლაში, სახლში, და-ძმებისაგან და ა.შ. ერიქსონის თეორიის თანახმად, „მე“-ს განცდა მნიშვნელოვნად მდიდრდება სხვადასხვა კუთხით ბავშვის კომპეტენციის რეალური ზრდის შედეგად. დიდ მნიშვნელობას იძენს თანატოლების მიმართ შედარების გაკეთება. ამ პერიოდში განსაკუთრებით სახიფათოა სხვებთან შედარების ფონზე საკუთარი თავის უარყოფითი შეფასების ჩამოყალიბება;

**5. მოზარდობა (იდენტურობა – როლების აღრევა) – 12-18 წლამდე. (გარემოს ზეგავლენა – თანატოლები, მეგობრები).**

სიჭაბუკის დადგომამდე ბავშვები იგებენ მთელი რიგი როლების არსებობის შესახებ – მოსწავლის ან მეგობრის, დის ან ძმის და ა. შ. სიყრმისა და სიჭაბუკის წლებში ძალიან მნიშვნელოვანია ამ როლებში გარკვევა და მათ ერთ მთლიან იდენტურობაში ინტეგრირება. ამ ასაკში ეძებენ ბაზისურ ღირებულებებსა და განწყობებს, რომელიც ყველა ამ როლს მოიცავს. თუ მათ როლების ინტეგრაცია ვერ მოახერხეს და ორ მნიშვნელოვან როლს შორის ღირებულების ურთიერთსაინანაღმდეგო სისტემებთან განვითარდა კონფლიქტი, შედეგად მივიღებთ მდგომარეობას, რომელსაც ერიქსონი იდენტურობის დიფიზიას უწოდებს;

**6. ახალგაზრდობა (სიახლოვე – იზოლაცია) – 19-35 წლამდე. (გარემოს ზეგავლენა – პარტნიორები, მეგობრები).**

სიჭაბუკის გვიან და დიდობის ადრეულ პერიოდში ცენტრალურ წინააღმდეგობას სიახლოვესა და იზოლაციას შორის კონფლიქტი წარმოადგენს. ერიქსონის აღწერით, სულიერი სიახ-

ლოვე (თანხმობა, დამოკიდებულებები, ღირებულებები) მოიცავს უფრო მეტს, ვიდრე სექსუალური სიახლოვეა. სექსუალური სიახლოვე, მკვლევარის აზრით, არის მეორე სქესის ადამიანისათვის საკუთარი სხეულის ნაწილის მიცემის შესაძლებლობა, საკუთარი იდენტურობის დაკარგვის შიშის გარეშე. ამ სახის ურთიერთობის დამყარების წარმატება დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ იყო წინა ხუთი კონფლიქტი გადაჭრილი.

**7. შუა ხნის ასაკი (გენერაციულობა – სტაგნაცია) – 35-65 წლამდე. (გარემოს ზეგავლენა – ოჯახი და საზოგადოება).**

დიდობაში, როდესაც წინა კონფლიქტები ნაწილობრივ მოგვარებულია, ქალსაც და მამაკაცსაც შეუძლია სხვა ადამიანებისათვის მეტი ყურადღების დათმობა და მათთვის დახმარების აღმოჩენა. ზოგ შემთხვევებში მშობლები შვილების დახმარებით პულობენ საკუთარ თავს. ზოგ ადამიანს შეუძლია ყოველგვარი პრობლემის გარეშე წარმართოს თავისი ენერჯია სოციალური პრობლემის მოგვარებაზე, მაგრამ წარუმატებლობას ხშირად საკუთარი თავის შთანთქმამდე მივყავართ: უსაფუძვლო შფოთვა საკუთარ ჯანმრთელობაზე, მისწრაფება სასწრაფოდ დაიკმაყოფილოს თავისი ფსიქოლოგიური მოთხოვნები, გაუფრთხილდეს საკუთარ სიმშვიდეს და ა. შ.;

**8. ხანდაზმულობა (ეგო-ს მთლიანობა – სასონარკვეთა) – 65 და ზევით. (გარემოს ზეგავლენა – ადამიანები).**

თავიანთი ცხოვრების ბოლო საფეხურზე ადამიანები, როგორც წესი, გადახედავენ ხოლმე გავლილ ცხოვრებას და ახლებურად აფასებენ მას. თუ ადამიანი წარსულის შეფასებისას კმაყოფილებას განიცდის (რადგან ის იყო სავსე აზრით და მოვლენებში აქტიური მონაწილეობით), მაშინ ის მიდის დასვენამდე, რომ არ უცხოვრია ფუჭად და ბოლომდე მოახდინა იმის რეალიზება, რაც მას შეეძლო. ასეთ შემთხვევაში ადამიანი იღებს ცხოვრებას ისეთს, როგორც არის. მაგრამ თუ მას ცხოვრება ძალის ტყუილად დაკარგვად და ხელიდან გაშვებულ უამრავ შესაძლებლობად მიაჩნია, მას სასონარკვეთის განცდა ეუფლება. მნიშვნელოვანია,

რომ ამ შედეგის ასე თუ ისე გადაწყვეტა იმ გამოცდილებების შექმნაზეა დამოკიდებული, რომელიც განვლილი კონფლიქტების გადაჭრის მსვლელობისას გროვდებოდა.

აღნიშნულ სტადიებს ერიქსონი განიხილავს, როგორც ცხოვრების ეტაპებს, რომელთა მიმდინარეობის დროს ინდივიდის მიერ ცხოვრებისეული გამოცდილების მოპოვება სოციალურ გარემოსთან და საკუთარი პიროვნების ცვლილებასთან შედარებით მნიშვნელოვან შეგუებას კარნახობს. თუმცა, პრობლემების გადაჭრის გზაზე ინდივიდი მშობლების განწყობის და სოციალური პირობების აუცილებელ გავლენას განიცდის.

ერიქსონმა გაამდიდრა ფსიქოლოგიის ლექსიკონი ისეთი სიტყვებით როგორცაა: იდენტურობა, იდენტურობის კრიზისი, ცხოვრების ციკლი და სხვ.

### განწყობის თეორია

**დემიტრი უზნაძე (1886-1950)** – უდიდესი ქართველი ფსიქოლოგი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებელი; 1909 წელს წარმატებით დაამთავრა ლაიფციგის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი; 1913 წელს დაამთავრა ხარკოვის ისტორიის და ფილოლოგიის ფაკულტეტი; 1918 წლიდან მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 1912 წელს გამოსცა „ექსპერიმენტული პედაგოგიკის შესავალი“, რომელსაც უნივერსიტეტში 1928 წლამდე კითხულობდა; წლების მანძილზე წარმატებით ხელმძღვანელობდა უნივერსიტეტში თავის მიერვე დაარსებულ ფსიქოლოგიის კათედრას. 1940 წელს პირველმა დაწერა სახელმძღვანელო ზოგად ფსიქოლოგიაში ქართულ ენაზე.

უზნაძემ, მრავალწლიანი კვლევის შედეგად, ქცევის მიზანშეწონილობის ასახსნელად შეიმუშავა განწყობის თეორია. მან ცხარე ფსიქოლოგიაში ტერმინი „განწყობა“ სხვადასხვა მნიშვნელობით იხმარება:

- **მოტორული განწყობა** – ადამიანის მოტორული სისტემის მზაობის მოქმედება;

- **ფსიქიკური განწყობა** – ცნობიერების მზადყოფნა ამა თუ იმ ფსიქიკური პროცესისათვის;

- **სოციალური განწყობა** – ადამიანების განსხვავებული დამოკიდებულება სოციალური ლირებულებების მიმართ.

დემიტრი უზნაძემ განწყობის შემდეგი განმარტება შემოგვთავაზა: „იმ სპეციფიკურ მდგომარეობას, რომელიც სუბიექტში მოთხოვნილების დაკმაყოფილების ობიექტური სიტუაციის ზეგავლენის შედეგად ჩნდება, განწყობა ეწოდება“ (დ. უზნაძე - „ზოგადი ფსიქოლოგია“, ტ. III-IV; თბ., 1964. გვ. 87). მისი სიტყვებით, განწყობა ქცევას განსაზღვრავს, ქცევა განწყობის შესატყვისად წარმართება, ეს ნიშნავს, რომ იგი სიტუაციის შესაფერისად მიმდინარეობს: ცოცხალი არსების ქცევას მიზანშეწონილი ხასიათი აქვს (იქვე. გვ. 88). განწყობის წარმოქმნის ფაქტორებია: მოთხოვნილება და სიტუაცია. უზნაძის განწყობის თეორიის თანახმად, ქცევა განწყობაში წინასწარ არის ასახული, თუმცა განწყობას განაპირობებს მოთხოვნილება და სიტუაცია. ადამიანმა რომ რაიმე ქცევა განახორციელოს, როგორც მთლიანობა, ის აუცილებლად სრულიად გარკვეულ მდგომარეობაში უნდა იყოს.

უზნაძემ საკუთარი პედაგოგიური კონცეფციის ფორმირება 1910-1916 წლებში მოახდინა. მისთვის პედაგოგიკის საგნად აღზრდა ითვლებოდა. აღზრდა – ეს არის იდეალურის მისწრაფებისაკენ საკუთარი და სხვისი ცხოვრების მიზანმიმართული პროცესის ფორმირება. აღზრდა სოციალურად განმსაზღვრელი პროცესია, ვინაიდან ადამიანი თავისთავად სოციალურია. აღმზრდელი (მასწავლებელი) ვერ მიაღწევს საკუთარ მიზანს, თუ ის ბოლომდე არ აღიქვამს ბავშვის ბუნებას. მისი სიტყვებით: „განწყობის ფსიქოლოგია გვიჩვენა, რომ შესაძლებელია – ნამდვილი მეცნიერული ფსიქოლოგია ცოცხალი აქტიური სუბიექტის ფსიქოლოგია იყოს... განწყობა მთლიანობითი ბუნების ფაქტია, იგი აქტიური სუბიექტის, როგორც მთელის, დახასიათებაა.“ (დ. უზნაძე – პედაგოგიური თხზულებანი. გვ. 348-349). ანუ განწყობის ცნებაში იგუ-

ლისსმება მოქმედება და აქტიური პიროვნება.

განწყობას მნიშვნელოვანი როლი უჭირავს პედაგოგიკაში. ეს ნათლად ჩანს უდავო ფაქტებზე დაკვირვებითა და მათი ანალიზით. პედაგოგს ყოველთვის უნდა ჰქონდეს გათვალისწინებული მოსწავლის პიროვნების როლი. თუ ეს ასეა მაშინ განწყობის როლი საგაკვეთილო პროცესში აუცილებელია. ვინაიდან პედაგოგიის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად აუცილებელია პიროვნების და პრაქტიკის მომენტი. უზნაძის სიტყვებით, „პედაგოგი ფსიქიკაზე – აზროვნებაზე, თუ ემოციაზე – უშუალოდ როდი მოქმედებს, არამედ პირველ რიგში მოზარდის პიროვნებაზე და მისი ფსიქიკური განვითარების შესაძლებლობას უზინარეს ყოვლისა ამით უზრუნველყოფს“ (იქვე. გვ. 350).

მან მრავალი ნაშრომი მიუძღვნა აღზრდის თემას და მისი „აღზრდის ძირითადი ტრაგედია“ (უზნაძის ფრაზა) იმაში მდგომარეობს, რომ მასწავლებელი და მოსწავლე სხვადასხვა როლებს ასრულებენ და აღზრდის ეს პრობლემა სამწუხაროდ დღესაც არსებობს. ის რაც აღმზრდელის აზრით წარმოადგენს კეთილდღეობას, ხშირად აღსაზრდელისთვის ტანჯვად იქცევა. ეს ის ბოროტებაა, რომელიც აღზრდის პროცესს შუაზე ყოფს და რომელსაც თავიდანვე შეაქვს დისონანსი ამ პროცესის აუცილებელ ჰარმონიაში.

უზნაძემ ბავშვის ასაკობრივი კლასიფიკაციის პრინციპად აიღო სრულიად ახალი ფაქტორი, რომელიც ძირეულად განსხვავდება ვიგოტსკის კლასიფიკაციისაგან. ის განვითარების პერიოდიზაციის საფუძვლად იღებს არა რომელიმე ბიოლოგიურ ნიშანს, არამედ სოციალური წრის მიერ შექმნილ იმ გარემოს, რომელშიც ბავშვის განვითარება წარმოებს. კლასიფიკაცია თავისთავში აერთიანებს ბავშვის როგორც შინაგან მონაცემებს, ისე სოციალურ გარემოსაც. უზნაძე ამას **ბავშვის ასაკობრივ გარემოს** უწოდებს. სწორედ ამის საფუძველზე მან ჩამოაყალიბა ბავშვის განვითარების პერიოდიზაცია:

**1. დედის მუცლის ხანა.** ბავშვობის ასაკის პირველი და თავისებური პერიოდი, რომელსაც მნიშვნელობა აქვს ადამიანის მემკვიდრეობით განსაზღვრული ბიოლოგიური ტიპის ჩამოყალიბებისათვის. ამ პერიოდში დედის მუცელი ყოველგვარი გარე

გამლიზიანებლებისაგან დაცული გარემოთი, იდეალურ პირობებს უქმნის ჩანასახს განვითარებისათვის;

**2. ახალდაბადებულობის ხანა.** ბავშვს დაახლოებით უქმნიან ისეთ პირობებს, როგორიც პრენატალურ მდგომარეობაში ყოფნისას ჰქონდა. ყველა ფიზიკური გამლიზიანებელი ისე იცვლება, რომ ახალი გარემო დაბადებამდელ გარემოს უახლოვდება და ოპტიმალურ პირობებს უქმნის ბავშვს შემდგომი განვითარებისათვის;

**3. დედის ძუძუს პერიოდი (0-1 წლის ბოლომდე).** ბავშვის გარემოში სულ უფრო და უფრო მეტი გამლიზიანებელი აღწევს. გამლიზიანებლები ჯერ კიდევ შერბილებული და მოდიფიცირებული სახით მოქმედებს ბავშვზე. ამ პერიოდში მნიშვნელოვანია დედის ძუძუთი კვება. დედის რძე ახალი შინაარსის გამლიზიანებელია, რომლითაც გარემო მოქმედებს მასზე. სწორედ ამით ხდება გამლიზიანებლების მოდიფიცირება;

**4. სკოლის წინარე ასაკის წინარე პერიოდი (2-4 წლამდე).** ბავშვი ფეხს იდგამს და თანდათანობით შორდება დედას. სხვა ადამიანებსაც შეუძლიათ ბავშვი მეთვალყურეობის ქვეშ იყოლიონ. ბავშვი დედის ჩვეულებრივ კვებაზე გადადის. იწყებს მეტყველებას და უცხო ადამიანებთან ურთიერთობის მძლავრ საშუალებას იძენს. ბავშვს სისტემატურად მეთვალყურეობენ და როცა გარემოსთან ურთიერთობაში საკუთარი ძალები არ არის საკმარისი, მას უფროსები ეხმარებიან;

**5. სკოლის წინარე ასაკი (4-7 წლამდე).** ბავშვი სულ უფრო დამოუკიდებელი ხდება. ბავშვი მიჰყავთ საბავშვო ბაღში, სადაც ხდება მისი ცხოვრების პედაგოგიურ მოთხოვნათა საფუძველზე ორგანიზება. ბავშვი ეჩვევა და სწავლობს თავის თანატოლებთან ურთიერთობასა და თამაშს. მასზე უკვე აღმზრდელები ზრუნავენ. ამ ასაკში ბავშვი ემზადება სასკოლო ასაკისათვის;

**6. სასკოლო ასაკი (7 წლიდან).** ბავშვი იწყებს სწავლას. მისთვის თამაში კიდევ დიდხანს იქნება ყველაზე მიმზიდველი და სასიამოვნო საქმიანობა. ამ ასაკში ბავშვის მთავარ ქცევად სწავლა იქცევა.

დიმიტრი უზნაძემ უდიდესი როლი შეასრულა ქართული და მსოფლიო ფსიქოლოგიის ისტორიაში. მის სამეცნიერო გამოცდილებას არა ერთი ფსიქოლოგი ეყრდნობა. დიმიტრი უზნაძის მოსაზრებები დღესაც ინარჩუნებს მნიშვნელობას.

### ჰუმანისტური ფსიქოლოგია

**ჰუმანისტური ფსიქოლოგია** – ერთ-ერთი მიმართულება თანამედროვე ფსიქოლოგიაში, რომელიც აშშ-ში XX საუკუნის 60-იან წლებში აღმოცენდა. თავისი დოქტრინით ის გარკვეულწილად ამერიკაში გაბატონებულ ბიჰევიორიზმს და ფსიქოანალიზმს დაუპირისპირდა. ორიენტირებულია ადამიანის აზროვნების სტრუქტურის სწავლებაზე. ჰუმანისტური ფსიქოლოგიის ანალიზის ძირითადი საგნებია: პიროვნების უმაღლესი ღირებულება, თვითრეალიზაცია, შემოქმედება, სიყვარული, თავისუფლება, პასუხისმგებლობა, ავტონომია, ფსიქიკური ჯანმრთელობა, პიროვნებებს შორის ურთიერთობა. ჰუმანისტური ფსიქოლოგიის თვალაზრით წარმომადგენლები არიან: ა. მასლოუ, კ. როჯერსი, ბ. ფრანკლი, შ. პიულერი, რ. მეი, და სხვ.

ჰუმანისტური ფსიქოლოგიის ძირითადი ფორმულირებაა:

1. ადამიანი ღირებულია;
  2. ღირებულებები არა მარტო საზოგადოა, არამედ ინდივიდუალურიც;
  3. მთავარ ფსიქოლოგიურ რეალობად ითვლება ადამიანის განცდა;
  4. ადამიანის ცხოვრება – ერთიანი პროცესია;
  5. ადამიანი იღწვის თვითრეალიზაციისაკენ;
  6. ადამიანი არ არის დეტერმინირებული მარტო შინაგანი სიტუაციებით.
- ჰუმანისტური ფსიქოლოგიის მიმდევრების მტკიცებით, ყველა ადამიანს აქვს გამოჯანმრთელების პოტენციალი. გარკვეულ და შესაბამის პირობებში ადამიანს შეუძლია ამ პოტენციალის სრული რეალიზება.

**აბრაჰამ მასლოუ (Abraham Maslow) (1908-1970).** ამერიკელი ფსიქოლოგი. ჰუმანისტური ფსიქოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი. დაამთავრა ნიუ-იორკის სიტი-კოლეჯი და ვისკონსის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტი. პროფესორი და ამერიკის ფსიქოლოგიის ასოციაციის პრეზიდენტი.


1954 წელს მან გამოაქვეყნა ნაშრომი „მოტივაცია და პიროვნება“ (Motivation and Personality. Harper and Row, New York. 1954), სადაც დაამტკიცა, რომ ადამიანურ ბუნებაში არის შესაბამის მოთხოვნილებათა იერარქია, რომელსაც გენეტიკური წარმომავლობა გააჩნია. ადამიანების უმრავლესობა ვერ ხვდება ამ მოთხოვნილებათა არსებობას და ხდება მათი დაუკმაყოფილება, რაც საბოლოო ჯამში ემოციურ აშლილობას და პათოლოგიას იწვევს.

ადამიანები მოტივირებულნი არიან პირადი მიზნების ძიებისა და მისი მიღწევისათვის, რაც მათ ცხოვრებას მნიშვნელოვანს და გონივრულს ხდის.

ადამიანი იშვიათად აღწევს თავისი სურვილების სრულყოფილ დაკმაყოფილებას. სურვილების და მოთხოვნილებების სრული უარყოფა ან საერთოდ არ ხდება, ან ხანმოკლეა.

მასლოუმ მოთხოვნილებათა იერარქია პირამიდის ფორმით წარმოადგინა, სადაც ზეითი ძირითადი მოთხოვნილება წარმოდგენილი:

1. ფიზიოლოგიური მოთხოვნილებები (საჭმელი, წყალი, ძილი და სხვ.);
2. უსაფრთხოების და დაცულობის მოთხოვნილება (სტაბილურობა, წესრიგი);
3. მიკუთვნების და სიყვარულის მოთხოვნილება (ოჯახი, მეგობრები);
4. საკუთარი თავის პატივისცემის მოთხოვნილება (საკუთარი თავის პატივისცემა, აღიარება);
5. თვითრეალიზაციის მოთხოვნილება (საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალური განვითარება).



მის თეორიაში ადამიანის ყველა მოთხოვნილება თანდაყოლილი ან ინსტინქტურია და ის იერარქიული სისტემით არის წარმოდგენილი.

მასლოუს მოთხოვნილებების პირამიდის თანახმად, დომინირებული მოთხოვნილებები დაბლა დგას. ეს დომინირებული მოთხოვნილებები შეძლებისდაგვარად უნდა იყოს დაკმაყოფილებული მანამ, სანამ ადამიანი გაიზრდეს და გადავა უფრო მაღალ მოთხოვნილებაზე. მაგალითად, ფიზიკური მოთხოვნილებები საკმაოდ სრულად უნდა იყოს დაკმაყოფილებული, ვიდრე ადამიანის მოთხოვნილება გადაერთება უსაფრთხოების და დაცულობის მოთხოვნილებაზე. თუკი ერთი მოთხოვნილება დაკმაყოფილებულია, მაშინ მეორე მოთხოვნილება გადმოინაცვლებს წინა პლანზე და ხდება ადამიანის ყურადღების და ძალის ამ მოთხოვნილებაზე მომართვა. როცა ადამიანი მათაც დაკმაყოფილებს, მაშინ ის უკვე

ახალ, სხვა მოთხოვნილებაზე გადაერთება. ადამიანის ცხოვრება ხასიათდება სწორედ იმით, რომ მას მუდამ რაღაც სურს.

მოთხოვნილებათა იერარქია ვრცელდება ყველა ადამიანზე. რაც უფრო მაღლა აიწევს ადამიანი იერარქიაში, მით უფრო მეტად და ხშირად მოახდენს ის ცხოვრებაში თავისი ინდივიდუალურობის, ადამიანური თვისებების და ფსიქიკური ჯანმრთელობის დემონსტრირებას.

მასლოუ ფიქრობს, რომ შესაძლებელია იერარქიის მოთხოვნილებაზე იყოს გამონაკლისები. მან აღიარა, რომ ზოგიერთი შემოქმედებითი ადამიანი შეიძლება განვითარდეს და გამოხატოს თავისი ტალანტი, მიუხედავად სერიოზული სიძნელებისა და სოციალური პრობლემებისა. არიან ასევე ისეთი ადამიანებიც, რომელთა ღირებულებები და იდეალები იმდენად ძლიერია, რომ ისინი მზად არიან გადაიტანონ ყოველგვარი შიმშილი, ნყურვილი, თქვან უარი მათზე და გარდაიცვალონ კიდევ.

ზოგიერთმა ადამიანმა შეიძლება განსაკუთრებული ბიოგრაფიის გამო შექმნას საკუთარ მოთხოვნილებათა პირამიდა. მაგალითად, ადამიანმა შეიძლება დიდი ადგილი და პრიორიტეტი დაუთმოს პატივის და არა ემოციონალური კონტაქტების მოთხოვნილებას. ასეთი ტიპის ადამიანები უფრო მეტად არიან დაინტერესებულნი საკუთარი პრესტიჟით, სამსახურში დანაშაურებით და არა ინტიმური ურთიერთობებით ან ოჯახით. თუმცა იერარქიაში რაც უფრო დაბალ მოთხოვნილებათა საფეხურზეა პიროვნება, მით უფრო ძლიერი და პრიორიტეტულია მისთვის ეს მოთხოვნილება.


მოთხოვნილება არასოდეს არ არის დაკმაყოფილებული პრინციპით: „ყველაფერი ან არაფერი“. ხშირად მოთხოვნილებები ერთმანეთს ემთხვევა და ადამიანი ერთდროულად შეიძლება გადართული იყოს ორ ან უფრო მეტი დონის მოთხოვნილებაზე. მასლოუს აზრით, საშუალოდ, ადამიანი იკმაყოფილებს მოთხოვნილებებს შემდეგი პროცენტით:

- ფიზიოლოგიური მოთხოვნილებები - 85%;
- უსაფრთხოების და დაცულობის მოთხოვნილება - 70%;

- მიკუთვნების და სიყვარულის მოთხოვნილება – 50%;
- საკუთარი თავის პატივისცემის მოთხოვნილება – 40%;
- თვითრეალიზაციის მოთხოვნილება – 10%.

მოთხოვნილებები იერარქიაში თანდათანობით ჩნდებიან. ადამიანები არა უბრალოდ იკმაყოფილებენ მოთხოვნილებებს თანმიმდევრობით, არამედ მათი დაკმაყოფილება ხშირად ერთდროულად ხდება, ან პირიქით.

ალსანიშნავია, რომ არ არის მნიშვნელოვანი რამდენად მაღლა აინებს ადამიანი მოთხოვნილებათა იერარქიაში: თუკი დაბალი დონის მოთხოვნილებები შეაჩერებენ დაკმაყოფილებას, მაშინ ადამიანი დაუბრუნდება ამ მოთხოვნილებას და ამ დონეზე რჩება მანამ, სანამ ის მოთხოვნილება სრულად არ იქნება დაკმაყოფილებული.



მასლოუს ბოლო ნიგნში „ადამიანური ბუნების შემდგომი მიღწევები“, აღწერილია ის რვა ქცევა, რომელსაც ადამიანი თვითრეალიზაციამდე მიჰყავს. განვიხილოთ თითოეული ეტაპი:

1. თვითრეალიზაცია ნიშნავს – განცდის ცოცხლად, სრულად, მაქსიმალური კონცენტრაციით შეთვისებას;
2. თვითრეალიზაცია გულისმობს მუდმივი არჩევანით ცხოვრებას. ამასთან, თითოეული არჩევანი სასარგებლოა განვითარებისათვის;
3. მოახდინო თვითრეალიზაცია ნიშნავს გახდეს რეალური და არ იცხოვრო მხოლოდ შესაძლებლობების არსებობით (მოახდინო მათი რეალიზაცია); აქ მასლოუს შემოაქვს „თვითობის“ ტერმინი, რომლის ქვეშაც ინდივიდის არსს, ბირთვს მოიაზრებს ტემპერამენტის, გემოვნების და ღირებულებების ჩათვლით. ამდენად, თვითრეალიზაცია გულისხმობს შენი შინაგანი სამყაროს შესწავლისათვის განწყობის შექმნას;
4. თვითრეალიზაციის არსებით მომენტებს პატივსენება და საკუთარ ქცევაზე პასუხისმგებლობის აღება წარმოადგენს;
5. ადამიანი სწავლობს საკუთარი ინსტინქტებისა და რწმენების ნდობას, რომელთა შესატყვისადაც იწყებს შემდგომში მოქმედებას. ეს პროცესი (რწმენებისა და ქცევის შესაბამისობა) თავის მხრივ ადამიანის მიერ მისთვის საუკეთესო არჩევანის გაკეთებას განაპირობებს;
6. თვითრეალიზაცია არა მხოლოდ არსებული, არამედ პოტენციური შესაძლებლობების განვითარების საშუალებას გვაძლევს;
7. მასლოუს შემოაქვს „განცდების კულმინაციის“ ტერმინი და თვლის, რომ ის თვითრეალიზაციის გარდამავალი პერიოდია. ამ ეტაპზე ადამიანი მეტად ინტეგრირებული და მთლიანია. ის გაცილებით მკვეთრად, ნათლად და სავსედ აფასებს სამყაროსა და საკუთარ თავსაც;
8. თვითრეალიზაციის მომდევნო, მაგრამ არა ბოლო ეტაპი – როდესაც ადამიანი აღმოაჩენს საკუთარ ფსიქიკის „დაცვის

ველებს“ და მათზე უარს იტყვის. მასლოუს აზრით, ადამიანი უნდა აცნობიერებდეს, თუ როგორ ამახინჯებს ის, როგორც საკუთარ, ასევე გარე სამყაროს ხატებს და მთელ ძალისხმევას მათ დასაძლევად უნდა მიმართავდეს.

ძირითადად მასლოუს მოთხოვნილებათა პირამიდა ეს არის პიროვნების განვითარების სამსაფეხურიანი კიბე:

1. ინდივიდი;
2. სუბიექტი;
3. საკუთარი პიროვნება.

**ინდივიდუალური გამოვლინება.** თავის საქმიანობაში ადამიანი არის საკუთარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისაკენ მიმართული. ის გარშემო მყოფთ, როგორც თავისი მოთხოვნილებების საგნებს განიხილავს. ინდივიდუალური გამოვლინებისას ადამიანი თავის მოქმედებას განიხილავს როგორც წყაროს, საიდანაც ის ლეზულობს თავისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. ინდივიდუალური გამოვლინების დროს, ნორმებს (ქცევის წესებს) ადამიანი თავისი მოთხოვნილებების სასიკეთოდ ცვლის. დასახული მიზნის მიღწევის დროს, წარმოქმნილი სირთულეების შემთხვევაშიც კი, ადამიანი ინდივიდუალური თვითგამოვლინებისას მიუღებელი მოთხოვნილებისადმი მნიშვნელობას კარგავს და მის მიმართ ნორმებს, ინტერესს და მუშაობას წყვეტს.

**სუბიექტური გამოვლინება.** ადამიანი საქმიანობაში – ეს არის შესაბამისი მოთხოვნილებათა ნორმების ფარგლებში ქმედება. სუბიექტური თვითგამორკვევა წარმოადგენს თავისი ქცევების შეფასებას და გარშემო მყოფთა მიერ შესრულებულ ფუნქციონალურ მოთხოვნილებებს. მისი საქმიანობის მთავარი აქცენტია შემსრულებლობა. ინდივიდი საკუთარი კონკრეტული დავალების რეალიზაციის დროს წარმოქმნილი წინააღმდეგობის შემთხვევაში ან თავის ქცევებს დავალების ნორმების ჩარჩოებში კორექტირებას გაუკეთებს, ან თავის ხელმძღვანელს (მასწავლებელი, მწვრთნელი) საკუთარ პრობლემას გააცნობს. ყოველივე ამით, მკაცრ

განსაზღვრულ ნორმაში ადამიანი მზადაა და ცდილობს აიმალოს საკუთარი პროფესიული კომპეტენცია.

**საკუთარი პიროვნული გამოვლინება.** ადამიანი საქმიანობაში – ეს არის ქმედება, რომლის საფუძველი სოციალური ღირებულებებია. საკუთარი პიროვნული გამოვლინების თვითგამორკვევის ჩარჩოში ადამიანი ავლენს მოქმედებას, რომელიც მიმართულია ორგანიზაციის (სკოლა, ფირმა და სხვ.) საქმიანობის განვითარებისკენ. გარკვეული წინააღმდეგობის გაჩენის შემთხვევაში ინდივიდი საკუთარი პიროვნული ორიენტაციით აქტიურდება და ეძებს წინააღმდეგობის მიზეზის დაძლევის ოპტიმალურ გზას. პიროვნული აქცენტი მიმართულია ღირებულებების შემოქმედების კორექციის ხარჯზე ადამიანის შემოქმედების სრულყოფილებისაკენ.

ამ სამიდან (ინდივიდუალური, სუბიექტური და საკუთარი პიროვნული გამოვლინება) ერთ-ერთის იგნორირების შემთხვევაშიც კი ნეგატიურ შედეგებს მივიღებთ. რაც თავდაპირველად მოტივაციურ განწყობაზე, ხოლო შემდეგ კი მისი განვითარების დონის შეფერხებაზე აისახება.

ძირითადად ადამიანის ცხოვრებაში მთავარი მიღწევის კონკრეტული ღირებულებებია: ჯანმრთელობა, ოჯახი, სამსახური, სიყვარული, ფული, აღიარება, განათლება და მოგზაურობა.

**კარლ როჯერსი (Carl Rogers) (1902-1987)** – ამერიკელი ფსიქოლოგი, პროფესორი. ჰუმანისტური ფსიქოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი (მასლოუსთან ერთად). ფსიქოლოგიური განათლება მიიღო ვისკონსინის და კოლუმბიის შტატის უნივერსიტეტებში. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, როგორც ფსიქოლოგმა, პროფესიული მოღვაწეობა ბავშვების დახმარების ცენტრში, ქალაქ როჩესტერში (ნიუ-იორკის შტატი) დაიწყო.

1945 წელს ჩიკაგოს უნივერსიტეტმა მას შესთავაზა უნივერსიტეტში საკუთარი კონსულტაციის ცენტრი შეექმნა. 1957 წლამდე ის ამ ცენტრის დირექტორი იყო. 1957 წლიდან ვისკონსის უნივერსიტეტში ფსიქოლოგიაში და ფსიქიატრიაში კითხულობდა ლექციებს.

როჯერსამდე ფსიქოთერაპევტები ტრადიციულად პაციენტებთან და ავადმყოფებთან მუშაობდნენ. როჯერსმა, როგორც პრაქტიკოსმა ფსიქოთერაპევტმა, გარკვეული დაკვირვების შემდეგ ტერმინი „კლიენტი“ შემოიტანა. ანუ, კლიენტი არის ის, ვისაც სჭირდება მომსახურება და უპირატესობას ანიჭებს ფსიქოთერაპევტის მხარდაჭერას. კლიენტი ფსიქოთერაპევტს განიხილავს იმ ადამიანად, ვისი გაგებაც მას შეუძლია თავის პრობლემების მიუხედავად. წარმოდგენა კლიენტზე არის თანასწორობის იდეის თეზისი ექიმსა და პაციენტს შორის. 1951 წელს როჯერსმა გამოსცა წიგნი „კლიენტზე ფოკუსირებული თერაპია“, რომელიც გაშუქებულია ინდივიდუალური ფსიქოთერაპიის ის საკითხები, რომელიც ორიენტირებული იყო კლიენტზე და რომლის საფუძველია - არ მივცეთ კლიენტს რჩევები, მოვერიდოთ მისი ქცევების შეფასებას და აქტუალიზაცია გავეუკეთოთ მის შემოქმედებას. საკუთარი პრინციპები მან საბოლოოდ ჩამოაყალიბა და კლიენტის 7 სტადია ამგვარად წარმოადგინა:

1. „ცხოვრებისეული გამოცდილების ბლოკადა“. ადამიანისათვის შხოლოდ მისი შინაგანი სამყარო არსებობს. თვლის, რომ მას შინაგანი პრობლემები არა აქვს. ყველა პრობლემა მასში არ არის. „ყველაფერი კარგადაა, ყველაფერი ბრწყინვალედ, რომ არა...“. მასთან სიახლოვე შეუძლებელია. ასეთი ადამიანი არასოდეს მივა ფსიქოთერაპევტთან;
2. „ცხოვრებისეული გამოცდილების ჩამოშორება“ - ინდივიდი ჩამოცილებულია საკუთარ სუბიექტურ განცდებს. გრძნობები შეიძლება გამოიხატოს გაუაზრებლად. პრობლემებს და კონფლიქტებს აღიარებს, მაგრამ აღწერს მათ როგორც გარე ფაქტორს. რეალობა მისთვის ძალზედ საშიშია;
3. „ცხოვრებისეული გამოცდილების ობიექტივიზაცია“. სრულფასოვანი ფუნქციონირებული ადამიანი ავლენს საკუთარი თავის ნდობას. აღწერს საკუთარ გრძნობებს, რომლებიც ხშირად ნეგატიურია. ადამიანი აღწერს სხვას საკუთარ თავს, როგორც ობიექტს, მაგალითად, „ის მე საშინლად მეჭვიანებს...“.

4. „ცხოვრებისეული გამოცდილების ბლოკადის გარღვევა“. გრძნობა აღწერილია, როგორც რეალობა, რომელიც საკუთარ „მეს“ მიეკუთვნება. გრძნობს მშფოთვარე წინათგრძნობას, რომელიც შეცნობით არ იქნა დაშვებული. შეიძლება იმის გარღვევა მოხდეს, რაც მას აშინებს. გამოცდილება უფრო თავისუფლად ვლინდება. კლიენტი აღმოაჩენს საკუთარ პიროვნულ ღირებულებებს და ზოგჯერ მათ მნიშვნელობაში ეჭვი ეპარება. ადამიანს უჩნდება პირადი პასუხისმგებლობის გრძნობა, მაგრამ ავლენს მერყეობას. ადამიანი დროდადრო ცდილობს გარისკოს ურთიერთობა, ისაუბროს სხვა ადამიანებთან საკუთარ გრძნობებზე. ამ სტადიაზე ადამიანისათვის ძალზედ მნიშვნელოვანია გრძნობების სიზუსტით აღწერა;
5. „ცხოვრებისეული გამოცდილების შინაგანი მიმღეობა“. მრავალი გრძნობა გამოხატულია თავისუფლად. ამ სტადიაზე გრძნობები უკვე შემეცნებით მიიღება. ხდება აღიარება იმისა, რომ უშუალოდ განცდა არის მნიშვნელოვანი მოტივი, როდესაც ადამიანს შეუძლია იხელმძღვანელოს საკუთარი საქციელით. ჩნდება გრძნობებთან სიახლოვის სურვილი, რაც საკუთარი მრავალი პიროვნული ღირებულებების სარგებლობას ეჭვქვეშ აყენებს. ადამიანი თავისუფლად გრძნობს შინაგან დიალოგს.
6. „სრულფასოვანი განცდის გამოცდილება“. ჩნდება აზრი, რომ არ არსებობს გრძნობა, რომლისაც უნდა გვემოინდეს. პირიქით, მას უნდა ვებრძოლოთ. ინდივიდი გამოცდილებას განიცდის დრამატულად. ამ დროს ხდება განცდის სრულად მიღება, როგორც საკუთარი ცხოვრების და ადამიანებთან ურთიერთობის რეალური მოტივი. „მე“, როგორც ობიექტი, თანდათან ქრება და გადაიქცევა განცდის პროცესის ნაწილად. ადამიანი ცდილობს სხვებთან ურთიერთობისას გარისკოს და გახდეს საკუთრივ „მე“. ასეთ ადამიანს ახასიათებს ტოტალური ფსიქიკური, ფსიქოფიზიკური და ემოციონალური რელაქსაცია. შინაგანი პრობლემები ობიექტში აღარ არსებობს, ისინი აღიქმებიან უკვე განცდილის სახით.
7. „მე“ - როგორც გამოცდილების პროცესი“. ადამიანს სურს იყოს ისეთი როგორც არის. ავლენს საკუთარი თავის სრულ

ნდობას. ჩვეულებრივ, ნაკლებად მოსაუბრეა. ასეთი ტიპის ადამიანი თავისუფალია ყველანაირი კონვენციებისა და შეთანხმებებისაგან. საკუთარ გამოცდილებასა და შეთანხმებას შორის, ის საკუთარ გამოცდილებას ამჯობინებს. იგი გამოსულია არსებული სოციალურიდან და ახალი ტიპის წარმომადგენლის როლში გვევლინება.

როჯერსის ყველაზე გახმაურებული წიგნი „პიროვნების ჩამოყალიბება“ 1961 წელს გამოიცა. წიგნი ბესტსელერი გახდა და მას საკმაოდ დიდი ჰონორარი ერგო. ამ წიგნში კარლ როჯერსი ადამიანის პიროვნების არსს განიხილავდა როგორც „მე“ - კონცეფციას, რომელიც დინამიკაში წამოადგენდა „მე“ - რეალურს და „მე“ - იდეალურს.

„მე - კონცეფცია“ არის ის სისტემა, რომელიც გულისხმობს ადამიანის წარმოდგენას საკუთარ თავზე.

დღეს ფსიქოლოგიაში ზოგადად ერთიან „მე“ - კონცეფციაში გამოყოფენ შემდეგ ფორმებს:

1. „მე“ - ფიზიკური - საკუთარი სხეულის სქემა;
2. „მე“ - სოციალური - სოციალური ინტეგრირების სფეროებში შესაბამისობა: ეთნიკური, სამოქალაქო და ა.შ.;
3. „მე“ - ეგზისტენციალური - საკუთარი თავის შეფასება სიცოცხლეზე და სიკვდილზე.

„მე“ - კონცეფციის ფორმულირება ადამიანში გარკვეული ცხოვრებისეული გადაწყვეტილებების დაგროვების და მისი სხვა ადამიანების, პირველ რიგში კი მშობლების შეფასების შედეგად ხდება.

როჯერსის მტკიცებით, პიროვნებაში ორი ინსტანცია არსებობს, რომლებიც შეთანხმებით უნდა მუშაობდნენ. „რეალური მე“ წარმოადგენს საკუთარი თავის სისტემის შეფასებას, რომელიც დამოკიდებულია ინდივიდუალურ გამოცდილებასა და გარშემო მყოფთა აქტიურ შეფასებაზე და „იდეალური მე“, როგორც უნდა ადამიანს რომ იყოს (ცხრილი №5).

„მე“ - კონცეფციის ჩამოყალიბება და ფორმირება სუბიექტის გარემოსთან ურთიერთქმედებით ხდება.

როჯერსი თვლიდა, რომ ბავშვის ალზრდის მიზანს ზნეობის სწავლება კი არ წარმოადგენს, არამედ მას ზნეობრივი პრინციპების დამოუკიდებლად ათვისება უნდა მივანდოთ. მასწავლებლის მოვალეობა ის კი არ არის, რომ ზეგავლენა მოახდინოს ბავშვზე, არამედ დაეხმაროს მას პირისპირ აღმოჩნდეს საკუთარ თავთან. ამასთანავე აუცილებელია მოსწავლემ იცოდეს, რომ ის მართო არ არის და რომ მის გვერდით შედგაგოვია.

თუ მასლოუ თვლის, რომ პიროვნების განვითარება მოთხოვნილებების დაკმაყოფილებით ხდება, როჯერსის თანახმად, ადამიანები ყოველთვის საკუთარი სურვილის მიუხედავად განიცდიან თვითშემეცნებას.

ცხრილი №5

რეალური „მე“	იდეალური „მე“
აქტუალიზაცია	საზოგადოება
ორგანიზმის შეფასება	ღირებულებების მდგომარეობა
პოზიტიური მოპყრობის მდგომარეობა	პოზიტიური მოპყრობა
პოზიტიური „მე-ს“ მოპყრობა	პოზიტიური „მე-ს“ მდგომარეობა

როჯერსი გამოცდილებითი სწავლის თეორიის ავტორად ითვლება. როჯერსისათვის გამოცდილებითი სწავლა არის პიროვნული ცვლილებებისა და ზრდის ექვივალენტი. ის აღნიშნავდა, რომ ყოველ ადამიანს სწავლისადმი ბუნებრივი მიდრეკილება გააჩნია. მასწავლებლის დანიშნულება მდგომარეობს ბავშვისათვის სწავლის პროცესში ფასილიტატორის (დამხმარე) როლის შესრულებაში, რაც გულისხმობს შემდეგს:

1. შექმნას სწავლისათვის პოზიტიური კლიმატი;

2. აუხსნას მოსწავლეებს სწავლის მიზანი;
3. ორგანიზაცია გაუკეთოს და ბავშვებისათვის ხელმისაწვდომი გახადოს სწავლისათვის საჭირო რესურსები;
4. მოახდინოს სწავლის ინტელექტუალური და ემოციური კომპონენტების ბალანსირება;
5. გაიზიაროს მოსწავლეთა განცდები, აზრები და არ იყოს დომინანტური.

როჯერსის თანახმად, სწავლა გაადვილებულია, როდესაც:

- მოსწავლე მთლიანად ჩართულია სასწავლო პროცესში;
- ეს არის სწავლის ბაზა პრაქტიკასთან სოციალურ, პიროვნულ ან კვლევით პრობლემებთან კონფრონტაციისა;
- თვითგანვითარება არის პრინციპულად მნიშვნელოვანი მომენტი შეფასებისა და ნარმატივისათვის.

როჯერსი სწავლისათვის უმნიშვნელოვანესად მიიჩნევს თვითონ სწავლის პროცესს და ცვლილებებისათვის მზადყოფნას. მაგალითად: ადამიანმა, რომელსაც სურს იყოს მდიდარი, უნდა მოიძიოს წიგნები და მოსამზადებელი კურსები ეკონომიკის, ინვესტიციების, საბანკო საქმეების და ა.შ. სფეროში. ასეთი ადამიანი შეისწავლის და მიიღებს ყველა ინფორმაციას ამ სფეროში უფრო დიდი მოცულობით, ვიდრე მხატვრული კითხვით დაკავებული ადამიანი.

გამოცდილებითი სწავლის თეორიის ძირითადი პრინციპებია:

1. გამოცდილებით სწავლას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც საგანი ემთხვევა პიროვნების ინტერესებს;
2. სწავლა, რომელიც საფრთხეს უქმნის ადამიანის ატიტუდებს და პერსპექტივებს, ადვილად ასიმილირდება, ვიდრე მსგავსი საფრთხის ნაკლები დონის მქონე ინფორმაცია;

3. სწავლის პროცესი დაჩქარებულია, როდესაც საფრთხის ხარისხი დაბალია;
4. ყველაზე ხანგრძლივი და გავრცელებული არის საკუთარი ინიციატივით სწავლა.

**„მე“-ს განვითარების თეორია**

**რობერტ კეგანი (Robert Kegan, დაიბადა 1946 წელს.)** – ამერიკელი ფსიქოლოგი. ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი. „მე“-ს განვითარების თეორიის ერთ-ერთი ავტორი. 1982 წელს მან გამოაქვეყნა წიგნი „მე-ს განვითარება“ (The Evolving Self: Problems and process in human development. Cambridge, MA: Harvard University Press, 1982), რომელმაც მსოფლიოში საყოველთაო აღიარება მოუტანა. ნაშრომში რობერტ კეგანმა განაწარმოა პიაჟეს, მასლოუს, კოლბერგის, ერიქსონის და სხვა მკვლევარების თეორიის ასპექტები და პიროვნების განვითარების უფრო ფართო აღწერა წარმოგიდგინა.

კეგანმა შემოგვთავაზა თანამედროვე ევოლუციური მიდგომა, რომელიც უწყვეტი პროცესია და ადამიანის მთელი ცხოვრების მანძილზე გრძელდება. ავტორი ამტკიცებს - განვითარების პროცესში მყოფი ინდივიდი მთელი ცხოვრების მანძილზე იმყოფება მასიდან დიფერენციაციის უწყვეტ პროცესში და, ამავე დროს, აცნობიერებს თავის ინტეგრაციას გარე სამყაროსთან. ავტორის აზრით, ადამიანის „მე“-ს ფსიქოლოგიური განვითარება ექვს თანაბარ სტადიას გადის:

1. ინკორპორაციული სტადია;
2. იმპულსური სტადია;
3. იმპერიული სტადია;
4. ინტერპერსონალური სტადია;
5. ინსტიტუციური სტადია;
6. ინტერინდივიდუალური სტადია.

კეგანი ამტკიცებს, რომ „მე“-ს სრული განვითარებისათვის აუცილებელია ადამიანი ექვსივე სტადია გაიაროს. თითოეული სტადიის დამახასიათებელ ნიშანს ის საგანი და ობიექტი წარმოადგენს, რომელიც ამა თუ იმ სტადიაზე წამყვან, დომინირებულ მდგომარეობაშია. ყოველ სტადიაზე ძველი ახლის ნაწილი ხდება, ისევე როგორც ბავშვის მიერ სამყაროს კონკრეტული გაგება ხდება დასკვნების ნაწილი ფორმალური ოპერაციების სტადიაზე.

**რ. კეგანის „მე“-ს განვითარების სტადიები**

სტადია	სტადიის ჯგუფი	ასაკი	საგანი	ობიექტი
0	ინკორპორაციული	0-1	რეფლექსები	არ არსებობს
1	იმპულსური	1-7	იმპულსები, ალქმა	მოგერიება
2	იმპერიული	7-10	მოთხოვნილებები, ინტერესები, სურვილები	იმპულსები, ალქმა
3	ინტერპერსონალური	10-19	ინტერპერსონალური ურთიერთობა, თანაზიარობა	მოთხოვნილებები, ინტერესები, სურვილები
4	ინსტიტუციური	20-40	ავტორობა, იდენტურობა, იდეოლოგია	ინტერპერსონალური ურთიერთობა, თანაზიარობა
5	ინტერიინდივიდუალური	40 - ... წელი	ცალკეული სისტემების ურთიერთგამჭვირვალობა	ავტორობა, იდენტურობა, იდეოლოგია

**მორალური განვითარების კონცეფცია**

**ლოურენს კოლბერგი (Lawrence Kohlberg) (1927-1987)** – ამერიკელი ფსიქოლოგი. ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორი. კოლბერგი მსოფლიოში აღიარებულია თავისი მორალური განვითარების კონცეფციით, რომელზედაც ის მრავალი ათეული წელი მუშაობდა. თავის ძირითად ნაშრომებში – Stage and Sequence: The Cognitive Developmental Approach to Socialization // (Ed.) Goslin D.A. Handbook of Socialization Theory and Research. Chicago, 1969. Essays on Moral Development, I: The Philosophy of Moral Development: Moral Stages and the Idea of Justice. San Francisco: Harper & Row, 1981. - მან ხაზი გაუსვა მორალის აუცილებლობას.

კოლბერგი იკვლევდა ბავშვის ურთიერთობას მორალურ დილემასთან. თავის ნაშრომში მიჰყვებოდა პიაჟეს იდეას და იყენებდა მის მეთოდებს. ბავშვი გარკვეულ სიტუაციაში დგება წარმოდგენილი მორალური დილემის წინაშე, რომლის მონაწილე თვითონ არ არის, მაგრამ შეუძლია შეაფასოს ადამიანის კონკრეტული საქციელი – კარგად ან ცუდად. მისი მტკიცებით, ბავშვის მორალური მსჯელობა გადის გარკვეულ, კანონზომიერ სტადიებს ანუ, ადამიანის ფსიქიკა მორალურ მდგომარეობაში ვითარდება და რიგ სტადიებს გაივლის. მკვლევარის აზრით, სტადიების თანმიმდევრობის დარღვევა არ შეიძლება. სხვადასხვა საზოგადოებაში მორალის წესი და ტემპი ერთნაირია, მაგრამ რაც უფრო მაღალ საფეხურზე დგას საზოგადოება, მით უფრო მაღალია მორალის მიღწევის საფეხური.

**მორალურობა** – არის რწმენათა, ფასეულობათა და ძირითად პრინციპთა სისტემა, რომელიც განსაზღვრავს ადამიანის მოქმედებების სისწორესა თუ მცდარობას. ბავშვი უნდა იქცეს ისეთ ზრდასრულ ადამიანად, რომელიც არსებული საზოგადოების მორალურ ფასეულობათა სისტემას გაიზრებს და რომლის ქცევაც საზოგადოებისაგან მიღებული მორალური პრინციპებით წარიმართება.

კოლბერგმა ექვსი მიმართულება და შესაბამისად ექვსი სტადია გამოყო.

მორალის განვითარების კონცეფცია (ლათ. morale - ზნეობრივი) გენეტიკური თეორიაა. კოლბერგმა თავის თეორიაში ძირითადად სამი დონე გამოყო:

1. ნინაკონვენციური
  2. კონვენციური
  3. პოსტკონვენციური
- თითოეული დონე თავისთავად მოიცავს შემდეგ საფეხურებს (ცხრილი №7):

**ნინაკონვენციური მორალური დონე** - (ჰედონისტური) მოიცავს შემდეგ სტადიებს:

0. მორალური შეფასება არის საკუთრივ ინდივიდში.

I სტადია - ორიენტაცია დასჯის აცილებასა და მორჩილებაზე; ამ ეტაპზე გადაწყვეტილების მიღებისას კონკრეტული მითითებები და აკრძალვები შემოდის, რომელიც საყოველთაო ხასიათს კი არ ატარებს, არამედ სიტუაციურია და კონკრეტულ სუბიექტზეა მიმართული. ამ სტადიისათვის დამახასიათებელი მსჯელობაა - უნდა დაემორჩილო წესებს, რომ თავიდან აიცილო დასჯა;

II სტადია - მიამიტური, ჰედონისტური ორიენტაცია; პირადი სარგებლის ან ჯილდოს მიღებისათვის წესებს უნდა დაემორჩილო;

**კონვენციური მორალური დონე** - დაფუძნებული სოციალურ კონფორმიზმზე (პრაგმატული, როლური).

III სტადია - ორიენტაცია „კარგ გოგოსა“ და „კარგი ბიჭზე“; მორალური განვითარების ამ სტადიისათვის კარგი ურთიერთობები და სხვების მხრიდან კეთილგანწყობილება მნიშვნელოვანია.

IV სტადია - ორიენტაცია სოციალური წესრიგის მხარდაჭერაზე. ადამიანის ცხოვრება ხელშეუხებელია რელიგიურ და მორალურ კანონთა წინაშე. ყველაზე მთავარია, იყოს თანხმობა

ავტორიტეტთან; საკუთარი მოთხოვნილებები კი არ დაიკმაყოფილონ, არამედ მხარი დაუჭირონ წესრიგს. მსჯელობის სახეა - უნდა დაემორჩილო წესებს, დანაშაულის განცდისა და კანონთა უთანხმოების თავიდან არიდების მიზნით;

**პოსტკონვენციური მორალური დონე** - მორალის ავტონომია.

V სტადია - ორიენტაცია სოციალურ თანხმობაზე. ადამიანის ცხოვრების ღირებულება განისაზღვრება მისი საქმით საერთო ადამიანური პროგრესისაკენ. დიდი ყურადღება ეთმობა საზოგადოებრივ საქმიანობას; მსჯელობა შემდეგი სახისაა - საზოგადოების საკეთილდღეოდ უნდა დაემორჩილო სახელმწიფოს კანონმდებლობას;

VI სტადია - ორიენტაცია საერთო ეთიკურ პრინციპებსა და სინდისის თავისუფლებაზე. ცხოვრება მიჩნეულია განსაკუთრებულ ღირებულებად, რომელიც განსაზღვრავს კაცობრიობის უკეთესობისაკენ სწრაფვას;

VII სტადია - ადამიანის ცხოვრება - კოსმოსის ელემენტი. მთავარ პრობლემად მიჩნეულია არა თანმიმდევრობით სვლა, არამედ ცხოვრების არსის ძიება.

ყველა საფეხური, რომელსაც ბავშვი გაივლის ინდივიდუალურია. თუმცა არსებობს ზოგიერთი კანონზომიერება მაინც. ბავშვები, რომლებიც დაწყებით საფეხურზე სწავლობენ, როგორც წესი, ნინაკონვენციური მორალის დონეზე არიან. ისინი ორიენტირებული არიან ავტორიტეტზე, მათ აბსოლუტური და უნივერსალური ღირებულებების სჯერათ. ამიტომაც სიკეთისა და ბოროტების ცნებებს ისინი იგებენ და ითვისებენ უფრო სუსტადაა.

მოზარდის ასაკის ბავშვი, როგორც წესი, გადადის კონვენციურ სტადიაზე. თუმცაღა მოზარდების უმრავლესობა „კომფორმისტი“ ხდება. მათი უმრავლესობის მოსაზრება და შეხედულება ემთხვევა სიკეთის განმარტებას.

მოზარდის მიერ ნეგატიური კრიზისის გადალახვა ზნეობრივ რეგრესად არ ითვლება, რადგანაც მოზარდი უფრო მაღალი განვითარების დონეზე გადადის, სადაც ყურადღებას თავის სოციალ-

ურ სიტუაციაზე ამახვილებს. მოზარდების ნაწილი არის „კარგი ბიჭი“-ის, „კარგი გოგო“-ს, ნაწილი კი გადადის „სოციალური წესრიგის მხარდაჭერის“ სტადიაზე.

არსებობს სიტუაციები, როდესაც მოზარდის ასაკში ადამიანი კონვენციურ დონეს ვერ აღწევს. ის კვლავ საკუთარი ფსიქოლოგიური კომფორტის პრინციპებით ხელმძღვანელობს აგრძელებს. რის მიზეზადაც შეიძლება რიგი კომპლექსები დასახელდეს; მაგალითად: დაბალი ინტელექტუალური სფერო, სუსტად განვითარებული კომუნიკაციის უნარი და ა. შ.

პოსტკონვენციურ სტადიაზე გადასვლა ყველაზე სწრაფად 15-16 წლის ბავშვებში ხდება. გადასვლა თავდაპირველად, როგორც სინდისის რეგრესი ვლინდება. მოზარდი მორალის უარყოფას იწყებს. შედარებითი ზნეობრივი ღირებულებები, მოვალეობის გაგება, პატიოსნება, სიკეთე მისთვის გაუფასურებული სიტყვები ხდება. ამ ასაკის მოზარდი ამტკიცებს, რომ არავის არა აქვს უფლება გადანყვიტოს ან მიუთითოს, როგორ იცხოვროს ადამიანმა. ასეთი მოზარდები კრიზისს ხშირად განიცდიან და ცხოვრების მიმართ ინტერესს კარგავენ. ამ კრიზისის დაძლევა რაიმე პირადი და მასთან ერთად ღირებულის გაგების შედეგად ხდება.

აღსანიშნავია, რომ მრავალი ადამიანი მთელი ცხოვრების მანძილზე ვერ ახერხებს მორალის ავტონომიას, ანუ პოსტკონვენციურ სტადიაზე გადასვლას. მეტიც, ნაწილი ადამიანებისა ვერ გადადის კონვენციურ დონეზე, ან სულაც რჩება წინაკონვენციურ დონეზე.

ცხრილი №7 (შპს თეორიული ინსტიტუტი ევოლუციური ფსიქოლოგიისა და ინტელექტუალური სფერის განვითარების შესახებ)

დონე	ასაკი	სტადია	ასაკი	სტადიის მდგომარეობა	სტადიები
1	0,5-3,5	0	0-2	მორალის ვერ გაგება, ჩემი სურვილი	
2	3,5-6,5	1	2-4	გამგონი-დასჯა	წინაკონვენციონალური
3	6,5-9,5	2	4-7	ინდივიდუალიზმი-ინსტრუმენტალიზმი (შენ მე - მე შენ)	წინაკონვენციონალური
4	9,5-12,5	3	7-12,5	„კარგი ბიჭი“, „კარგი გოგო“	კონვენციონალური
5	12,5-15,5	4	12,5-...	კანონი და წესრიგი	კონვენციონალური
6	15,5-18,5	5		საზოგადოებრივი ხელშეკრულება	პოსტკონვენციონალური
7	18,5-21,5	6		ორიენტაცია მაღალ ღირებულებებზე	პოსტკონვენციონალური

მრავალი ფსიქოლოგი კოლბერგის მოსაზრებას ეთანხმება და მის თეორიას ინდივიდუალური შემთხვევებისთვისაც იყენებს, რომლის მიზანსაც ბავშვის მიერ მორალური ეტაპების წარმატებით დაძლევა წარმოადგენს.

ქვემოთ შემოთავაზებულ ცხრილში (ცხრილი №8) ნაჩვენებია მიახლოებითი ასაკი და ამ ასაკისათვის დამახასიათებელი მსჯელობის სახე.

ცხრილი №8

დონე	ასაკი	რას ნიშნავს მოიქცე სწორად	რატომ უნდა მოიქცე სწორად (მსჯელობის ხასიათი)
0	4	მოიქცე ისე, როგორც გინდა. სწორია ის, რასაც მე ვაკეთებ	რომ მივიღო ჯილდოები და ავიცილო დასჯა
1	5-6	აკეთე ის რაზეც უფროსები მიგიითებენ	რომ მოვერიდო უსიამოვნებას
2	6-8	მოვექცე ისე სხვებს, როგორც ისინი შექცევიან მე	აკონტროლო საკუთარი თავი
3	8-12	სხვების მოლოდინზე პასუხი; სხვებს მივანიჭო სიხარული	რომ სხვები ჩემზე კარგს ფიქრობდნენ და მეც დადებითად ვაფასებდე საკუთარ თავს
4	12-...	საზოგადოებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილება	რომ ვიყო კარგი მოქალაქე

## ლექსიკონი

**აგრესია** (ლათ. aggredi – თავდასხმა) ინდივიდუალური ან კოლექტიური თავდასხმა. მოქმედება, რომელიც მიმართულია ფსიქიკური ან ფიზიკური ზიანის მიყენებაზე. შესაძლოა გულისხმობდეს ადამიანის ან ადამიანების ჯგუფის განადგურებას. გამოყოფენ: 1. ფიზიკური (თავდასხმა) – ფიზიკური ძალის გამოყენება სხვების მიმართ; 2. ვერბალური – ნეგატიური დამოკიდებულების გამოხატვა ყვირილის, ჩხუბის ან კივილის სახით, რომელსაც აქვს მუქარის, გაკიცხვის, წყევლის შინაარსი; 3. უშუალოდ მიმართული აგრესია სუბიექტის ან ობიექტის მიმართ; 4. არაპირდაპირი – შემოვლითი გზით სხვაზე მიმართული მოქმედება (მაგ., ბოროტი ჭორები, ბოროტი ხუმრობა და ა.შ.); ასევე ქმედება, რომელიც ხასიათდება მიმართულების არქონით და მოუწესრიგებლობით (რისხვა, ფეხების ბაკუნი, მაგიდაზე მუშტის დარტყმა და სხვ.); 5. ინსტრუმენტალური – წარმოადგენს მიზნის მიღწევის საშუალებას; 6. მტრული – რომლის მიზანს წარმოადგენს აგრესიის ობიექტისადმი ზიანის მიყენება; 7. ავტოაგრესია – ვლინდება თვითდანაშაულის, თვითდამცირების, თვითმკვლელობამდე საკუთარი სხეულისადმი ზიანის მიყენება; 8. ალტრუისტული – რომლის მიზანს წარმოადგენს აგრესიული ქმედებისაგან სხვა ადამიანის დაცვა.

**ადაპტაცია** (ლათ. adaptatio – შეგუება) - გარემო პირობებთან ცოცხალი ორგანიზმის შეგუების პროცესი.

**აკომოდაცია** (ლათ. accomodatio - შეგუება) - არსებული მენტალური სტრუქტურის ცვლილება ძველი და ახალი გამოცდილების გაერთიანების მიზნით. ანუ, აკომოდაცია არის საზოგადოებრივი პროცესის ცვლილებები. ამ ცვლილებების განხორციელება კი საჭირო ხდება მაშინ, როდესაც ახალი ობიექტი ან იდეა არ თავსდება ჩვენს გაგებაში.

**ასიმილაცია** (ლათ. assimilatio – მიმსგავსება, შეერთება, შეთვისება)

ბა) - არსებულ მენტალურ სტრუქტურაში, მისი (სტრუქტურის) ყოველგვარი ცვლილების გარეშე, ახალი გამოცდილების ინტერპრეტაცია. ანუ, ასიმილაცია არის ახალი ინფორმაციის, როგორც შემადგენელი ნაწილის, ჩართვა ინდივიდის უკვე არსებულ სქემაში.

**ასოციაცია** - (ლათ. associatio - შეერთება) - აღმოცენდება ინდივიდის გამოცდილებაში, როგორც კანონზომიერი კავშირი ცნობიერების ორ (შეგრძნებები, წარმოდგენები, აზრები, გრძნობები და ა.შ.) შინაარსს შორის. ანუ ცნობიერების ერთი შინაარსის გამოვლენას თან მოაქვს სხვა, მასთან დაკავშირებული შინაარსი.

**ბიოგენეტიკური კანონი** - ( ბერძ. bios - ცხოვრება, genesis - წარმოშობა) გერმანელი ფილოსოფოსის ე. ჰეკელის (1834-1919) და ფ. მიულერის მიერ ჩამოყალიბებული კანონი: ონტოგენეზი წარმოადგენს ფილოგენეზის შემჭიდროვებულ, შემოკლებულ გამეორებას. აღნიშნული კანონი ადამიანის ფსიქიკის განვითარებაზეც ვრცელდებოდა. რომლის თანახმადაც, ბიოლოგიური კანონზომიერებით ინდივიდის ფსიქიკური განვითარება იმეორებს წინა თაობების ისტორიული განვითარების გზას და ამ პროცესში აღზრდისა და სწავლების როლი მინიმალურია.

**ბიჰევიორიზმი** (ინგ. Behaviour - ქცევა) - XX საუკუნის ამერიკული ფსიქოლოგიის მიმართულება, რომელიც ცნობიერებას, როგორც შემეცნების საგანს უარყოფდა. ის ფსიქოლოგიის შესწავლის საგნად ქცევას, როგორც ორგანიზმის დაკვირვებადი რეაქციისა და სხვადასხვა სტიმულების შერწყმას მიიჩნევდა. ბიჰევიორიზმის ზოგიერთი პრინციპი და დებულება გადახედვილ იქნა XX საუკუნის 30-40-იან წლებში, როდესაც ახალი მიმართულება ნეობიჰევიორიზმი შეიქმნა.

**განვითარება** - ცვლილებას, რომელიც დროთა განმავლობაში ადამიანის ორგანიზმში, შემეცნებით პროცესებში, ემოციებში, სოციალური ურთიერთობის ფორმებსა და ქცევის სხვა სახეებში

ხდება. ეს ცვლილება განისაზღვრება ორგანიზმში მიმდინარე ბიოლოგიური პროცესებისა და გარემოს ზემოქმედების შედეგად.

**განვითარების კრიზისები** - ონტოგენეზის განსაკუთრებული, არც თუ ისე ხანგრძლივი (1 წლამდე) პერიოდები, რომელიც ხასიათდება მკვეთრი ფსიქიკური ცვლილებებით. ნევროტული და ტრავმატული ხასიათის კრიზისებისაგან განსხვავებით, ის მიეკუთვნება ჩვეულ პროცესებს, რომელიც აუცილებელია პიროვნების ნორმალური განვითარებისათვის (ე. ერიქსონი).

**განვითარების სოციალური სიტუაცია** - ვიგოტსკის ტერმინი. ფსიქოლოგიური ასაკის სტრუქტურული კომპონენტი. განვითარების სოციალური სიტუაცია სპეციფიკურია ნებისმიერი ასაკისათვის.

**გენერალიზაცია** (ლათ. generalis - საერთო, მთავარი) კერძო მოვლენაზე რაიმე ზოგადი პრინციპის დაქვემდებარება; განზოგადება.

**გენეტიკური ეპისტემოლოგია** (ბერძ. genesis - წარმოშობა, logos - სწავლა) - ბიოლოგიური კონცეფციის ვარიანტი. მისი კვლევის საგანს წარმოადგენს ფსიქოლოგიური მექანიზმები, რომლებიც განპირობებულია შემეცნების განვითარებით და სტრუქტურით. აქ არის მცდელობა ონტოგენეტიკური განვითარების ექსპერიმენტული კვლევის, ზოგადი თანამედროვე ლოგიკის თეორიის და მათემატიკის მონაცემების გაერთიანებისა. გენეტიკური ეპისტემოლოგიის ცნება გამოიყენა უ. პიაჟემ „სისწრაფისა“ და „ხანგრძლივობის“ ფიზიკური გაგების გენეტიკური ანალიზის ფორმირებისას.

**გენოტიპი** (ბერძ. - genos - წარმოშობა, typos - ნიშნები) გენეტიკური კონსტიტუცია, რომელიც ორგანიზმს გადაეცემა მშობლების გენების შერწყმით. ტერმინი 1903 წელს შემოიტანა დანიელმა ბიოლოგმა ბ. იოჰანსენმა. ნებისმიერი სახეობის ცოცხალი ორგანიზმი (მიკრო ორგანიზმები, მცენარეები და ცხოველები) ხანგრძლივად ინარჩუნებს მშობლებთან ერთგვარ ფილოგენეზს

სიათდება საკუთარი გენოტიპით. ამასთან ერთად, თითოეული სახეობის ცალკეულ ინდივიდს გააჩნია საკუთარი გენოტიპი. ადამიანების პოპულაციაში მხოლოდ ერთეულ ადამიანებს აქვთ იდენტური გენოტიპი. ესენია მონოზიგოტური (ერთი კვერცხუჯრედიდან განვითარებული) ტყუპები.

**დასწავლა** – ინდივიდუალური გამოცდილების გამოყენების პროცესი და შედეგი. „დასწავლის“ ამგვარი გაგება პირველად თორნდაიკის ნაშრომებში გვხვდება. დასწავლა და სწავლა განსხვავებული ცნებებია. დასწავლა გულისხმობს გამოცდილების საქმიანობაში გამოყენებას, რომელიც იმართება ცნობიერი მოტივებით და მიზნებით (ან მხოლოდ მოტივებით). დასწავლის გზით ადამიანს შეუძლია ნებისმიერი გამოცდილების (ცოდნა, უნარი და ჩვევა), ხოლო ცხოველს ქცევის ახალი ფორმების გამოყენება.

**დასწავლის თეორიები** – დასწავლის თეორიები ახდენს გაცილებით მარტივი და ლოგიკური საშუალებებით არსებული დასწავლის ფაქტორების სისტემატიზირებას და მკვლევარების ძალისხმევას მიმართავს ახალი და მნიშვნელოვანი ფაქტის ძიებისაკენ. დასწავლის თეორიების შემთხვევაში ეს ფაქტები დაკავშირებულია პირობებთან, რომლებიც ინვევენ და ინარჩუნებენ ქცევის ცვლილებებს ორგანიზმის ინდივიდუალური გამოცდილების გამოყენების შედეგად.

**ეგო – იდენტურობა.** ერეკლესონის ტერმინი. პიროვნების მთლიანობა. ჩვენი მე-ს იგივეობისა და შესატყვისობის განცდა, იმ ცვლილებების მიუხედავად, რომელსაც განვიცდით ზრდისა და განვითარების პროცესში (მე – იგივე ვარ).

**ეგოცენტრიზმი** (ლათ. ego – მე, centrum – წრის ცენტრი) - ინდივიდის მიერ, გარკვეულ ობიექტებთან მიმართებაში შემეცნებითი პოზიციის, აზრის ან მის გამოცდილებასთან წინააღმდეგობაში მოსული წარმოდგენის საკუთარი ინტერესების, პოზიციებისა და აზრების განსხვავების უუნარობა. ეგოცენტრიზმი განსაკუთრებით მკვეთრად ვლინდება ადრეული ბავშვობის ასაკში და ძირითადად

დაიძლევა 12-14 წლამდე. ეგოცენტრიზმის ტენდენცია ძლიერდება მოხუცებულობაშიც. კვლევების საფუძველზე განიხილავენ ეგოცენტრიზმის რამდენიმე სახეს:

- **შემეცნებითი ეგოცენტრიზმი** – დამახასიათებელია ალქმისა და აზროვნების პროცესებისათვის;
- **მორალური ეგოცენტრიზმი** – დამახასიათებელია სხვა ადამიანების ქცევის და მორალური მოქმედების მიუღებლობაში;
- **კომუნიკაციური ეგოცენტრიზმი** – შეიჩნევა სხვა ადამიანებისათვის სუბიექტური ინფორმაციის გადაცემაში.

ზემოთ მოყვანილი ეგოცენტრიზმის სახეებიდან თითოეულის დაძლევა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად არის შესაძლებელი.

**ეპისტემოლოგია** ( ბერძ. epistēmē – ცოდნა) – გნოსეოლოგიის ნაწილი, რომელიც მეცნიერული ცოდნის წარმოშობასა და განვითარებას სწავლობს.

**ეტიოლოგია** (ბერძ. ethos – ჩვევა, ხასიათი, ზნე-ჩვეულება, logos – სწავლა). სამეცნიერო დისციპლინა, რომელიც შეისწავლის ზოგად ბიოლოგიური პოზიციით ცხოველთა ქცევას და იკვლევს მის ოთხ ძირითად ასპექტს: 1) მექანიზმი, 2) ბიოლოგიური ფუნქცია, 3) ონტოგენეზი და 4) ევოლუცია. ეტიოლოგიის ყურადღების ცენტრშია ის ქცევა, რომელსაც ცხოველების ბუნებრივ პირობებში აქვს ადგილი. ეტიოლოგიის ფუძემდებლები არიან კონრად ლორენცი და ნიკოლო ტინბერგენი (1907-1988).

**ზიგოტა** (ბერძ. zygotos – შეუერთდა, შეერთება) - სპერმის მიერ განაყოფიერებული კვერცხუჯრედი. ტერმინი დაამკვიდრა გერმანელმა ბოტანიკოსმა ე. სტრასბურგერმა.

**თვითაქტუალიზაცია** (ლათ. actualis – რეალური, ნამდვილი) - ადამიანის მისწრაფება სრულად გამოავლინოს საკუთარი თავი და განავითაროს პიროვნული შესაძლებლობები.

ბა) – არსებულ მენტალურ სტრუქტურაში, მისი (სტრუქტურის) ყოველგვარი ცვლილების გარეშე, ახალი გამოცდილების ინტერპრეტაცია. ანუ, ასიმილაცია არის ახალი ინფორმაციის, როგორც შემადგენელი ნაწილის, ჩართვა ინდივიდის უკვე არსებულ სქემაში.

**ასოციაცია** – (ლათ. associatio – შეერთება) – აღმოცენდება ინდივიდის გამოცდილებაში, როგორც კანონზომიერი კავშირი ცნობიერების ორ (შეგრძნებები, წარმოდგენები, აზრები, გრძნობები და ა.შ.) შინაარსს შორის. ანუ ცნობიერების ერთი შინაარსის გამოვლენას თან მოაქვს სხვა, მასთან დაკავშირებული შინაარსი.

**ბიოგენეტიკური კანონი** – (ბერძ. bios – ცხოვრება, genesis – წარმოშობა) გერმანელი ფილოსოფოსის ე. ჰეკელის (1834-1919) და ფ. მიულერის მიერ ჩამოყალიბებული კანონი: ონტოგენეზი წარმოადგენს ფილოგენეზის შემჭიდროვებულ, შემოკლებულ გაშვებას. აღნიშნული კანონი ადამიანის ფსიქიკის განვითარებაზეც ვრცელდება. რომლის თანახმადაც, ბიოლოგიური კანონზომიერებით ინდივიდის ფსიქიკური განვითარება იმეორებს წინა თაობების ისტორიული განვითარების გზას და ამ პროცესში აღზრდისა და სწავლების როლი მინიმალურია.

**ბიჰევიორიზმი** (ინგ. Behaviour – ქცევა) – XX საუკუნის ამერიკული ფსიქოლოგიის მიმართულება, რომელიც ცნობიერებას, როგორც შემეცნების საგანს უარყოფდა. ის ფსიქოლოგიის შესწავლას საგნად ქცევას, როგორც ორგანიზმის დაკვირვებადი რეაქციისა და სხვადასხვა სტიმულების შერწყმას მიიჩნევდა. ბიჰევიორიზმის ზოგიერთი პრინციპი და დებულება გადახედულ იქნა XX საუკუნის 30-40-იან წლებში, როდესაც ახალი მიმართულება ნეობიჰევიორიზმი შეიქმნა.

**განვითარება** – ცვლილებას, რომელიც დროთა განმავლობაში ადამიანის ორგანიზმში, შემეცნებით პროცესებში, ემოციებში, სოციალური ურთიერთობის ფორმებას და ქცევის სხვა სახეებში

ხდება. ეს ცვლილება განისაზღვრება ორგანიზმში მიმდინარე ბიოლოგიური პროცესებისა და გარემოს ზემოქმედების შედეგად.

**განვითარების კრიზისები** – ონტოგენეზის განსაკუთრებული, არც თუ ისე ხანგრძლივი (1 წლამდე) პერიოდები, რომელიც ხასიათდება მკვეთრი ფსიქიკური ცვლილებებით. ნევროტული და ტრავმატული ხასიათის კრიზისებისაგან განსხვავებით, ის მიეკუთვნება ჩვეულ პროცესებს, რომელიც აუცილებელია პიროვნების წორმალური განვითარებისათვის (ე. ერიქსონი).

**განვითარების სოციალური სიტუაცია** – ვიგოტსკის ტერმინი. ფსიქოლოგიური ასაკის სტრუქტურული კომპონენტი. განვითარების სოციალური სიტუაცია სპეციფიკურია ნებისმიერი ასაკისათვის.

**გენერალიზაცია** (ლათ. generalis – საერთო, მთავარი) კერძო მოვლენაზე რაიმე ზოგადი პრინციპის დაქვემდებარება; განზოგადება.

**გენეტიკური ეპისტემოლოგია** (ბერძ. genesis – წარმოშობა, logos – სწავლა) – ბიოლოგიური კონცეფციის ვარიანტი. მისი კვლევის საგანს წარმოადგენს ფსიქოლოგიური მექანიზმები, რომლებიც განპირობებულია შემეცნების განვითარებით და სტრუქტურით. აქ არის მცდელობა ონტოგენეტიკური განვითარების ექსპერიმენტული კვლევის, ზოგადი თანამედროვე ლოგიკის თეორიის და მათემატიკის მონაცემების გაერთიანებისა. გენეტიკური ეპისტემოლოგიის ცნება გამოიყენა ფ. პაიჟემ „სისწრაფისა“ და „ხანგრძლივობის“ ფიზიკური გაგების გენეტიკური ანალიზის ფორმირებისას.

**გენოტიპი** (ბერძ. – genos – წარმოშობა, typos – ნიშნუში) გენეტიკური კონსტიტუცია, რომელიც ორგანიზმს გადაეცემა მშობლების გენების შერწყმით. ტერმინი 1903 წელს შემოიტანა დანიელმა ბიოლოგმა ბ. იოჰანსენმა. ნებისმიერი სახეობის ცოცხალი ორგანიზმი (მიკრო ორგანიზმები, მცენარეები და ცხოველები) ხა-

სიათდება საკუთარი გენოტიპით. ამასთან ერთად, თითოეული სახეობის ცალკეულ ინდივიდს გააჩნია საკუთარი გენოტიპი. ადამიანების პოპულაციაში მხოლოდ ერთეულ ადამიანებს აქვთ იდენტური გენოტიპი. ესენია მონოზიგოტური (ერთი კვერცხუჯრედიდან განვითარებული) ტყუპები.

**დასწავლა** – ინდივიდუალური გამოცდილების გამოყენების პროცესი და შედეგი. „დასწავლის“ ამგვარი გაგება პირველად თორნდაიკის ნაშრომებში გვხვდება. დასწავლა და სწავლა განსხვავებული ცნებებია. დასწავლა გულისხმობს გამოცდილების საქმიანობაში გამოყენებას, რომელიც იმართება ცნობიერი მოტივებით და მიზნებით (ან მხოლოდ მოტივებით). დასწავლის გზით ადამიანს შეუძლია ნებისმიერი გამოცდილების (ცოდნა, უნარი და ჩვევა), ხოლო ცხოველს ქცევის ახალი ფორმების გამოყენება.

**დასწავლის თეორიები** – დასწავლის თეორიები ახდენს გაცილებით მარტივი და ლოგიკური საშუალებებით არსებული დასწავლის ფაქტორების სისტემატიზირებას და მკვლევარების ძალისხმევას მიმართავს ახალი და მნიშვნელოვანი ფაქტის ძიებისაკენ. დასწავლის თეორიების შემთხვევაში ეს ფაქტები დაკავშირებულია პირობებთან, რომლებიც ინვევენ და ინარჩუნებენ ქცევის ცვლილებებს ორგანიზმის ინდივიდუალური გამოცდილების გამოყენების შედეგად.

**ეგო – იდენტურობა**. ერიქსონის ტერმინი. პიროვნების მთლიანობა. ჩვენი მე-ს იგივეობისა და შესატყვისობის განცდა, იმ ცვლილებების მიუხედავად, რომელსაც განვიცდიდით ზრდისა და განვითარების პროცესში (მე – იგივე ვარ).

**ეგოცენტრიზმი** (ლათ. ეგო – მე, centrum – წრის ცენტრი) - ინდივიდის მიერ, გარკვეულ ობიექტებთან მიმართებაში შემეცნებითი პოზიციის, აზრის ან მის გამოცდილებასთან წინააღმდეგობაში მოსული წარმოდგენის საკუთარი ინტერესების, პოზიციებისა და აზრების განსხვავების უუნარობა. ეგოცენტრიზმი განსაკუთრებით მკვეთრად ვლინდება ადრეული ბავშვობის ასაკში და ძირითადად

დაიძლევა 12-14 წლამდე. ეგოცენტრიზმის ტენდენცია ძლიერდება მოხუცებულობაშიც. კვლევების საფუძველზე განიხილავენ ეგოცენტრიზმის რამდენიმე სახეს:

- **შემეცნებითი ეგოცენტრიზმი** – დამახასიათებელია ალქმისა და აზროვნების პროცესებისათვის;
- **მორალური ეგოცენტრიზმი** – დამახასიათებელია სხვა ადამიანების ქცევის და მორალური მოქმედების მიუღებლობაში;
- **კომუნიკაციური ეგოცენტრიზმი** – შეიჩნევა სხვა ადამიანებისათვის სუბიექტური ინფორმაციის გადაცემაში.

ზემოთ მოყვანილი ეგოცენტრიზმის სახეებიდან თითოეულის დაძლევა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად არის შესაძლებელი.

**ეპისტემოლოგია** ( ბერძ. epistēmē – ცოდნა) – გნოსეოლოგიის ნაწილი, რომელიც მეცნიერული ცოდნის წარმოშობასა და განვითარებას სწავლობს.

**ეტიოლოგია** (ბერძ. ethos – ჩვევა, ხასიათი, ზნე-ჩვეულება, logos - სწავლა). სამეცნიერო დისციპლინა, რომელიც შეისწავლის ზოგად ბიოლოგიური პოზიციით ცხოველთა ქცევას და იკვლევს მის ოთხ ძირითად ასპექტს: 1) მექანიზმი, 2) ბიოლოგიური ფუნქცია, 3) ონტოგენეზი და 4) ევოლუცია. ეტიოლოგიის ყურადღების ცენტრშია ის ქცევა, რომელსაც ცხოველების ბუნებრივ პირობებში აქვს ადგილი. ეტიოლოგიის ფუძემდებლები არიან კონრად ლორენცი და ნიკოლო ტინბერგენი (1907-1988).

**ზიგოტა** (ბერძ. zygotos – შეუერთდა, შეერთება) - სპერმის მიერ განაყოფიერებული კვერცხუჯრედი. ტერმინი დაამკვიდრა გერმანელმა ბოტანიკოსმა ე. სტრასბურგერმა.

**თვითაქტუალიზაცია** (ლათ. actualis – რეალური, ნამდვილი) - ადამიანის მისწრაფება სრულად გამოავლინოს საკუთარი თავი და განავითაროს პიროვნული შესაძლებლობები.

**იდენტიფიკაცია** – იმ ადამიანის ქცევებისა და მახასიათებლების მიღება, რომელსაც ინდივიდი პატივისცემით ეპყრობა და სურს მიბაძოს.

**იდენტურობა** – პიროვნების მთლიანობა. ერიქსონის თეორიაში ტერმინი გამოიყენება იგივეობის, შესატყვისობის პიროვნული განცდის (მე - იგივე ვარ, მიუხედავად იმ ცვლილებებისა, რომელიც ზრდისა და განვითარების პროცესში ხდება); სოციალური მიკუთვნებულობის (მე – სოციალური ჯგუფის ნაწილი) და თვით-განვითარების იდეალის აღსანიშნად.

**იდენტურობის დიფუზია** – (ლათ. diffusio – გავრცელება, განხევა) – ე. ერიქსონის ტერმინი – ადამიანის მიერ საკუთარ თავზე, პროფესიული ვარგისიანობის ან სხვა სფეროების მიმართ, გაურკვეველი და ბუნდოვანი წარმოდგენა.

**ინტელექტი** (ლათ. intellectus – გაგება, შემეცნება) – უნარი, შეიძინო და გამოიყენო ჩვევები, რომელიც აუცილებელია კულტურასა და გარემოსთან წარმატებული ადაპტაციისათვის. თუმცა საკითხი იმის შესახებ, რომ ინტელექტი წარმოადგენს ზოგად შესაძლებლობას, რომელიც ვლინდება ამოცანათა უმრავლესობის გადაჭრაში, თუ ის წარმოადგენს სპეციფიკური კოგნიტური უნარების ერთობლიობას, ჯერ არ გადაჭრილა.

**ინტროსპექცია** (ლათ. intro – შიგნით, spectare – ყურება) – თვით-დაკვირვება. ადამიანის მიერ საკუთარ ფსიქიკურ ცხოვრებაზე დაკვირვება, რომელიც საშუალებას აძლევს დააფიქსიროს მათი (განცდების, აზრების, გრძნობების და ა.შ.) გამოვლენა. სოციალური გამოცდილების შეთვისებისა და მისი გააზრების საშუალებით წარმოიშვება სხვა ადამიანებთან ურთიერთობის პროცესში. თამაშობს მნიშვნელოვან როლს პიროვნების თვითცნობიერების და თვითკონტროლის აპარატის ფორმირებაში.

**ირადიაცია** (ლათ. iradiatio – შუქის გამოცემა, გამოსხივება) – ცენ-

ტრალურ ნერვულ სისტემაში აღზნების ან შეკავების პროცესის გავრცელება.

**კატეგორიზაცია** – ერთეული ობიექტის, მოვლენის, განცდის რომელიმე კლასისათვის მიკუთვნების ფსიქიკური პროცესი. ეს კლასები შეიძლება გამოხატული იყოს ვერბალური ან არავერბალური, სიმბოლოების, სენსორული და პერცეპტული ეტალონებით, სოციალური ან ქცევითი სტერეოტიპებით და ა.შ.

ალქმის, აზროვნების, წარმოსახვის პროცესებში კატეგორიზაციის პროცესი აუცილებლობით მონაწილეობს, რის გამოც ობიექტი აღიქმება და გაიზრება არა როგორც ცალკეული მოცემულობა, არამედ მას მისი კლასის თავისებურებანი და დამახასიათებელი ნიშნები მიენერება. კატეგორიზაციის ფორმებს აქვს რთული იერარქიული ორგანიზაცია, აგებულია და ფუნქციონირება. ის გენეტიკური და ზოგადი ფსიქოლოგიის შესწავლის საგანს წარმოადგენს.

**კონსტრუქტივიზმი** (ლათ. constructivus – შენებასთან, კონსტრუირებასთან დაკავშირებული) ეპისტემოლოგიური მიდგომით ცნობიერება აღიქმება, როგორც საყოველთაო ინტერპრეტაციების კონსტრუირება.

**კრეატიულობა** (ლათ. creative – შემოქმედებითი, ლათ. creatio – შექმნა) დ. გილფორდის ტერმინი – უჩვეულო იდეების, აზროვნების ტრადიციული სქემებიდან გადაზრის, პრობლემური სიტუაციების სწრაფად გადაჭრის შესაძლებლობა. კრეატიულობა, პ. ტორენსის მიერ შემუშავებული პროდუქტიულობის მაჩვენებლით და შემოქმედებითი აზროვნების ტესტების ორიგინალური გადანყვევით იზომება.

**კრიზისი** – ბავშვის ფსიქიკური განვითარების გარდამავალი ასაკია, რომლის დროსაც ხდება ბავშვის მთლიანი პიროვნული ცვლილება.

**კროს-კულტურული ფსიქოლოგია** – ფსიქოლოგიის დარგი, რომელიც შეისწავლის ფსიქიკის განვითარებისა და ფუნქციონირების კანონ-

ზომიერებებს სოციალური, კულტურული და ეკოლოგიური ფაქტორების კონტექსტში. კროს-კულტურული ფსიქოლოგია შეისწავლის როგორც სპეციფიკურ, ასევე თეორიაში აღწერილ მხარეებს.

**ლატენტური პერიოდი** – ფსიქონალიზის ტერმინი. ბავშვებში, სექსუალურ მომწიფებამდე სექსუალობის დაქვეითების პერიოდი (სუთი, ექვსი წლის ასაკში). ეს არის სწავლისათვის ოპტიმალური პერიოდი.

**ლიბიდო** (ლათ. libido – გატაცება, სურვილი, მისწრაფება) – სიამოვნების მიღების მისწრაფება. გატაცება ცხოვრებით (ეროსი) და ნგრევით, სიკვდილით (თანატოსი). ლიბიდოს დონე დაკავშირებულია სექსუალური განვითარების სტადიასთან. მუშაობს ტვინის დეენციფალური უბნით და შინაგანი სეკრეციის გზით, ასევე ინდივიდუალური და მემკვიდრეობითი გამოცდილებით.

**მოტორიკა** – ორგანიზმის მოძრაობის ფუნქციის და მასთან დაკავშირებული ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური მოვლენების სფერო. ეს არის მოძრაობათა ერთობლიობა, რომელიც მიმართულია კონკრეტული მიზნის შესრულებისაკენ. ელინდება სხეულის მოძრაობებში და ხორციელდება მამოძრავებელი კუნთების საშუალებით. განასხვავებენ უხეში (დიდი ამპლიტუდის მოძრაობები მავ, სიარული, სირბილი და ა.შ.) და ფაქიზი (მცირე ამპლიტუდის მოძრაობები – წერა, მოზაიკის აწყობა და ა.შ.) მოტორიკის სახეებს.

**მოტორული რეაქცია** – გამღიზიანებელზე კუნთური მოძრაობით განხორციელებული პასუხი.

**ნატივიზმი** (ლათ. natus – თანდაყოლილი) – სწავლა განვითარების შესახებ, რომელიც განპირობებულია მემკვიდრეობითი ფაქტორებით.

**ნეობიჰევიორიზმი** – (ბერძ. neos – ახალი, ინგლ. behaviour - ქცევა) – ამერიკული ფსიქოლოგიის ერთ-ერთი მიმართულება, რომელიც დასაბამს იღებს ბიჰევიორიზმიდან. დაფუძნებულია დაშვებაზე,

რომ დასაკვირვებელი ობიექტის ანალიზის საგანს შეიძლება არ წარმოადგენდეს მხოლოდ ქცევითი აქტი. ნეობიჰევიორისტები დადგენილი კავშირების ასახსნელად იყენებენ განსაზღვრულ კონსტრუქტებს – S-R სქემაში გაჩნდა „ცვლილებების მონაკვეთები“. ფსიქოლოგიის ამ მიმართულებაში აქტიურად გამოიყენება ისეთი გაგებები როგორცაა ხატი, მიზანი, მოთხოვნილება, ინტელექტი, მოლოდინები, წარმატება-წარუმატებლობა, რომლებიც წარმოადგენენ ცნობიერების სივრცეს. ნეობიჰევიორიზმის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლები იყვნენ ე. ჩ. ტოლმენი (1886-1959), კ. ლ. შალი (1884-1952) და ბ. ფ. სკინერი (1904-1990).

**ონტოგენეზი** (ბერძ. on - სქესი. ontos - არსებითი, genesis – დაბადება, წარმომავლობა) – ცალკეული ორგანიზმის განვითარების პროცესი. ინდივიდის განვითარება მთელი ცხოვრების განმავლობაში.

**ოპერანტული განპირობებულობა** (Operant Conditioning) – სკინერის ტერმინი – დასწავლის ფორმა, რომლის დროსაც ცხოველის ქცევა ან ექსპერიმენტატორის მიერ ინიცირებული მოძრაობები იღებენ განმტკიცებას. ოპერანტული განპირობებულობა პროგრამული დასწავლის საფუძველში დევს.

**ოპერაცია** – 1) პიაჟეს ტერმინი. გონებრივ სქემაში გადატანილი მოქმედება, რომელიც მთლიანი სისტემის თავის თავში კოორდინაციას ახდენს. 2) ა. ლეონტიევის (ცნობილი რუსი ფსიქოლოგი 1903 – 1979 წწ.) ტერმინი. მოქმედების შემადგენელი ნაწილი, რომელიც მიზნის მიღწევის პირობებს შეესაბამება.

**პერცეპცია** (ლათ. perceptio - წარმოდგენა, აღქმა) – გრძნობის ორგანოების მიერ ობიექტური რეალობის კოგნიტურ სფეროში უშუალო ასახვის პროცესი. აღქმის პროცესის ძირითადი სტრუქტურული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს მხედველობითი ხატის მთლიანობას.

**პირობითი რეფლექსის გენერალიზაცია** – პირობითი რეფლექსის გამომუშავების დროს აღმოცენებული ფენომენი, როდესაც რეაქ-

ცია განპირობებულია არა მხოლოდ განმამტკიცებელი, არამედ სხვა, მეტ-ნაკლებად მსგავსი სტიმულებით.

**პუბერტატი** (ლათ. pubertas – მონიფულობა, სქესობრივი სიმწიფე) – სქესობრივი მომწიფების პერიოდი, რომელიც ინდივიდუალურია და რასობრივი, გეოგრაფიული და სხვა ფაქტორების გავლენით ცვლილებებს განიცდის. პუბერტატის პერიოდად მიჩნეულია 12 – 16 წლები. თუმცა, ზოგიერთი სქესოლოგის აზრით, აღნიშნული პერიოდი უფრო ადრე, 10,5 წლიდან იწყება და 18 წლამდე გრძელდება. პუბერტატის პერიოდი გოგონებისათვის 12-დან 16 წლამდე გრძელდება, ხოლო ბიჭებისათვის 13 -17 წლამდე ითვლება.

**რეკაპიტულაცია** (ლათ. recapitulatio - გამეორება) - ეს ცნება გამოიყენება ბიოლოგიაში და გულისხმობს ზოგადი ევოლუციური განვითარების დამახასიათებელი ნიშნების ინდივიდუალურ განვითარების ადრეული სტადიაში განმეორებას. ნიშნების მოკლე და შეკუმშული სახით ონტოგენეზში განმეორება ფილოგენეტიური (ისტორიული) ფორმით.

**რელაქსაცია** (ლათ. relaxatio – შემსუბუქება, მოდუნება) – სიმშვიდის მდგომარეობა, დაკავშირებული კუნთების ნაწილობრივ ან მთლიან მოდუნებასთან. განასხვავებენ ხანგრძლივ და ხანმოკლე რელაქსაციას. ხანგრძლივ რელაქსაციას ადგილი აქვს ძილის, ჰიპნოზის, ფარმაკოლოგიური ზემოქმედების დროს. ხანმოკლე რელაქსაცია კი დაძაბულობას ცვლის. რელაქსაციის ეფექტი ფსიქოთერაპიაში ცალკე ელემენტად გამოიყენება.

**რეფლექსია** (ლათ. reflexio – უკან მიმართვა) – პიაჟეს თეორიაში ამ ტერმინის ქვეშ ბავშვის მიერ საკუთარი მოქმედების გაცნობიერება მოიაზრება. პირველი რიგის რეფლექსია – ბავშვის მიერ საკუთარი მოქმედების შედეგზე ორიენტირება. მეორე რიგის რეფლექსია – ბავშვის მიერ შედეგის მიღწევის საშუალებებზე ორიენტირება.

**ცხოვრების გზა** – ფართო მეცნიერული გაგება, რომელიც აღწერს ადამიანის ინდივიდუალური განვითარების პროცესს დაბადებიდან ვიდრე გარდაცვალებამდე.

ის ხშირად „სიცოცხლის დროის“ და „სასიცოცხლო ციკლის“ სინონიმად გამოიყენება, მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის შინაარსობრივი სხვაობა არსებობს. „სიცოცხლის დრო“ ნიშნავს ადამიანის დაბადებასა და გარდაცვალებას შორის არსებულ დროით ინტერვალს. ანუ მისი შინაარსისაგან დამოუკიდებლად სიცოცხლის ხანგრძლივობას. ტერმინი „სასიცოცხლო ციკლი“ გულისხმობს განვითარების განმეორებას გარკვეული ვარიაციებით. სასიცოცხლო ციკლი შეიძლება იყოს ბიოლოგიური, სოციალური ან ორივე ერთად – ბიოსოციალური.

**სენსორული** (ლათ. sensus – გრძნობა, შეგრძნება) - ეხება გამოხატვის გრძნობით დონეს. პრაქტიკაში გამოიყენება *სენსორული მოვლენის*, *სენსორული ეფექტის* ტერმინები, რომლებიც თავისი მნიშვნელობით ძალიან ახლოსაა შეგრძნებასთან; *სენსორული ინფორმაცია* – სენსორული სისტემებით მიღებული ინფორმაცია.

**სენსორული სისტემა** – ადამიანის ორგანიზმში არსებული სისტემა, რომელიც პასუხისმგებელია გაღიზიანების საპასუხო შეგრძნების წარმოქმნაზე.

**სიმბოლო** (ბერძ. symbolon – პირობითი ნიშანი) – ხატი, რომელიც სხვა (როგორც წესი, ძალიან მრავალსახოვანი) ხატის, შინაარსის ან ურთიერთობის აღმნიშვნელია. სიმბოლო ახლოს დგას „ნიშნის“ ცნებასთან, თუმცა მათ შორის არის განსხვავება. ნიშნისათვის (განსაკუთრებით ფორმალურ-ლოგიკურ სისტემაში) მრავალმნიშვნელოვნება უარყოფით მხარედ ითვლება: რაც უფრო ერთმნიშვნელოვნად იზიფრება ნიშანი, მით უფრო კონსტრუქციულად შეიძლება მისი გამოყენება. სიმბოლოს შემთხვევაში პირიქითაა – რაც უფრო მრავალმნიშვნელოვანია, მით უფრო შინაარსიანია. სიმბოლო ხელოვნების, ფილოსოფიის და ფსიქოლოგიის (არქექტიპი, ანალიტიკური ფსიქოლოგია, ფსიქოანალიზი) ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კატეგორიაა.

**სიმბოლიზაცია** – ადამიანური აზროვნების ერთ-ერთი განმასხვავებელი ნიშანია და გულიანობს ერთი ობიექტის ჩანაცვლებას მეორეთი, რაც გულიანობს ობიექტებსა და მათ დასახელებას შორის პირობითი კავშირის დამყარებას და ობიექტების თუ მოვლენების პირობითი ნიშნებით მანიპულირებას. მაგალითად, სიმბოლოთა ერთ-ერთ ასეთ სისტემას წარმოადგენს ენა და მეტყველება. თუმცა სიმბოლიზაცია არ ამოინურება ენის შესაძლებლობებით. ადამიანებს შესწევთ უნარი შექმნან მოდელები და სქემები, ერთი საგანი აზრობრივად ჩანაცვლონ მეორეთი და წარმოიდგინონ სიტუაციები, რომლებსაც არასოდეს შეხებიან.

**სოციალიზაცია** – პროცესი, რომლის საშუალებითაც ადამიანი ხდება ამა თუ იმ სოციალური ჯგუფის წევრი. იგი მოიცავს ყველა იმ განწყობის, აზრის, წესის, ღირებულების, როლის და მოლოდინის შეთვისებას, რომელიც მოცემულ კონკრეტულ სოციალურ ჯგუფს ახასიათებს. ეს პროცესი ადამიანის სიცოცხლის ბოლომდე გრძელდება. სოციალიზაციის პროცესი ორმხრივია, რაც გულისხმობს, რომ არა მხოლოდ გარემო ცვლის ჩვენს ქცევას, არამედ ჩვენც ვცვლით მას.

**სქემა** – პიაჟეს ტერმინი. არის მენტალური სტრუქტურა, რომელიც გადაამუშავებს ცოდნას, პერცეპტულ ხატს და სუბიექტურ გამოცდილებას; ინდივიდის ზრდასთან ერთად იცვლება მათი სქემებიც.

**ტრანზიტოლობა** – გარდამავლობა. პიაჟეს თეორიაში ტერმინი ლოგიკური განსჯის ხასიათს გულისხმობს. მაგ., თუ  $A = B$ , ხოლო  $B = C$ , მაშინ  $A = C$ .

**ფილოგენეზი** (ბერძ. phyle – გვარი, ტომი და genesis - დაბადება, წარმომავლობა) – ტერმინი შემოიტანა ე. პეკელმა 1866 წელს ევოლუციის პროცესში, ორგანული სამყაროში მიმდინარე ცვლილებების აღსანიშნავად.

**ფრუსტრაცია** (ლათ. frustratio – ტყუილი, მოშლილობა, გეგმების ანეწა) – ადამიანის ფსიქიკური მდგომარეობა, რომელიც გამოწვეულია ობიექტურად გადაუღწავი (ან სუბიექტურად დაუძლეველად მიჩნეული) სირთულეებით, რომელიც თავს იჩენს მიზნის მისაღწევ გზაზე ან ამოცანის გადაჭრის პროცესში. წარუმატებლობის განცდა.

**ფსიქიკური ადაპტაცია** – ფსიქიკური მოვლენა, რომლის დროსაც პიროვნული დინამიური სტერეოტიპების გარდაქმნა ხდება გარემო პირობების ახალი მოთხოვნილებების შესატყვისად.

**ჩვევა** – ა) ქცევის ფორმა, რომელიც სიცოცხლის მანძილზე მრავალჯერადი ვარჯიშის შედეგად ყალიბდება, ბ) მრავალჯერადი განმეორების შედეგად ჩამოყალიბებული ავტომატური მოქმედება;

**ჰედონიზმი** (ძვ. ბერძ. hedone – სიამოვნება) – ანტიკურ ფილოსოფიაში ჰედონიზმი სწავლის საფუძველად იყო მიჩნეული, რომლის მიხედვითაც ცხოვრების არსად არა მხოლოდ სხეულებრივი, არამედ სულიერი სიამოვნებაც განიხილებოდა.

*ლექსიკონი შეადგინა ფსიქოლოგმა თამარ ობოლაძემ*

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. პერკი ლ. – ბავშვის განვითარება. თ. I, II; თბ., ი. ჭავჭავაძის სახ. უნივერსიტეტის გამომცემლობა. ტექსტი თარგმნა ნინო ჭიბრაძის მიერ. 2007;
2. განათლების ფსიქოლოგია. დამხმარე სახელმძღვანელო პედაგოგიური უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის. რედ. შ. ჯაფარიძე, თბ., 2005;
3. გოგიჩაიშვილი თ. – მოსწავლის ასაკობრივი ფსიქოლოგია. თბ., 2001;
4. იმედაძე ი. – XX საუკუნის ფსიქოლოგიის ძირითადი მიმდინარეობები. თბ., 2004;
5. იმედაძე ნ. – მოსწავლის ემოციური აღზრდის ძირითადი ფსიქოლოგიური საკითხები. „პედაგოგიური ფსიქოლოგია“ ვლ. ნორაკიძის რედაქციით, ნაწილი II, თბ., 1965;
6. კერძაია თ. – ბავშვის განვითარების ასაკობრივი თავისებურებები; ლექციები მშობელთათვის; 2. აღზრდის ინსტიტუტი. თბ., 2004;
7. ნადირაშვილი შ. – პიროვნების სოციალური ფსიქოლოგია. თბ., 1975;
8. უზნაძე დ. – პედაგოგიური თხზულებანი; რედ. ზ. ცუცქერიძე. თბ. 2005;
9. უზნაძე დ. – ზოგადი ფსიქოლოგია; ტ. III-IV; თბ. 1964;
10. უზნაძე დ. შრომები, ტ. V. ბავშვის ფსიქოლოგია; თბ., 1967, 2004;
11. ყოლბაია მ. – ბავშვის ფსიქოლოგია. თბ., 2005;
12. ჩხარტიშვილი შ. აღზრდის სოციალური ფსიქოლოგია. თბ., 1974;
13. ცუცქერიძე ზ. ორჯონიკიძე ნ. – განათლების თანამედროვე თეორიები. თბ., 2005;

14. Абрамова Г. С. Возрастная психология. М., 1998;
15. Антология гуманной педагогики. М. 2000;
16. Брунер Дж. Психология познания. М., 1977;
17. Валон А. Психическое развитие ребенка. М. 1967;
18. Выготский Л. С. Собрание сочинений. т. 4, Детская психология. М., 1984;
19. Голфруа Ж. Что такое психология. т.1-2. М. „Мир“, 1992;
20. Давыдов В.В. Теория развивающего обучения; М., 1996;
21. Квинн В. Прикладная психология; М. „Логос“ 2001;
22. Краиг Г. Бокум Д. Психология развития, 9-е изд. Питер. 2005;
23. Лефрансуа Ги. Психология для учителя. М. „Олма-пресс“. 2003;
24. Маслоу А. Мотивация и личность. М. 1999;
25. Мухина В. С. Возрастная психология. М., 1998;
26. Обухова Л. Ф. Детская (возрастная) психология. М., 1996;
27. Пиаже Ж. Избранные психологические произведения. М., 1967;
28. Реан А.А., Коломинский Я.Л. Социальная педагогическая психология. - СПб., 1999;
29. Роджерс К. Консультирование и психотерапия. - М.: ЭКСМО-Пресс, 1999;
30. Рубинштейн С.Л. Основы общей психологии: В 2 томах. - М., 1989;
31. Скиннер Б.Ф. Технология поведения. М.: Изд-во МГУ, 1994;
32. Солсо Р.Л. Когнитивная психология. М., 1996;
33. Стоунс Э. Психопедагогика. Психологические теории и практика обучения. М. „Педагогика“, 1984;

34. Хрестоматия по истории психологии. Под ред. Гальперина. Изд-во МГУ, 1980;
35. Хрестоматия по психологии / под ред. А.В. Петровского. М., 1986, 1988;
36. Хьелл Л. Зиглер Д. Теория личности. 3 -е изд. Питер. 2005;
37. Эльконин Д.Б. К проблеме периодизации психического развития в детском возрасте// Вопросы психологии, №4, 1971;
38. Эриксон Эрик Г. Детство и общество.— Изд. 2-е, перераб. и доп. / Пер. с англ. — СПб.: Ленато, АСТ, Фонд «Университетская книга», 1996;
39. Laura E. Berk. Child Development. (International edition). sixth edition. 2002.